

# ეკონომისტი

სამართაშორისო რეცენზირებადი და რევიზირებადი  
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

1591  
2010

№2 2010 წელი

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის,  
ბიზნესმენტა და მეცნიერთა პოზიციები)

სადასახადები, ბუღალტრული აღრიცხვა,  
სუდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

საბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი,  
მეანაბრე)

საპანონმდებლო სიასლენი (სამეწარმეო  
სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა პითხვები და პროფესიონალთა  
გასწახვები







**ჟურნალი "ახალი ეკონომისტი"  
რევიერირდება:**

**The Magazine "Akhali Ekonomisti" (New  
Economist) IS REVIEWED:**

სსიპ ინსტიტუტ ტექნიფორმის ელექტრონულ  
გამოცემებში "ქართულ რევიერირებულ  
ჟურნალში".

In "Georgian Reviewed Magazine" –  
P.L.L.E. Institute of Techninform

**აღიარებულია რევიერირებულიად:**

**IS KNOWN AS REVIEW BY:**

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილია სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- გორის უნივერსიტეტი;
- ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ევროპული უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი;
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი.

- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Iliia State University;
- Georgian Technical University;
- Tbilisi State University of Economic Relations;
- Grigol Robaqidze University;
- Tbilisi Free University, ESM Business Scool;
- Caucasus University;
- Sukhumi State Unniversity;
- Shota Rustaveli State University;
- Gori University;
- Akhaltsikhe State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- European University;
- Akaki Tsereteli State University;
- Georgian State University of Subtropical Agriculture;
- Odesa Mechnikov National University;
- Institute of Strategic Studie s of the Caucassus.

**ტექნიკური პერსონალი:**

მარკეტინგი: **რუსუდან მაისურაძე**  
კორექტურა: **ხათუნა ბურჭულაძე**  
დიზაინი: **ბიორბი ჯანბეგაშვილი**

**TECHNICAL PERSONS:**

Marketing: **RUSUDAN MAISURADZE**  
Corrections: **KHATUNA BURCHULADZE**  
Design: **GEORGI JANIBEGASHVILI**

**მისამართი:** 0105, საქართველო, თბილისი  
ჯორჯაძის ქ. №5  
ტელ.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;  
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;  
ელ ფოსტა: info@economisti.ge; info@loi.ge  
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

**ADDRESS:** 5 Jorjadze str., Tbilisi, Georgia, 0105  
tel.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;  
mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;  
e-mail: info@economisti.ge; info@loi.ge  
veb-site: www.economisti.ge; www.loi.ge



# ეკონომისტი



ყოველკვარტალური საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი  
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №2(17), 2010

მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე:  
**ლოილ ქარჩავა**

## სარედაქციო კოლეგია:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

### ლეო ჩიქავა - ნომრის რედაქტორი

(საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,  
პაატა გუგუშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი);

**რამაზ აბუსაძე** (საქართველოს ეროვნული აკადემიის პ. გუგუშვილის ეკონომიკური ინსტიტუტის დირექტორი);  
**ანდროს აბრალავა**; **იური ანანიავილი**;  
**როზეტა ასათიანი**; **როსტომ ბერიძე** (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის უმაღლესი სკოლის დირექტორი); **ბივი გამსახურდია**; **თამარ გამსახურდია**; **თინა ბელაშვილი** (ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); **სიმონ ბელაშვილი**;  
**რევაზ გველესიანი** (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი); **მიხეილ ბობატიშვილი**; **ვასილ ბორბაჩუკი** (კიევი, უკრაინა); **ვლადიმერ ბრიგოლია** (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); **ვოლფგანგ ვენტი** (ბერლინი, გერმანია); **შოთა ვეშაპიძე** (ევროპული უნივერსიტეტის რექტორი); **ნუზარ თოდუა**; **ბოჩა თუთბერიძე** (მ.ს.ო. „ქართული კრედიტის“ აღმასრულებელი დირექტორი); **სერბეი იაკუბოვიჩი** (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); **ელდარ ისმაილოვი** (კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, აზერბაიჯანის ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი); **რევაზ კაკულია**; **მერაბ კაკულია**; **მურთაზ კვიციანი** (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი); **ირაკლი კოვზანაძე**; **პაატა კოღუაშვილი** (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); **ჰერალდ კუნცი** (ბრანდენბურგი, გერმანია); **ქაბილ მანაშოვი** (აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის კომერციული ფაკულტეტის დეკანი); **იოსებ მასურაშვილი**; **შალვა მაჭავარიანი** (კავკასიის უნივერსიტეტის

ვიცე-პრეზიდენტი სამეცნიერო დარგში); **მურთაზ მაღრაძე**; **იაკობ მისხია**; **ელგუჯა მამკაბიშვილი**; **თეა მუნჯიშვილი**; **დავით ნარმანია**; **თეოდორ ნინიძე**; **ეთერ სარჯველაძე**; **ბელა სვირავა**; **ავთანდილ სილაბაძე** (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი); **მირიან ტუხაშვილი**; **სლავა ფეტიულავა**; **რუსუდან ქუთათელაძე** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის დეკანი); **ლარისა ყოჩლანაშვილი**; **თეიმურაზ შენგელია**; **ბიორბი შიხაშვილი** (თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ლექტორი); **ლალი ჩაბელიშვილი** (თბილისის ეკონომიკური ურთიერთობებისა და სამართლის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი); **მიხეილ ჩიკვილაძე**; **ლეო ჩიქავა ნიკო ჩიხლაძე**; **ავთანდილ ჩუთლაშვილი** (თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი); **აპაქი ცომაია**; **ზაზა ცოტნიაშვილი** (გორის უნივერსიტეტის რექტორი); **ნოდარ ხაღური**; **ელენე ხარაბაძე** (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); **ეთერ ხარაიშვილი**; **რევაზ ხარაბავა**; **ნოდარ ხასია**; **მერაბ ხმალაძე**; **დავით ჯალაღონია** (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); **დიმიტრი ჯაფარიძე** (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი); **ჯამალ ჯანაშვილი** (მთავარი რედაქტორის მოადგილე); **ემზარ ჯემრენაია** (ჟურნალ „საქართველოს ეკონომიკის“ მთავარი რედაქტორი); **მიხეილ ჯიბუტი**; **ჯენეტი ჰომეში** (მაასტრიხტი, ჰოლანდია)

სახალი ეკონომისტი





# akhali EKONOMISTI



QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE,  
PRECISED AND REVIEWED №2(17), 2010

**Editor-in-Chief and Head of Editorial Board:  
LOID KARCHAVA**

**EDITORIAL BOARD**

Doctors of science, Professors:00

**LEO CHIKAVA - Editor**

(Corresponding-member of Georgian National Academy of Science,  
**Rector of Paata Gugushvili University)**

**RAMAZ ABESADZE** (Director of P. Gugushvili Economic Institute of Science Academy of Georgia); **ANZORABRALAVA**; **IURIANANIASHVILI**; **ROZETA ASATIANI**; **ROSTOM BERIDZE**; **GIVI GAMSAKHURDIA**; **TAMARGAMSAKHURDIA**; **TINA GELASHVILI** (Rector of Akhaltsikhe State University); **SIMON GELASHVILI**; **REVAZ GVELESIANI** (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); **MICHAEL GOGATISHVILI**; **VASYL GORBACHUK** (Kiev, Ukraine); **VLADIMIR GRIGOLAIA** (Moscow, Russian federation); **WOLFGANG WENG** (Berlin, Germany); **SHOTA VESHAPIDZE** (Rector of European University); **NUGZAR TODUA**; **GOCHA TUTBERIDZE** (Executive Director of MFO "Georgian Credit"); **SERGEY YAKUBOVSKIY** (Odesa Mechnikov National University, Ukraine); **ELDAR ISMAILOV** (Director of Institute of Strategic Studies of the Caucasus, President of Azerbaijan Banks Association); **REVAZ KAKULIA**; **MERAB KAKULIA**; **MURTAZ KVIRKVAIA** (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management Faculty of G. Robakidze University); **IRAKLIKOVZANADZE**; **PAATA KOGUASHVILI** (member of Georgian Academy of Agroculture); **HARALD KUNZ** (Brandenburg, Germany); **QABIL MANAFOV** (Dean of Commrs Faculty of Azerbaijan State Economical University); **IOSEB MASURASHVILI**; **SHALVA MACHAVARIANI** (Vice-Prasident of Caucasus University in sciens field); **MURTAZ MAGRADZE**; **JAKOB**

**MESKHIA**; **ELGUJA MEQVABISHVILI**; **TEA MUNJISHVILI**; **DAVID NARMANIA**; **TEDO NINIDZE**; **ETER SARJVELADZE**; **GELASVIRAVA**; **AVTANDIL SILAGADZE** (Corresponding-member of Georgian national Academy of Science); **MIRIAN TUKHASHVILI**; **SLAVAFETELAVA**; **RUSUDAN KUTATELADZE** (Dean of Humanitarian- Social Faculty of Georgian Tecnicl University); **LARISA KORGANASHVILI**; **TEMUR SHENGELIA**; **GIORGI SHIKHASHVILI** (Lecturer of Tbilisi Academy and Seminary); **LALI CHAGELISHVILI** (Dean of Business and Management Faculty of Tbilisi Economical Relations and Law University); **MICHAEL CHIKVILADZE**; **NIKO CHIKHLADZE**; **AVTANDIL CHUTLASHVILI** (Rector of Tbilisi Economical Relations State University); **AKAKI TSOMAIA**; **ZAZA TSOTNIASHVILI** (Rector of Gori University); **NODAR KHADURI**; **ELENE KHARABADZE** (Dean of Economics and Business Faculty of I. Javakhishvili Tbilisi State University); **ETER KHARAISHVILI**; **REVAZ KHAREBAVA**; **NODAR HASAIA**; **MERAB KHMALADZE**; **DAVID JALAGONIA** (Dean of Economics and Buziness Faculty of Suxumi State University); **JAMLET JANJGAVA** (Deputy of Editor-in-Chief); **DIMITRI JAFARIDZE** (Dean of Business and Legal Faculty of Ilia State University); **EMZAR JGERENAIA** (Editor-in-Chief of magazine "Economy of Georgia"); **MICHAEL JIBUTI**; **JEANNETTE HOMMES** (Maastricht, Netherlands).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია





**მეო-ღაიჯესტი** . . . . . 5

**მთავარი გვერდი (საშობაო ეპისტოლე)** . . . . . 8

**მეცნიერება**

**როზაბა ასათიანი** – გლობალიზაციის ეპოქალური პროცესი და ეკონომიკური თეორია ახალი გამოწვევების წინაშე . . . . . 13

**პაატა კოლუაშვილი** – მარკენტივულ კოოპერირებას სიკეთის მოტანა შეუძლია . . . . . 24

**ეთერ სარჯველაძე** – სურსათწარმოებაში ექსპორტის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია . . . . . 32

**სლავა ვეტილაშვილი** – კონკურენტუნარიანობა და ეფექტური კონკურენცია . . . . . 36

**ნუზარ ბაბუაძე, შოთა ვეშაიძე** – ჩინური ბიზნეს-ფსიქოლოგიის ზოგიერთი ასპექტი . . . . 41

**მათე ზარდავა** – მოსალოდნელი ცვლილებები სუპერ სახელმწიფოების ეკონომიკურ პოლიტიკაში და ინვესტიციების მოზიდვის ისტორიული მომენტი . . . . . 46

**ძრისტინა ჯღანჯღავა** – საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების ტენდენციები . . . . 50

**SERGEY YAKUBOVSKIY, TATYANA RODIONOVA** – PROFITABILITY AND SUSTAINABILITY OF UKRAINIAN BANKING SYSTEM DURING THE FINANCIAL CRISIS . . . . . 55

**НАЗИЯ МУСАХАНОВА** – КОРПОРАТИВНАЯ РЕСТРУКТУРИЗАЦИЯ: СЛИЯНИЯ И ДИВЕСТИЦИИ . . . . . 60

**КЛЯХИНА И.В.** – РЕФОРМИРОВАНИЕ И ПЕРЕХОД БУХГАЛТЕРСКОГО УЧЕТА В ФИНАНСОВОМ СЕКТОРЕ КАЗАХСТАНА НА МЕЖДУНАРОДНЫЕ СТАНДАРТЫ ФИНАНСОВОЙ ОТЧЕТНОСТИ . . . . . 65

**ЛЕЙЛА ТУСУПОВА** – СОЦИАЛЬНАЯ ПОЛИТИКА: ОСНОВНЫЕ КОМПОНЕНТЫ И ПРИНЦИПЫ . . . . . 70

**შეფასების ეკონომიკური სიახლეები** . . . . . 75

**რეცენზიები ახალ წიგნებზე**

ქართველი პროფესორის ფუნდამენტური ნაშრომი ეკონომიკური დოქტრინების შესახებ . . . . . 77


**ახალი წიგნები** . . . . . 79

**წერილი რედაქციას**

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი . . . . . 81

ახალი ეკონომისტი





<b>ECO-DIGEST</b>	5
<b>MAIN PAGE</b>	8
<b>SCIENCE</b>	
<b>ROZETA ASATIANI – EPOCH-MAKING PROCESS OF GLOBALIZATION AND ECONOMIC THEORY BEFORE NEW CHALLENGES</b>	13
<b>PAATA KOGUASHVILI – MARKETING CO-OPERATION CAN BRING KINDNESS</b>	24
<b>ETER SARDJVELADZE – MARKETING STRATEGY OF DEVELOPING EXPORT IN VICTUAL PRODUCTION</b>	32
<b>SLAVA FETELAVA – COMPETITIVENESS AND EFFECTIV COMPETITION</b>	36
<b>NUGZAR BABUADZE, SHOTA VESHAPIDZE – SOME ASPECTS OF CHINESE BUSINESS-PSYCHOLOGY</b>	40
<b>MATE GARDAVA – THE POSSIBLE CHANGES IN ECONOMICAL POLICY OF SUPER DEVELOPED COUNTRIES AND HISTORICAL MOMENT FOR ATTRACTION OF INVESTMENTS</b>	46
<b>KRISTINA JGANJGAVA – GEORGIA’S FOREIGN TRADE DEVELOPMENT TRENDS</b>	50
<b>SERGEY YAKUBOVSKIY, TATYANA RODIONOVA – PROFITABILITY AND SUSTAINABILITY OF UKRAINIAN BANKING SYSTEM DURING THE FINANCIAL CRISIS</b>	55
<b>NAZIYA MUSSAKHANOVA – CORPORATE RESSTRUCTURING: MERGES AND DIVESTIONS.</b>	60
<b>KLIAKHINA I.V. – REFORMING OF BOOK KEEPING IN FINANCIAL SECTOR OF KAZAXSTAN AND TRANZITION TO THE INTERNATIONAL STANDARDS</b>	65
<b>TUSUPOVA LAYLA - SOCIAL POLICY: THE BASIC COMPONENTS AND PRINCIPLES.</b>	70
<b>FOREING ECONOMIC NEWS</b>	75
<b>REVIEWS ABOUT NEW BOOKS</b>	77
<b>NEW BOOKS</b>	79
<b>LETTER TO EDITOR</b>	
<b>GEORGIAN STATE UNIVERSITY OF SUBTROPICAL AGRICULTURE</b>	81

საქართველოს სსრ-ის სსიპი





# ეკო-დაიჯესტი

## ლარის გაუმასშობებამ ბოლო წლების რეკორდს მიაღწია

2010 წლის 4 ივნისს ლარის კურსი აშშ დოლარის მიმართ 1,8431 ლარის ნიშნულამდე დაეცა. ერთი დღით ადრე კი 1 აშშ დოლარი 1,8231 ლარი ღირდა. 2,2438 ლარიან ნიშნულამდე დაეცა ლარი ევროსთან მიმართებაშიც. ქართული ლარის გაუმასშობებამ ბოლო 4-წლის განმავლობაში მაქსიმუმს მიაღწია. აშშ დოლარის მიმართ ლარი 1,8 ნიშნულზე ბოლოს 2006 წლის გაზაფხულზე იყო.

## მომზადდა საგადასახადო კოდექსის ახალი რედაქცია

ახალ საგადასახადო კოდექსს, რომელიც ახალი წლიდან უნდა ამოქმედდეს, ბიზნესმა უკვე უწოდა „რევილუციური“. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მოქმედი კოდექსის 98% შეცვალა და ზოგიერთი მსხვილი ბიზნესისათვის საგადასახადო ტვირთის გაზრდის ხარჯზე, შეღავათები მცირე და საშუალო ბიზნესს გაუქვითა. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბატონმა ნიკა გილაურმა საგადასახადო კოდექსის სამუშაო ვერსია ბიზნესმენებს დაურიგა, რათა მათ ჰქონდეთ საშუალება ახალი საგადასახადო კოდექსის საქართველოს პარლამენტში გადაგზავნამდე, გამოთქვან თავიანთი შენიშვნები და წინადადებები და მთავრობას მიეცეს მისი გათვალისწინების შესაძლებლობა. ამასთან, როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა არაა გამორიცხული კოდექსის ზოგიერთ მუხლში ცვლილებები ოპერატიურად იქნეს შეტანილი და ის უკვე მიმდინარე წლის მესამე კვარტლაშივე / აგვისტო-სექტემბერი/ ამოქმედდეს.

## საქართველოს ბაზარზე მოქმედი ბანკების უმეტესობა მოგებაზე ბაზიდა

საქართველოს ბაზარზე მოქმედი 19 კომერციული ბანკიდან, 2010 წლის 1-მაისისათვის მოგებაზე 12 ბანკი გავიდა. ამ ბანკების მოგება

62,608 მლნ. ლარი შეადგინა. ბაზარზე მოქმედი სხვა 7 ბანკის ზარალმა კი 38,246 მლნ. ლარი შეადგინა. სექტორის წმინდა მოგება 2010 წლის 1-ლი მაისისათვის შეადგინა 24,3 მლნ. ლარი. 19 კომერციული ბანკის ჯამური აქტივები 8.717.382.711 ლარია.

## ოფიციალური სტატისტიკით საქართველოში უმუშევართა რიცხვი გაიზარდა

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, 2009 წელს უმუშევრობამ საქართველოში 2008 წელთან შედარებით 0,4%-ით მოიმატა და 16,9% შეადგინა. თუ ამ ციფრს წინა წლების მონაცემებს შევადარებთ დავინახავთ, რომ სტატისტიკა უფრო უარესია. კერძოდ, 2007 წლის შემდეგ უმუშევართა რაოდენობა 3,6%-ით, ხოლო 2004 წლის შემდეგ 4,3%-ით არის გაზრდილი.

## ენერგოსექტორში კაპიტალის დაბანდების მსურველთა რიცხვი იზრდება

საქართველოს ენერგოსექტორში კაპიტალის დაბანდების მსურველ კერძო ინვესტორთა რიცხვი იზრდება. უკვე დაწყებული რამდენიმე მშენებლობის გარდა, ენერგეტიკის სამინისტროში წინადადებები შესულია აჭარაში ასაგებ პესებზე დაწყებულ პროექტებს შორის ყველაზე ადრე გურიაში მდებარე პესი უნდა დასრულდეს, თუმცა შემდგომ იქ უკვე პესების კასკადის აგებაც იგეგმება. ოზურგეთის რაიონში მდებარე ბახვისწყალზე 6 მეგავატიანი პესის მშენებლობა ქართულ-ესტონურმა „ბახვი ჰაიდრო პაუერმა“ ორ წელიწადში უნდა დაასრულოს. კომპანია 9,7 მილიონი დოლარის ინვესტიციის ჩადებას აპირებს. პესამდე მოკლე გზის გაყვანაც იგეგმება, რაც ადგილობრივების აზრით, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას სასიკეთოდ წაადგება და შესაძლოა, ტურიზმის განვითარებასაც შეუწყოს ხელი.

ახალი ეკონომისტი





თურქეთმა „ნაბუკოს“ გაზსადენის შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირება დაასრულა. მთავრობათაშორის შეთანხმებას თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთისა და ავსტრიის წარმომადგენლებმა ხელი 2009 წლის ივნისში მოაწერეს. ხელშეკრულების თანახმად, გაზსადენის მშენებლობის შესახებ შეთანხმება ძალაში 2010 წლის 1 აგვისტოდან შევა. „ნაბუკოს“ პროექტის რირებულება 7,9 მლრდ. ევროს შეადგენს. მისი მშენებლობა 2011 წლისათვის დაიწყება, ხოლო გაზის ტრანსპორტირება - 2014 წლიდან.

**ინფლაციის წლიური ღონე მაისში 4% იყო**

„საქსტატის“ ინფორმაციით საქართველოში ინფლაციის ღონემ 2010 წლის მაისში შარშანდელთან შედარებით 4% შეადგინა. წლის განმავლობაში ფასები ყველზე მეტად /49,3%-ით/ განათლების სფეროში გაიზარდა. 2009 წელს ინფლაციის წლიურმა მაჩვენებელმა 3% შეადგინა, ხოლო 2010 წლისათვის ეროვნულმა ბანკმა ინფლაციის 6%-იანი მიზნობრივი მაჩვენებელი დაგეგმა.

**სამაუწყებლო სფეროში შემოსავლები კლებულობს**

ტელე-რადიო მაუწყებლობის სფეროში შემოსავლები 2009 წელს წინა წელთან შედარებით დაახლოებით 10 მილიონი ლარით შემცირდა. კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის ანგარიშის მიხედვით, 2005 წლის შემდეგ მაუწყებლობის სფეროს შემოსავლები სტაბილურად იზრდებოდა. შესაბამისად, 2009 წელი პირველი წელია, როდესაც შემოსავლების ზრდის ნაცვლად მოხდა მისი კლება.

**74 მილიონ ლარით შემცირდა მობილური ოპერატორების შემოსავალი**

ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიების შემოსავალი 2009 წელს წინა წელთან შედარებით 74 მილიონი ლარით შემცირდა და 811.153.139 ლარი შეადგინა. ინტერნეტ და როუმინგ მომსახურების გარდა, შემოსავალი ყველა ტიპის

მომსახურებაზე შემცირებულია. მობილური ტელეფონებით მომსახურების შემოსავლების საერთო კლებასთან ერთად, შარშანდელზე უფრო დაბონენტების რაოდენობა. 2009 წელს 49,3% შედარებით მობილურ ქსელში 213.616 აბონენტით მეტი ჩაერთო და საერთო ჯამში 3.060.438 შეადგინა. ფიჭური კავშირგაბმულობის ქსელის აბონენტების რაოდენობამ ჯერ კიდევ 2003 წელს გადააჭარბა ფიქსირებული ქსელის აბონენტების რიცხვს. ყოველთვიური შემოსავალი სასუალოდ ერთ აბონენტზე გადაანგარიშებით 2000 წელს 57,74 ლარს, 2006 წელს - 31,8 ლარს, 2007 წელს - 22,6 ლარს, 2008 წელს - 25,9 ლარს, ხოლო 2009 წელს - 22,1 ლარს შეადგენდა.

**მეწარმეთა რეგისტრაციის პროცენი კიდევ უფრო გაზარტინდა**

საზოგადოების წესდებისა და პარტნიორთა შეთანხმების სანოტარო წესით დამოწმება დღეს უკვე სავალდებულო აღარ არის. ცვლილება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2010 წლის 25 მაისს ამოქმედდა. საწარმოს რეგისტრაციისას წესდებაზე ან პარტნიორთა შეთანხმებაზე ხელმოწერის ნამდვილობა შესაძლოა დამოწმდეს საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ. აგრეთვე, პირველადი ან ცვლილების რეგისტრაციისას, ხელმძღვანელობაზე ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერის ნიმუში აღარ წარმოადგენს სავალდებულო სარეგისტრაციო დოკუმენტს.

**ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაციის გაუქმების პროცენი გაზარტინდა**

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში მიმდინარე წლის 25 მაისიდან შესული ცვლილების შესაბამისად გამარტინდა ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაციის გაუქმების პროცენი. კერძოდ, რეგისტრაციის გაუქმება უკვე შესაძლებელია ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი პირადი განცხადების საფუძველზე, რასაც მანამდე მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა, რის გამოც ინდივიდუალ მეწარმეს ხშირად ექმნებოდა პრობლემები ბანკებთან თუ სხვა აღმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობისას.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების



**საქართველოში ახალი პორტი  
აიგება**

სუფსაში პორტის მშენებლობა 2010 წლის ივლისში დაიწება და 2014 წლისათვის დასრულდება. პორტის წლიური წარმადობა 40 მლნ. ტონა იქნება და პირველი გემის მიღებას 2012 წლის ბოლოდან შეძლებს. ახალი პორტის სიმძლავრის ნახევარზე მეტი გათვალისწინებული იქნება თხევადი ტვირთების /ნავთობპროდუქტების, თხევადი გაზის/ გადასაზიდვად, დანარჩენი სიმძლავრე საკონტეინერო და მშრალი ტვირთების გადაზიდვას მოხმარდება. Black Sea Product-ის (BSP) დირექტორი შალვა წაქაძის ინფორმაციით, ახალი პორტის უპირატესობა მისი სიღრმეა (18 მეტრი), რის გამოც მას ნებისმიერი სიდიდის გემის მიღება შეეძლება, რომელიც ბოსფორის სრუტეში გაივლის.

**როკის გვირაბი სარეაბილიტაციოდ  
დაიხურა**

ჩინურმა კომპანია „სინოჰიდრომ“ 2010 წლის 7 ივნისიდან საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ღესეღიძის საავტომობილო გზის 142-ე კილომეტრზე, როკის გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო, რომელიც 2011 წლის გაზაფხულისათვის დასრულდება. სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებამდე საავტომობილო მიმოსვლა ამ მონაკვეთზე განხორციელდება როკის გვირაბის შემოვლითი გზის მეშვეობით. რაც შეეხება შესასრულებელი სამუშაოების ფინანსურ მხარეს, ის მსოფლიო ბანკის თანადაფინანსებით მიმდინარეობს და 50 მილიონ ლარს შეადგენს.

**საქართველოს ბიუჯეტში ცვლილებები  
იგეგმება**

საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 215 მლნ. ლარით იზრდება და 6,974 მლნ. ლარს შეადგენს. 150 მლნ. ლარით იზრდება გადასახადების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი, 120 მლნ. ლარით – დამატებული დირებულების გადასახადიდან მისაღები

შემოსავალი. საბაჟო გადასახადიდან მისაღები შემოსავალი კი 10 მლნ. ლარით მცირდება. ეს უკანასკნელი საბაჟო ტარიფების მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანამ გამოიწვია, რის გამოც სხვადასხვა საქონელზე საბაჟო ტარიფები შემცირდა.

**საქართველოს საგარეო ვალი მაისში  
აპრილთან შედარებით შემცირდა,  
თუმცა, წინა წელთან შედარებით  
ბაიზარდა**

საქართველოს სახელმწიფოს საგარეო ვალი 2010 წლის მაისში, აპრილთან შედარებით 2%-ით შემცირდა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, ეს ბოლო დროს SDR-ისა (ნახესხობის სპეციალური უფლება) და ევროს კურსის ცვალებადობამ განაპირობა. საქართველოს საგარეო ვალის ნაწილი SDR-ში აქვს აღებული და მისი კურსის ცვალებადობამ აშშ დოლარში დენომირებული საგარეო ვალი შემცირა. 2010 წლის 31 მაისის მდგომარეობით ქვეყნის საგარეო ვალი შეადგენს 3.448.263.000 აშშ დოლარს, რაც ერთი წლის წინანდელზე 18,6%-ით მეტია.

**სადაზღვევო ბაზარზე ჯანმრთელობის  
დაზღვევა ლიდერობს**

ქართულ სადაზღვევო ბაზარზე 2009 წელს მოქმედმა სადაზღვევო კომპანიებმა 1.439.691 სამედიცინო სადაზღვევო პოლისი გააფორმეს და 1.461.338 პირი დააზღვიეს. 2009 წლის შედეგებით, სადაზღვევო პროდუქტებს შორის სამედიცინო დაზღვევა ლიდერობს. დაზღვევის ამ სახეობით მოზიდული ჯამური პრემია 247,2 მლნ. ლარს შეადგენს და ამ მაჩვენებლით სადაზღვევო პროდუქტებს შორის მასზე მთლიანი ბაზრის 66,4% მოდის.

**ეკო-დაიჯესტი** ქართულ წყაროებზე დაყრდნობით მოამზადა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა **თამთა შეტელავამ**

თბილისი ეკონომისტი





ეროვნული

ბიზლინოთეკა

უწმიდესისა და უნეტარესის,

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ილია II

2010-01-06



ქრისტეს მიერ საყვარელო ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ყოველნო მკვიდრნო საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებნო ჩვენო სულიერო შვილებო!

„ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა“ (ინ. 16,33). „სოფელი ცდილობდა დაეჭირე, მაგრამ ვერ დამიჭირა“ (გრიგოლ სკავაროდა)

გიხაროდეთ, „ღამე იგი განგვეშორა და დღე შემოგვეახლა“ (რომ 13,12); აღსრულდა უდიდესი საიდუმლო ქრისტეს განკაცებისა; ზეიმობს ცა და ქვეყანა და წმიდა ეკლესიაც სიხარულით დადაბებს: „დღეს ქრისტე იშვების ბეთლემს ქალწულისაგან უბიწო სა, დღეს დაუსაბამო დაიბადების, სიტყვაი ხორცთა შეისხამს და ძალნი ცათანი აქებენ სიხარულით“; ამ გამოუთქმელ სიხარულს ვეზიარებით ჩვენც, ყველა და წმიდა ეკლესიასთან ერთად ვუგალობთ უფალს: „ქრისტეს შობასა ვადიდებთ და აღვამაღლებთ ღმერთსა დიდებულსა“.

რატომ განკაცდა უფალი? და რატომ არის დედამიწაზე მის მოვლინებასთან დაკავშირებით ასეთი დიდი სიხარული? დაუსაბამო იგი ხორციელ იქმნა, რათა ცოდვის მორევში დანთქმული კაცობრიობისათვის ხსნის გზა ეჩვენებინა და ყოფიერების ჭაობში შთაფლულთათვის სიკეთისა და ბოროტების გარჩევა ესწავლებინა; იგი განკაცდა, რომ გვეხეიმა საკუთარ თავზე გამარჯვება და კვლავ მარადიული ნეტარებისა და სიცოცხლის შესაძლებლობა მოგვცემოდა.

საერთოდ, ადამიანი ნეტარებისათვის არის ღვთისგან შექმნილი. ამიტომაც ბედნიერებისა და სიამოვნებისაკენ ღტოლვა მისი ბუნებრივი თვისება და სურვილია; ბედნიერება და სიამოვნება კი, სიყვარულს უკავშირდება.

ნებისმიერ პიროვნებას ყველაზე მეტად უყვარს ის, რაც ყველაზე მეტად სურს და ყველაზე მეტად სურს ის, რაც მას ყველაზე მეტ სიამოვნებას, სიხარულსა და ბედნიერებას ანიჭებს.

ვიდრე ადამი და ევა სამოთხეში მყოფობდნენ მათი ნეტარება ღმერთთან კავშირიდან მომდინარეობდა. ღმერთთან უშუალო კავშირი იყო მათი უმთავრესი მოთხოვნილება და ბედნიერების წყაროც.

ცოდვით დაცემის შემდგომ კი შეიცვალა მათი ბუნება, აღქმისა და აზროვნების წესი, რადგან უფლის სიყვარულით სავსე მათი გონება, გული და ნება შეიბიღწა ბოროტი ძალის დაჯერებით და მისი ნების აღსრულებით.

ამიტომ დაკარგეს ადამმა და ევამ სამოთხე და ღმერთი, როგორც ნეტარების უშრეტი წყარო და მიწიერი ყოფით მიიღეს ის, რაც მათს დაცემულ სულიერ მდგომარეობას შეეფერებოდა. ცოდვით დაცემის შემდგომ ადამიანებში გაჩნდა ბედნიერებისა და სიამოვნების მიღების სხვადასხვაგვარი მოთხოვნილებანი, რაც დროთა განმავლობაში იცვლებოდა, თუმცა უმთავრესი ყოველთვის მაინც იყო სიმდიდრის დაგროვების სურვილი, პატივმოყვარეობა, სიამეთმოყვარეობა, თანამდებობისკენ სწრაფვა, აზარტული თამაშობანი, მრუშობა, სასმელით ან ნარკოტიკით გატაცება და ა.შ. ამგვარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება არათუ მარადიულ ნეტარებას ანიჭებს ადამიანს, არამედ ამქვეყნადვე, წუთიერი სიამოვნებების ნაცვლად, სხეულისა და სულის უმძიმეს დაავადებებს იწვევს.

ბრძენს უთქვამს - მსგავსი მსგავსს შეჰხარისო. და მართლაც, ამქვეყნიურ ცხოვრებაშივე ყოველი ადამიანი თავისი ნებით ირჩევს გზას და ისწრაფვის ცათა სასუფეველის ან ბოროტების მეუფებისაკენ.

როგორც წმ. გრიგოლ ნოსელი წერს „კაცი შორის ორთა საქმეთასა არს: ცოდვისა და სათნოებისა“. იგი ან კერპთმსახური ან ღვთისმსახური, ან სიძვისმოქმედია ან სიწმინდის მატარებელი, სიმართლეს ესწრაფვის ან უსამართლობას, არის ამპარტავანი ან თავმდაბალი. ერთ-ერთის საბოლოო გამარჯვება მეორის

ახალი ეპისტოლე



უცილობელ მოსპობას ნიშნავს, რადგან „ღმრთისმსახურებისა დამტკიცება სიკუდილი არს კერპთმსახურებისა, ეგრეთვე სიმართლისა მიერ მოიკვლის უსამართლობა“... და ა.შ.

ყოველი ადამიანი უნდა ეცადოს, ამქვეყნადვე იპოვოს ღმერთი და მისდოს მის გზას. ეს კი მხოლოდ მაშინ მიიღწევა, თუ უფლის ნებას (რაც მის მცნებებშია განცხადებული) ჩვენი პიროვნული ნებაც შეუერთდება; ანუ, თუ ვიცხოვრებთ სახარებისეულად. **ღვთაებრივი და ადამიანური ნების თანხვედრას სინერგია ეწოდება;** სწორედ იგია ზეცად აღმკვანებელი უდიდესი ძალა, რომელიც ყველა დაბრკოლებას დაგვაძლევინებს და ამქვეყნადვე გვაგრძნობინებს, რომ „სასუფეველი ჩვენშია“. „ითხოვდით და მოგცეს თქვენ, ეძიებდით და ჰპოვოთ, ირვედთ და განგელს თქვენ“, - ბრძანებს მაცხოვარი.

მაგრამ ხშირად ადამიანები, რომლებიც თავს მორწმუნეებად მიიჩნევენ, ვერ აღწევენ იმას, რასაც ლოცვაში ითხოვენ. რატომ ხდება ეს?!

იაკობ მოციქულის ეპისტოლეში ვკითხულობთ: „ითხოვთ და არ გექძევათ, რადგან ბოროტად ითხოვთ, რათა თქვენი ვნებები დაიკმაყოფილოთ“ (იაკ.4.2). დიახ, ადამიანების ნაწილს მიაჩნია, რომ სწამთ ღმერთი, და ამავე დროს ერთმანეთს ეჯიბრებიან მიწიერი კეთილდღეობის მოსაპოვებლად, ან შურთ, ცილს სწამებენ და განიკითხავენ სხვას, რაც მათს ლოცვას ძალას უკარგავს.

ზოგჯერ, ესა თუ ის პიროვნება, ერთი შეხედვით, მართლაც კარგ საქმეს აღასრულებს: შემოსავლის ნაწილს გასცემს, გაჭირვებულებს ეხმარება, ტაძარსაც აშენებს... მაგრამ თუ ყოველივე ამას თავის გამოსაჩენად აკეთებს და სიკეთით ამპარტავნობს, რა თქმა უნდა, მიუღებელი იქნება უფლისათვის და არც ასეთი ადამიანის ლოცვა შეისმინება. ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ღმერთი ამქვეყნიური კეთილდღეობის სრული უარყოფისკენ მოგვიწოდებდეს ყველას. რა თქმა უნდა - არა, რადგან უფალი ჩვენგან მხოლოდ იმას ითხოვს, რომ არ გავხდეთ ხორციელ მოთხოვნილებათა მონები და მხოლოდ მიწიერი კეთილდღეობა არ იქცეს ჩვენს მამობრავებულ ძალად; მაგრამ თუ თანამდებობას, ძალაუფლებას, სიმდიდრეს და ჩვენს სხვა შესაძლებლობებს არა საკუთარი „მეს“ წარმოსაჩენად, არამედ უფლის სადიდებლად (რადგან ყოველივე მისგან გვეძლევა) და მოყვასის მსახურებისათვის გამოვიყენებთ, ღვთისსათნოდ ვიცხოვრებთ. წმიდა წერილი გვასწავლის:

„სიყვარული სოფლისა ამის, მტერობა არს ღმრთისა (იაკ, 44). „ვერვის ხელ-ეწიფების ორთა

უფალთა მონებად... ვერ ხელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონა სა“ (მთ. 6,24).

მაშ, „დაემორჩილენით ღმერთსა აღუდექით ეშმაკსა“, მიეახლენით მას და მოგეახლოს თქვენ (იაკ. 4,7).

მეტად საშუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ცოდვით მიდრეკილებები სულ უფრო და უფრო ღრმად იდგამს ფეხს ჩვენს ყოფაში. ცოდვა, როგორც ხორციელი, ადამისა და ევას დაცემიდან მოყოლებული მუდამ არსებობდა, მაგრამ ადამიანს ჰქონდა სინანულიც. სულშემრული დავით წინასწარმეტყველი ასე წარმოაჩენს ამ მდგომარეობას: „ცოდვა ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის“.

დღეს კი ცოდვა ცოდვად აღარ მიიჩნევა და იგი ღამის ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებად წარმოგვიდგინონ. ამ აზრს, რომლის დამკვიდრებასაც უცხოეთში უკვე კარგა ხანია ცდილობენ, ჩვენთანაც ეძლევა გასაქანი. ცოტა ხნის წინ უცხოური სერიალებით დაიწყეს ხალხის ცნობიერების გადაგვარება, ახლა კი ჩვენი მოქალაქენი გამოჰყავთ უზნეობის დემონსტრირებისათვის. ცოდვის საკუთარ თავში მიღებითა და შეთვისებით ადამიანს სრული გამოფიტვა ემუქრება. ამაზე კი პასუხს აგებს ყველა, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ამისკენ უბიძგებენ ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანს; მაცხოვარი ბრძანებს: „ვაი მის კაცისა, რომლისაგან მოვიდეს საცდური... (მთ. 18,7) ... მისთვის აჯობებდა წისქვილის ქვა დაეკიდათ კისერზე და ზღვის უფსკრულში ჩაეძირათ“. (მთ. 18,6) ასევე საშინელია სხვა მომაკვდინებელი ცოდვებით დამძიმებული ადამიანების ხვედრიც.


შეუძლებელი და შეუთავსებელია იყო ქრისტიანი და ამავე დროს - ნარკომანი, ქრისტიანი და - ლოთი, ქრისტიანი და - მრუში, ქრისტიანი და - ქურდი... ამგვარ საქმეთა მოქმედნი თავს ნუ მოიტყუებენ და ნუ ინუგეშებენ, ისინი ცათა სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ.

ადამიანი თავისი დაცემული ბუნებით ცოდვისკენაა მიდრეკილი და შეიძლება ის, ნებით თუ უნებლიედ, სხვადასხვა ცოდვაში ჩავარდეს, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს მონანიებისა და გამოსწორების სურვილი, რწმენა უფლისა და ღმერთი აუცილებლად დაეხმარება და მიანიჭებს მაცხოვრებელ მადლს.

ეპისტოლეში ასევე მინდა, შევეხო ჩვენი საზოგადოებისთვის აქტუალურ და მტკივნეულ ზოგიერთ სხვა საკითხსაც და, პირველ რიგში, ყურადღებას გავამახვილებ თანამედროვე ადამიანის სულიერ და ინტელექტუალურ მხარეზე. განათლების რეფორმისას დაშვებულმა შეცდომებმა შედეგად მოგვიტანა ის, რომ მოზარდები ცოდნის შექმნის სურვილს უკვე ნაკლებად ამჟღავნებენ. სამეცნიერო მოღვაწეობა კი არაპრესტიჟულად მიაჩნიათ, რადგან ხელავენ რომ ინტელიგენციას სათანადო დაფასება

ახალი ეპისტოლისი





არა აქვს (ისინი ხომ საშუალო ფენის დონეზეც კი ვერ ინახავენ ოჯახს).

ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. მეცნიერების განვითარების გარეშე ქვეყანას არა აქვს მომავალი, რადგან ერის სულიერებისა და განათლებისა ერთ-ერთ უმთავრეს ძალას სწორედ ისინი წარმოადგენენ.

ჩვენ თავს ვხრით და დიდად ვაფასებთ იმ თავდადებას, რომელიც კომუნისტური რეჟიმის პერიოდში გამოიჩინეს ჩვენმა მეცნიერებმა და ათეისტური ყოფის მიუხედავად, შეძლეს ხალხისათვის სწორი ორიენტირების შენარჩუნება.

გავიხსენოთ ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, პავლე ინგოროყვა, დიმიტრი უზნაძე, თედო სახოკია, გრიგოლ ლორთქიფანიძე, შალვა ნუცუბიძე, ივანე ბერიტაშვილი, მაქსიმე შარაძე, ფილიმონ ქორიძე და სხვა მრავალნი. მიუხედავად იმისა, რომ ისინი იყვნენ შევიწროვებულნი, დამცირებულნი და ყოველდღე ელოდნენ დაპატიმრებას..., მათ არა მარტო დაიცვეს, არამედ გაამდიდრეს ჩვენი ეროვნული ფასეულობანი, დაიცვეს როგორც თავისი, ისე ქვეყნის ღირსება.

ჩვენ უნდა გვკონდეს ჭეშმარიტებაზე დაფუძნებული ანალიტიკური აზროვნების უნარი, რომ გავარჩიოთ, რა არის მისაღები და რა უარსაყოფი, გავიაზროთ, როგორ დავძლიოთ ესა თუ ის პრობლემა, რა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ადრე დაშვებული შეცდომები აღარ გავიმეოროთ და შევძლოთ მომავლის სწორი პროგნოზირება. ჩემი დიდი ხნის ოცნებაა, სკოლაში იყოს ანალიტიკური აზროვნების კურსი, რათა მოზარდი თაობა ადრეული ასაკიდანვე მიეჩვიოს განსჯისა და სწორი ნაბიჯების გადადგმას.

ეფიქრობ, აუცილებელია ისეთი საგნის შემოღებაც, რომელსაც, ძირითადად, აღმზრდელობითი დანიშნულება ექნება. ეს საგანი ისევე უნდა ისწავლებოდეს როგორც სხვა საგნები, მაგ: ისტორია, ფიზიკა, ლიტერატურა,მათემატიკა. . რათა მომავალი თაობა მოვამზადოთ ცხოვრებისათვის.

**იგი უნდა მოიცავდეს ურთიერთობის კულტურას ოჯახში და ნათესავეებთან, ურთიერთობას მეგობრებთან და თანატოლებთან, უფროს და უმცროს თაობასთან, აქ უნდა ისწავლებოდეს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებსა და სუფრასთან ქცევის წესებს, რთული სიტუაციების დაძლევის გზები და, რა თქმა უნდა, ცოდნისა და შრომის სიყვარული.**

შრომის გარეშე ცოდნას ვერ შევიძენთ და ვერც მოვიხმართ; შრომის გარეშე ვერ შევქმნით ვერც სახელმწიფოს. ადამიანის ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია როგორც ინტელექტუალური, ისე შემოქმედებითი და ფიზიკური

შრომა. თუმცა ზოგიერთს მიაჩნია, რომ ფიზიკური შრომა ამცირებს პიროვნებას. ეს არასწორი შეხედულებაა. იგი ღვთისა და მისი ნების კეთილდღეობისა და ჯანმრთელობისათვის დადგენილი ცხოვრების წესია.

გარდამავალმა პერიოდმა, რომელიც თითქმის 20 წელია გრძელდება, მრავალი პრობლემის წინაშე დაგვაყენა. განსაკუთრებით ის, რომ ჩვენს წარსულსა და დღევანდლობაზეც ვრცელდება არასწორი ინფორმაცია, თითქოს ძირძველი ქართული მიწები ჩვენი მეზობელი ერების ისტორიული სამკვიდრებელი იყო; და ამით შუღლი და დაპირისპირება ითესება დიდი ხნის მანძილზე მშვიდობითა და ურთიერთგაგებით მცხოვრებ ჩვენს ხალხებს შორის. მაგალითად, ოსები კომპაქტურად არიან დასახლებულნი საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებშიც, და ეს ტერიტორია ისეთივე საქართველოა, როგორც ცხინვალის რეგიონი. ე.წ. სამხრეთ ოსეთი და სხვა ავტონომიებიც კომუნისტური რეჟიმის დროს შექმნილი ხელოვნური წარმონაქმნია.

მიუხედავად მომხდარისა, მჯერა, ქართველები, აფხაზები, ოსები და სხვანი, მკვიდრნი საქართველოსა, იყვნენ და კვლავაც დარწმუნებულნი იქნება გაფრთხილება მომავალი თაობებისათვის, რომ მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდეს.

ქართველი ადამიანი ბუნებით მოსიყვარულე და შემწყნარებელია. ტოლერანტობა ჩვენ წინგებიდან არ გვისწავლია, ეს ჩვენი თვისებაა. ამის ნათელი გამოხატულებაა ის, რომ საუკუნეთა მანძილზე ამ მიწაზე უპრობლემოდ ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ სხვა და სხვა ეროვნებისა და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც მეგობრობითა და მოყვრობით არიან ქართველ ხალხთან დაკავშირებულნი. ჩვენი ხასიათის ნათელი გამოხატულებაა ვაჟკაცობითა და მებრძოლი სულით განთქმული მხარის, საქართველოს მთიანეთის დიდებული შვილის, ვაჟ-ფშაველას საოცარი სიტყვები:

„ბალახი ვიყო სათიბი, არა მწადიან ცელობა, ცხვრადვე მამყოფე ისევა, ოღონდ ამშორდეს მგელობა“. დიას, შინაგანად ასეთია ქართველი კაცი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ოდესმე შეეგუება სამშობლოს ერთიანობის ხელყოფას. სამშობლო დედამიწის ის ადგილია, რომელიც ამა თუ იმ ადამიანს, ამა თუ იმ ერს ღვთის განგებულებით ებოძა.

სამშობლო, რა თქმა უნდა, არის გარკვეულ საზღვრებს შორის არსებული ტერიტორია, ის

ახალი ეპოქისთვის





ბუნება, ის წიაღისეული, ის ფლორა და ფაუნა, რასაც ეს ტერიტორია მოიცავს, მაგრამ სამშობლო არის კიდევ უფრო სხვა... სამშობლო შენი წინაპრების ძვლებით გაპოხიერებული მიწაა, შენი ერთი გაჯერებული ჰაერია, შენი გენით, შენი ხასიათით დატვირთული გარემოა. აქ, ამ სივრცეში მყოფობს მთელი ისტორია ერისა და ქვეყნისა, და ეს ყოველივე თითოეულ ჩვენგანთან უხილავი, მაგრამ ძალიან ძლიერი ველით არის დაკავშირებული.

ამიტომაც, სამშობლოს არა აქვს ოდენ მიწიერი, მატერიალური სახე. მის განსაკუთრებულობას დიდად განაპირობებს ისიც, თუ რამდენად მრავალრიცხოვანი წმინდანთა დასი ჰყავს ერს სულიერ მეოხად ღვთის წინაშე. ამ მხრივ, საქართველოს თითქმის ვერავინ შეედრება. სამშობლოსათვის გულანთებული გმირები საქართველოს არასოდეს დაეღვევა.

ჩვენს ერს ქართული ენის სახით უდიდესი საუნჯე აქვს და მას თითოეული ჩვენგანი უნდა გაუფრთხილდეს; ჩვენს ენაში განცხადებულია ჩვენი ისტორია, ჩვენი მსოფლადქმა და აზროვნების წესი. ენა არ არის მარტო კომუნიკაციის საშუალება. დააკვირდით, მაგალითად, ასეთ სიტყვებს: წუთისოფელი, სამშობლო, დედამიწა, გარდაცვალება, თავისუფლება, განათლება და სხვა ... თითოეული მათგანი როგორი ფილოსოფიური სიღრმითაა დატვირთული! ქართული ენის სისხვეს, მის დიალექტთა და კილო-კავთა მრავალფეროვნება, ქართველი კაცის განცდის სიღრმე და მდიდარი სულიერი სამყარო განაპირობებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სიძველის და საუკუნეთა მანძილზე განცდილი ცვლილებების მიუხედავად, არ გაწყვეტილა კავშირი ძველ და თანამედროვე ქართულ ენას შორის, რაც მის დიდ სიცოცხლისუნარიანობაზე მეტყველებს.

პოი ჩვენო ენავ, ჩვენი მწუხარებისა და სიხარულის მესაიდუმლევე, ცისარტყელასავით მშვიდობისმომფენო, მყინვარივით სპეტაკო და თერგივით მშფოთვარევე. ჩვენო ხელთუქმნელო სვეტო, ცამდე ამაღლებულო, საუკუნეთა ქარტყილში გამოვლილო ლერწამო, საძირკველო და მტკიცე ფუძევე ჩვენო, ჩვენთა საუნჯეთა შემქმნელო და დამცველო, მთების ძლიერებავე, მეფევე და დარაჯო ჩვენი ერის რწმენისა, ერთობისა და მთლიანობისა.

არაერთხელ მოუნდომებია ავისმდომელს შენი შელახვა, შენი მოსაპობა. დღესაც, როდესაც ჩვენს წინაშეა უმნიშვნელოვანესი ამოცანა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა, თანდათან იზრდება მეორე, არანაკლები საფრთხე ენობრივი დაშლისა; არიან ისეთი ძალები, რომელნიც ნაკლებად მოაზროვნე ადამიანებს უბიძგებენ, რომ ითარგმნოს ბიბლია ან სხვა წიგნები მეგრულად,

სვანურად, ლაზურად და მოამზადონ ნიადაგი იმისათვის, რომ ახლო მომავალში ქართული ენის ეს განშტოებანი უკვე ცალკე ენებად გამოვლნენ. მსოფლიოში ვრცელდება რუქები და კვალიფიკაციები, თითქოს საქართველო აჭარლების, ლაზების, სვანების, მეგრელების, თუშების და სხვათა ხელოვნური გაერთიანებაა, თითქოს ყველას ჩვენ-ჩვენი ენა და კულტურა გვაქვს. ამით უნდათ ჩვენი ერის სხვა და სხვა ეროვნულ გაერთიანებებად წარმოჩენა. აქედან კი სახელმწიფოს დაშლამდე ერთი ნაბიჯია.

კაცობრიობა ახალი ტიპის დაპირისპირებაზე, - ინფორმაციულ ომზე გადავიდა და იგი ძირითადად, მასმედის საშუალებით ხორციელდება. აშკარაა, რომ ჩვენს წინააღმდეგ სხვა და სხვა მიმართულებით მიმდინარეობს ინფორმაციული ომი და ამ ყოველივეს შესაბამისი საშუალებებითვე უნდა გაეცეს პასუხი. \* \* \* ჩვენი საზოგადოება ეკლესიისგან მრავალწლიანი გაუცხოების შემდეგ კვლავ უბრუნდება რწმენას და ეს ბუნებრივი, თანდათანობითი პროცესია. მართალია, ადღა გარეგნული სახე ჩვენი ქრისტიანული ცხოვრებისა: აშენდა მრავალი ტაძარი, ეკლესიები გაივსო ხალხით, გამრავლდა სასულიერო პირთა რიცხვი, ჩვეულებად იქცა საეკლესიო წესებისა და საიდუმლოებების აღსრულება (ნათლობა, წესის აგება, ჯვრისწერა, სახლის კურთხევა...), მაგრამ დღეს უკვე აუცილებელია ჩვენი საზოგადოების უფრო სიღრმისეულ სულიერ განვითარებაზე ზრუნვა. ჩვენ გამოვედით ევგვიპტიდან - ცოდვის მონობიდან, მაგრამ ალთქმულ მიწაზე, სულიერ იერუსალიმში ჯერ არ შევსულვართ. უდაბნოს გზაზე ჩვენი მსვლელობისას ზოგჯერ თავს იჩენს ცოდვითი ცდომილებანი. ამის ყველაზე მკაფიო გამოხატულებაა ჯვარდაწერილ წყვილთა ხშირი განქორწინება, ნარკომანია და აბორტი. არ შემოიძლია არ შევეხო ახალგაზრდებში გავრცელებულ ერთ მეტად მძიმე სენსაც - ბილწსიტყვაობას; რატომღაც ასეთი მეტყველება მათში კარგ ტონად და ვაჟაკობად ითვლება. სინამდვილეში კი, ეს არის დაბალი კულტურისა და აზროვნების ადამიანების შინაგანი სამყაროს გამოვლინება. ყმაწვილები ხშირად საკუთარ დედასაც შეურაცხყოფენ და ზოგჯერ ვერც აცნობიერებენ, რას ამბობენ. ეს არის უკიდურესი სიბილწე და უდიდესი ცოდვა, რითაც ადამიანი ეშმაკის თანაზიარი ხდება. საერთოდ, ყოველი სიტყვისათვის ადამიანი პასუხს აგებს ღვთის წინაშე. განსაკუთრებით კი სასტიკად დაისჯებიან მშობლების მაგინებელნი. ეს დანაშაული იმდენად მძიმეა, რომ ძველ ალთქმაში დედ-მამის მხოლოდ ავადმახსენებელნიც კი ქვით იქოლებოდნენ.

ახალი ეპოქის





მე ვთხოვ ჩვენს ახალგაზრდებს, საერთოდ უარი თქვან ბილწსიტყვაობაზე და განსაკუთრებით კი, დედასთან მიმართებაში. ერთად შევთხოვით ღმერთს, მოგვანიჭოს მადლი „უძღურთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი, რათა, ღვთის შეწყვენი, შევძლოთ ცოდვათაგან გათავისუფლება: შეუფერო ზეცათაო, ნუგეშინსმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე ადავსებ მადლითა შენითა, საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკვიდრე ჩვენს შორის და წმიდა მყვენ ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა და აცხოვენ სახიერო სულნი ჩვენნი“. \* \*

\* ამ ბრწყინვალე დღეს ყველა ჩვენგანის წინაშე დგას კითხვა: იშვება თუ არა ბეთლემს შობილი მაცხოვარი ჩვენს გულშიც? უნდა გვახსოვდეს, რომ უფალი დაიბადა არა დიდებულ სასახლესა და სამეფო პალატებში, არამედ ყველასგან მიტოვებულ უბრალო ბაგაში და ამით მაგალითი უჩვენა და თავმდაბლობისკენ მოუწოდა მთელ კაცობრიობას. მუდამ უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ 'ამპარტავანთა შემუსრავს ღმერთი, ხოლო თავმდაბალთ მოსცემს მადლს'. რატომ არის ასე?!

იმიტომ, რომ ადამიანს მხოლოდ საკუთარი ძალით, სიკეთის გაკეთება არ ძალუძს და ამის ნიჭი მას მხოლოდ უფლისაგან ეძლევა. ვინც ასე არ ფიქრობს და წარმატებებს მხოლოდ საკუთარ თავს მიაწერს, ამპარტავანების მორევში იძირება. ღმერთი მას ტოვებს და ის უფლებები და შესაძლებლობები, რომელიც ღვთისაგან ჰქონდა ბოძებული, ერთმევა; ამის ნათელი მაგალითია მეფე საული, რომელიც თავიდან თვით უფლისაგან იყო გამორჩეული, მაგრამ საკუთარი ნებით ამპარტავანების ცოდვა დაეუფლა, და ბოლოს, მეფობაც დაკარგა და, მასთან ერთად, ყველაფერიც. საულის მსგავსად, დავით წინასწარმეტყველიც ისრაელის მეფედ იყო დადგენილი, მაგრამ თავისი თავმდაბლობით იგი თაობებისათვის სინანულის მაგალითად დარჩა. ხალხისათვის ყოველთვის ის წინამძღოლია პატივსაცემი და საყვარელი, რომელიც ღირსეულია და თავმდაბალი.

საქართველოს ისტორიაში ამის არაერთი მაგალითი გვაქვს. გაეხსენოთ წმიდა მეფე დავით აღმაშენებელი, თავმდაბლობის ნიმუშია მისი „გალობანი სინანულისანი“. წმიდა თამარი - თავისი ხელსაქმით გლახაკათვის საზრდელის მიმცემი და დაუცხრომელი ღოცვით სამშობლოს დამცველი მეომრებისათვის შემწე. ბერად შემდგარი ჩვენი დიდებული მეფეები - დემეტრე I, დავით X, თეიმურაზ I... თავმდაბლობით და თავისი უბრალო ცხოვრებით გამორჩეული იყო მეფე ერეკლე II. როდესაც ძალაუფლების და დიდების მწვერვალზე მყოფი ხელისუფალნი თავმდაბლობის ასეთ უჩვეულო

მაგალითს გვიჩვენებენ, რამდენად უფრო მეტად გემართებს ეს ჩვენ?! როგორც წმიდა წერილი გვასწავლის, ძველ აღთქმაში ყველაზე უფრო და თავმდაბალი მოსე წინასწარმეტყველი იყო, რომელსაც სწორედ ამ თვისების გამო მიეცა შესაძლებლობა, ჰქონოდა ღმერთთან უშუალო ურთიერთობა; ახალ აღთქმაში და, საერთოდ, ყველაზე თავმდაბალი ადამიანთა შორის ღვთისმშობელია. იგი სიწმინდისა და ამ განსაკუთრებული მადლის გამო შეიქმნა ღირსი გამხდარიყო დედა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. სამყაროს შემოქმედი - ღმერთი ეტვირთა და წიადი თვისი ცათა უგრცელეს ეყო. თითოეული ჩვენგანის და საერთოდ, ჩვენი ერის უმთავრესი პრობლემა ის არის, რომ გვაკლია თავმდაბლობა და გვეკონია, რომ ჩვენი ძალებით, ჩვენი ჭკუითა და უნარით შევძლებთ წარმატებების მიღწევას, რაც მადლის მოპოვებაში ხელისშემშლელ გარემოებად იქცევა. ღმერთის გარეშე თვით ანგელოზებსაც არ ძალუძთ არარა, მიუშეგეს ჩვენ. ამ დიდებულ დღეს მუხლმოდრეკით, უმორჩილესად შევთხოვ ყოველადწმიდა სამებას, მოგვანიჭოს თავმდაბლობა და თითოეული ჩვენგანის გული პყოს ბეთლემის ბაგად, რომელშიც იშვება ღმერთ-კაცი იგი - იესო ქრისტე. დიდება შენდა, უფალო, მაცხოვარო ჩვენო, რომელი განცდასა ჩვენთა ცოდვათასა მოგვანიჭებ და დაცემულთა აღგვაღვინებ! დიდება შენდა, უფალო, რომელი აღგვაგვსებ ჩვენ მადლითა შენითა და გვაზიარებ საუკუნო ნეტარებასა შენსა!

დიდება და მადლობა შენდა, უფალო, რომელი აღგვაგვსებ სიხარულითა, სიყვარულითა და იმედითა შენითა! გიხაროდენ, ყოველადწმიდაო ღვთისმშობელო, შევნიერო შროშანო, რომლისაგან გამობრწყინდების მაცხოვარი. გიხაროდენ, რომლისა მიერ წყვეაი მოაკლდების, გიხაროდენ, სიწმიდისა ტაძარო, ძისა შენისა მადლისა მომფენელო. ქართველნო და ყოველნო ერთგულნო მკვიდრნო საქართველოსა! - „ითხოვდით და მოგეცეს თქვენ; ეძიებდით და პპოვოთ; ირეკდით და განგეღოს თქვენ“ (მათე, 7,7).

არ დაეცეთ, არ შედრკეთ, არ შეუშინდეთ დროს, არ დაკარგოთ იმედი ღვთისა, იმედი მომავლისა; არ დაკარგოთ სიყვარული მოყვასისა; იყავით მოყვარენი შრომისა და ცოდნისა!

„ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა“. იხარეთ ორსავე სოფელსა შინა.

ჩვენთან არს ღმერთი!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი

ილია II  
სრულიად საქართველოს კათოლიკოს -  
პატრიარქი

ახალი ეპონომოსტი





როზეტა ასათიანი  
ეკონომიკურ მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

საით მიდის საქართველო? – ეს კითხვა დღეს ძალზე აწუხებს საქართველოს მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას. ქვეყნის ბედსა და მის მომავალზე ჩაფიქრების საფუძველს იძლევა დღევანდელი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, გაუსაძლისი სოციალური ფონი, მწვავე სოციალური სტრატეგიკაცია და, თუ გნებავთ, პოლიტიკური ვითარებაც, აქედან გამომდინარე კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-ტექნოლოგიური და სხვა ფასეულობები. მაგრამ, სანამ უშუალოდ განვიხილავთ საქართველოსთვის ამ უაღრესად საჭირო პრობლემას, აუცილებელია მოკლედ გავაშუქოთ გლობალიზაცია როგორც ეკონომიკური მოვლენა და პერმანენტული პროცესი და, რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს, ეკონომიკური თეორიის, რო-გორც ეკონომიკური მეცნიერების საწყისისა და საფუძველთა საფუძვლის, როლი კაცობრიობის პროგრესში.

პირველ ყოვლისა, აუცილებელია გლობალიზაციის არსის, მისი რაობის განსაზღვრა. ეს საჭიროა იმისათვის, რომ გავარკვიოთ, რა ფენომენთან გვაქვს საქმე, რამდენად მართულია იგი და რა გავლენას ახდენს ცალკეული ქვეყნების განვითარებაზე; იგი მართლაც წმინდა ეკონომიკური ტერმინია, რომელიც XX საუკუნის 80-იან წლებში პირველად გამოიყენა ამერიკელმა თეოდორ ლევიტმა ცალკეული ბაზრების შერწყმის პროცესის ასახსნელად,<sup>1</sup> თუ უფრო ფართო მნიშვნელობისაა, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს, მსოფლიოს ქვეყნებსა და ხალხებს, სხვადასხვა ცივილიზაციებსა და კულტურებს.<sup>2</sup>


გლობალიზაცია სათავეს იღებს XX საუკუნის 60-იანი წლებიდან. იგი უკავშირდება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და მეცნიერულ-ტექნიკურ სფეროში არსებითი ძვრების დაწყებას. ეს ის

პერიოდია, როდესაც მსოფლიოს რიგმა ქვეყნებმა თავი დააღწიეს „ველური კაპიტალიზმის“ მარწუხებს, არსებითად დასრულდა დეკოლონიზაციის პროცესი, ხოლო 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაწყებულმა მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ გამოიწვია მსოფლიო ეკონომიკის დრმა სტრუქტურული ცვლილებები, რასაც მოჰყვა ეკონომიკის „სერვიზაციის“ ფართოდ გაშლა და მომსახურების სფეროს სწრაფი განვითარება. 70-იანი წლებიდან ინდუსტრიული საზოგადოების გადაზრდამ პოსტინდუსტრიულში ახალი ბიძგი მისცა მსოფლიო განვითარებას და დააჩქარა გლობალიზაციის პროცესი. ამავე პერიოდში მცურავი სავალუტო კურსების რეჟიმის შემოღებამ ხელი შეუწყო საერთაშორისო ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაციას, მსოფლიო სავაჭრო სისტემის გახსნილობასა და საერთაშორისო ვაჭრობის ზრდას. ამ გარემოებამ დადებითი გავლენა მოახდინა ახალი საზოგადოების ფორმირებასა და კუმანიზაციის პროცესების გაღრმავებაზე.

კაცობრიობის განვითარების განვლილ პერიოდთან შედარებით, ეს იყო წინადადგმული ნაბიჯი ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების თვალსაზრისით. ამ თვისებრივ ნახტომში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მან ეკონომიკას სოციალური ორიენტაცია შესძინა. ეს იყო ახალი სიტყვა მსოფლიოს ეკონომიკურ ისტორიაში, რასაც სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება მოჰყვა. ამით განვითარებულმა სამყარომ მიიღო ახალი დროის გამოწვევა, რამაც უდიდესი როლი შეასრულა 90-იან წლებში მსოფლიო სოციალისტურ სისტემაში ელვისებურად განვითარებულ პროცესებსა და „კომუნისტური სოციალიზმის“ ხანის დასრულებაში.

ახალი ეკონომიკის

<sup>1</sup> Lewitt T. International Business, the Challenge of Global Competition. “Harvard Business Review”, McGraw-Hill, 2008, p. 13.  
<sup>2</sup> Globalization: Knowledge and Society. London, “Sage”, 1990; Ohmae K. The Borderless World; Power and Strategy in the Interlinked Economy. London: “Fontana”, 1990.



ვაქტობრივად, ერთიანი მსოფლიოს ჩამოყალიბებაში კიდევ უფრო გააღრმავა გლობალური პროცესები, რაც მასშტაბური კვლევის სფერო გახდა. დღეს გლობალიზაცია ფართოდ განიხილება პოლიტიკურ და აკადემიურ წრეებში. აღსანიშნავია, რომ 1999 წელს დაეწყო (აშშ) გამართული მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მთავარი თემა სწორედ გლობალიზაცია იყო.<sup>3</sup> ამასთან, ამ უნივერსალურმა ფენომენმა სათანადო აღვილი დაიკავა როგორც უცხოურ,<sup>4</sup> ისე ქართულ<sup>5</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა, ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი შეხედულება მის შესახებ.

ეჭვგარეშეა, რომ დღეს გლობალიზაციაში (ფართო გაგებით) იგულისხმება მსოფლიოს ქვეყნებსა

და რეგიონებში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, მეცნიერულ-ტექნოლოგიური და ა.შ. პროცესების უნიფიკაცია (ერთიან სისტემებში შესვლა) აშშ-ისა და ევროატლანტიკური მხარეების უმსხვილესი ქვეყნების მიერ შემუშავებული მოთხოვნების (ნორმების, ფასეულობების, კრიტერიუმებისა და ა.შ.) შესაბამისად. ამ მოსაზრების სისწორეს ადასტურებს თუნდაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების საინფორმაციო მასალებზე დაყრდნობით, 2002 წელს გლობალიზაციის კომპლექსური მჩვენებლის – გლობალიზაციის KOF-ინდექსის შემოღება, რომლის მიხედვით ყოველწლიურად განისაზღვრება

<sup>3</sup>http://globalization.kof.ethz.ch/.

4 Harris R.L., Seid M.J. Critical Perspectives on Globalization and Neo-liberalism in Developing Countries. Boston, 2000; Abdelal R., Segal A. Has Globalization Passed its Peak? "Foreign Affairs", January/February, 2007; Papava V., Chocheli V. Financial Globalization and Post-Communist Georgia. New-York, "iUniverse", 2003; Asatiani R. The Phenomenon of Globalization and its Influence on National Economics (A Case Study of Georgia). "The Caucasus & Globalization". Vol. 1(3), Sweden, 2007; Asatiani R. Globalization and Economic Theory. "The Caucasus & Globalization". Vol. 2(1), Sweden, 2008; Бек В. Что такое глобализация? Ошибки глобализма - ответы на глобализацию. Перевод с немецкого. М., "Прогресс-традиция", 2001; Быков А. Н. Глобализация и либерализация. "Проблемы прогнозирования", № 5, 2000; Галкин А. Глобализация и политические потрясения XX века. М., 2005; Зевин Л. Проблемы регулирования глобальных экономических процессов. "МЭ и МО", № 7, 2002; Колодко Г. Глобализация и сближение уровней экономического развития: от спада к росту в странах с переходной экономикой. "Вопросы экономики", № 10, 2000; Мартин Г., Шуман Х. Западная глобализация: атака на процветание и демократию. М., Издательский дом "Альпина", 2001; Стиглиц Дж. Глобализация: тревожные тенденции. М., "Мысль", 2003; Перегудов С. Неолиберальная глобализация: есть ли альтернатива. «МЭиМо», №4, 2002; Тураев В. Глобальные вызовы человечеству. М., 2002; Яковец Ю. В. Глобализация и взаимодействие цивилизаций. М., "Экономика", 2001.

ახალი ეკონომისტი

5 აბრალავა ა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. თბ., „ინოვაცია“, 2005; აბრალავა ა. გლობალიზაციის დიდერი ქვეყნების სტრატეგია. „სოციალური ეკონომიკა“, №5, 2005; ასათიანი რ. გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი ასპექტი. თსუ შრომები. „ეკონომიკა“, №3-4, 2003; ასათიანი რ. საქართველოს მდგრადი განვითარების პრობლემები გლობალიზაციის კონტექსტში. 'გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები'. I საერთაშორისო კონფერენციის მასალები. 22-24 ოქტომბერი, 2008. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2008; ასათიანი რ. გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო. თბ., გამომცემლობა „სიახლე“, 2010; ბარათაშვილი ე. გლობალიზაცია და საქართველო. „პოლიტიკა“, №1-3, 2003; დავითაშვილი ზ. ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბ., „მეცნიერება“, 2003; მელიქიძე ვ. მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია. სოციალურ მეცნიერებათა სერია. თბ., 2006; მესხია ი., კვარაცხელია ვ. გლობალიზაციისა და ეკონომიკური სუვერენიტეტის თავსებადობის საკითხისათვის. „სოციალური ეკონომიკა“, №3, 2003; მექვაბიშვილი ვ. ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები. თბ., „ინოვაცია“, 2009; სართანია ვ. გლობალიზაცია, უმადლესი განათლება და სამოქალაქო საზოგადოება. „სოციალური ეკონომიკა“, №5-6, 2001; ჩიქავა ლ. გლობალიზაცია და შრომის საერთაშორისო დანაწილება. „მოამბე“. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია. X ტომი, თბ., 2003; ჭითანავა ნ. გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის თანამედროვე ტენდენციები (კონცეფციურ-მეთოდოლოგიური მიდგომა). 'საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში'. VI ტომი. თბ., სესესსკი, 2002; ჭითანავა ნ. ეკონომიკა – სახელმწიფო – გლობალიზაცია. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №10, 2004; ვეშაბიძე შ. დიდი ქართველი მოაზროვნეები გლობალიზაციისა და ეროვნული ეკონომიკური ფასეულობების შესახებ. „ახალი ეკონომისტი“, №2, 2009; ვიზია ვ. გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა. თბ., „უნივერსალი“, 2009; გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება: გამოწვევები და შესაძლებლობები. შრომების კრებული. საქართველოს გლობალიზაციისა და რეგიონული ინტეგრაციის კვლევის ცენტრი. თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 2008; პერსტი პ., ტომასონი ბ. გლობალიზაცია. კრიტიკული ანალიზი. თარგმანი ინგლისურიდან. თბ., „დიოგენე“, 2005 და ა.შ.

\* პოსტკომუნისტურ ქვეყნებთან კავშირთა ერთობის განმტკიცების მიზნით, 1997 წელს ნატოს სტრუქტურაში ჩამოყალიბდა „ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო“, რომელმაც შეცვალა წრდილოატლანტიკური პარტნიორობის საბჭო.





მსოფლიოს 158 ქვეყანაში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გლობალიზაციის ხარისხი.<sup>6</sup>

პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსით განისაზღვრება სამთავრობო პოლიტიკის გავრცელების ხარისხი. იგი გამოითვლება ისეთი მაჩვენებლებით, როგორცაა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა, ქვეყანაში საელჩოებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების რაოდენობა, გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მისიის წევრობა და ა.შ. პოლიტიკურ გლობალიზაციაში, საერთაშორისო წესრიგის დამყარების მიზნით, წამყვანი როლი გაეროს აკისრია.

ეკონომიკური გლობალიზაცია გამოხატავს მსოფლიო ეკონომიკაში, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში მოცემული ქვეყნის ინტეგრირების ხარისხს და გამოითვლება ისეთი მაჩვენებლებით, როგორცაა ტექნოლოგიური პროგრესის დონე და ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლის ტემპი, კაპიტალის, საქონლის (მომსახურების) საზღვარგარეთ გატანის მასშტაბები და საგარეო ვაჭრობაში ჩართულობის დონე, ინფორმაციის ნაკადების შორ მანძილზე გავრცელების ხარისხი, ქვეყნის გახსნილობისა და ინტეგრირების ტენდენციები, უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში შემოდინების მოცულობა, საერთაშორისო ვაჭრობაში საბაჟო პოლიტიკის მოთხოვნათა დაცვის ხარისხი და ა.შ. ეკონომიკურ გლობალიზაციაში მნიშვნელოვან როლს ტრანსნაციონალური კორპორაციები (ტპკ-ები) ასრულებენ.

სოციალური გლობალიზაცია განისაზღვრება ისეთი მაჩვენებლებით, როგორცაა საერთაშორისო ტურიზმის განვითარების დონე, საერთაშორისო სატელეფონო კავშირებისა და წერილების რაოდენობა, ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში უცხოელთა წილი, ყოველ 1000 კაცზე ინტერნეტით მომსახურება რაოდენობა, მთლიან შიგა პროდუქტში (მშპ) წიგნებისა და გაზეთების ვაჭრობით მიღებული შემოსავლების წილი და ა.შ.<sup>7</sup>

ამრიგად, გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა, რომელიც დიდ როლს ასრულებს და, გარკვეულწილად, განსაზღვრავს მსოფლიო პოლიტიკას. დღეს საზოგადოებრივი ცხოვრების, ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური

განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილი გლობალურ პროცესებზეა დამოკიდებული.

მესამე ათასწლეულის დასაწყისში გლობალიზაცია მკვეთრად დიფერენცირებული, ხასიათდება შინაგანი წინააღმდეგობებით, რომლებიც უპირატესად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში გამოვლინდება. ამიტომ გართულებულია განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკის მართვის დამოუკიდებელი სტრატეგიის განხორციელება. განსაკუთრებით ნაკლებად ავტონომიურია ტრანზიტული, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები. მათ სულ უფრო ნაკლები ექსკლუზიური კონტროლი აქვთ საკუთარ ტერიტორიაზე მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, რის გამოც შეზღუდული და სახეცვლილია ამ ქვეყნებში ეკონომიკური სუვერენიტეტი. მათი ეკონომიკური პოლიტიკა სულ უფრო „გრილდება“, ხოლო ეროვნული თავისებურებებისა და ტრადიციების შენარჩუნების შესაძლებლობები მცირდება.

წამყვან განვითარებულ ქვეყნებს დომინანტური პოზიცია უკავიათ ახალი მსოფლიო წესრიგის განსაზღვრაში, მაშინ როდესაც მცირე, განსაკუთრებით ტრანზიტულ ქვეყნებს გლობალური სისტემის მუნიციპალიტეტებად აღიქვამენ.<sup>8</sup> აღნიშნულმა ტენდენციამ უკვე კანონზომიერი ხასიათი მიიღო, რაზეც უდიდეს ზეგავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუციონალიზაციის პროცესი. საერთაშორისო დონეზე მართული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მნიშვნელოვანი ნაწილი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ლიდერ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებებით კონტროლდება.

ცნობილია, რომ აშშ-ს მსოფლიოში თანაბარი სიძლიერის კონკურენტები არა ჰყავს. ამიტომ მასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა და, აქედან გამომდინარე, მათი ეკონომიკური განვითარება. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ XX საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდში შეიქმნა ამერიკული დოქტრინა – „ნეოგლობალიზმი“. იგი ცნობილია „რეიგანის დოქტრინის“ სახელწოდებით და ითვალისწინებს აშშ-ის გავლენას „მესამე სამყაროს“ ქვეყნებზე.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, გლობალიზაციისგან გვერდზე გადაგომა დღეს

ახალი ეკონომიკის

<sup>6</sup> <http://globalization.kof.ethz.ch/>.

<sup>7</sup> უფრო ვრცლად იხ.: ასათიანი რ. გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო. თბ., გამომცემლობა „სიახლე“, 2010. გვ. 9-11.

<sup>8</sup> Ohmae K. The rise of the region State. Foreign Affairs, Spring, 1993, pp. 78-87.



ახალი ეკონომისტი

შეუძლებელიცაა და იგი ქვეყნის იზოლაციაში ყოფნას ნიშნავს, ვინაიდან ამ ეპოქალურ პროცესს, ნეგატიურთან ერთად, აქვს უაღრესად პოზიტიური ეფექტები. იგი არა მხოლოდ აახლოებს ქვეყნებს ერთმანეთთან, არამედ ანგრევს ჩაკეტილ, ცოტალიტარულ რეჟიმებსა და ეკონომიკებს, აფართოებს ქვეყნების პარტნიორულ ურთიერთობებს, სწრაფი ტემპით ახდენს ბიზნეს-საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას, აყალიბებს ისეთ ბიზნეს-გარემოს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს სწრაფად დანერგონ სიახლეები, ბიზნესს სულ უფრო მეტად ათავისუფლებს პოლიტიკური შეზღუდვებისაგან, რითაც მეტ თავისუფლებას ანიჭებს ბაზრებს და ა.შ.

XXI საუკუნე მსოფლიოს სთავაზობს ეკონომიკური განვითარების ახალ მოდელს. ეს მოდელი ეფუძნება ინოვაციურ ეკონომიკას, რომელშიც წამყვან როლს ინტელექტუალური კაპიტალი, ინტერნეტული ქსელი და, საერთოდ, ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები ასრულებენ. ამიტომ დღეს აქცენტი კეთდება ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობაზე<sup>1</sup>, რესურს-დამზოგველ და ნაკლებნარჩენიან ტექნოლოგიებზე, ხარისხზე, ნოუ-ჰაუზე, ახალი სახეობის პროდუქციის შექმნაზე, ახალ სტანდარტებზე და ა.შ. დღეს საერთაშორისო საბაზრო ქსელი არის დიდი სათამაშო ველი, რომელიც ნებისმიერი ქვეყნისათვის თავისებურ კომპასს წარმოადგენს: რა გზას დაადგეს, რომელი დარების განვითარებას მიანიჭოს უპირატესობა, რა უნდა იყოს მისი ეკონომიკური განვითარების გენერალური სტრატეგია და ა.შ.

ამრიგად, გლობალიზაცია თავისი არსით უნივერსალურია. იგი მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია ახალი მსოფლიო წესრიგისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესებთან. ამიტომ, მისი მასშტაბებიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე, **მნიშვნელოვანია რამდენად მართული იქნება ეს მრავალწახნაგოვანი და წინააღმდეგობებით სავსე ფენომენი.** წინააღმდეგ შემთხვევაში გლობალიზაციას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია კაცობრიობისათვის.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებასა და გლობალური პროცესების წარმართვაში ცენტრალური ადგილი ეკონომიკურ თეორიას

უკავია. ეკონომიკური მიმდინარეობები/და შესაბამისი მოდელები, შეიძლება ითქვას, განსაზღვრავენ მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკაში „თამაშის წესებს“.

თანამედროვე ეპოქა იმდენად არის დატვირთული აშკარა თუ ფარული პრობლემებით, რომ თვით ეკონომიკური თეორია დადგა ახალი გამოწვევების წინაშე თუმცა სმითისეულ „უხილავი ხელის“ პრინციპზე დაფუძნებული კლასიკურ-ლიბერალური თეორიის ჯერ ინგლისის, ხოლო შემდეგ აშშ-ისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში 160-წლიანი ბატონობისა და ამავე დროს, გარკვეული აზრით, მოვლემარე მდგომარეობაში ყოფნის შემდეგ, კონკრეტულად კი XX საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული, ეკონომიკური თეორია „დუღილს“ განიცდის და „პირველი ვიოლინოს“ როლს ასრულებს დღეს განვითარებული, მაგრამ იმ პერიოდში მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში. თანამედროვე პირობებში კი მას მნიშვნელოვანი ფუნქციები აკისრია ახალი მსოფლიო წესრიგის განვითარებაში. ამიტომ დღეს, გლობალურ ეკონომიკაში არ შეიძლება მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისგან იზოლირებულად განვიხილოთ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა. აუცილებელია ამ პროცესების გაანალიზების საფუძველზე გავაკეთოთ სათანადო დასკვნები, რათა შევძლოთ ობიექტური პასუხი გავცეთ კითხვას: საით მიდის საქართველო? აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნევთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესისა და ეკონომიკური თეორიის წინაშე მდგომი ამოცანების დაკავშირება.

ეკონომიკური თეორიის გენეზისმა, განსაკუთრებით კი „კეინზიანურმა რეეოლუციამ“, როგორც ეკონომიკისათვის სოციალური ორიენტაციის მიცემისა და რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების საფუძველმა, მეცნიერულ-ტექნიკურ რეეოლუციასთან (რაშიც, ჩვენი დრმა რწმენით, მნიშვნელოვანი როლი „სოციალურმა ინექციებმა“ შეასრულა) ერთად, დააჩქარა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩანასახოვანი მდგომარეობაში მყოფი გლობალიზაციის წარმოშობა და მისი პოზიტიური

<sup>1</sup> ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა. თბ., გამომცემლობა „სიახლე“, 2006; ასათიანი რ. საქართველოს მდგრადი განვითარების ზოგიერთი ასპექტი გლობალიზაციის კონტექსტში. „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები“. I საერთაშორისო კონფერენციის მასალები. 22-24 ოქტომბერი, 2008. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“ 2008 და სხვ.





მიმართულებით განვითარება. თუმცა, რიგმა ნეკატორმა ევექტებმა, განსაკუთრებით 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე იჩინა თავი, რამაც კითხვის ქვეშ დააყენა ეკონომიკური თეორიის „მეინსტრუმიცა“ და თვით გლობალიზაციის ეპოქალური მოვლენაც. ეს საკითხი ახლებურ თეორიულ განზოგადებასა და მეთოდოლოგიურ ასპექტში გაანალიზებას მოითხოვს. ამიტომ, ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, აუცილებელია ეკონომიკური თეორიის როლის განსაზღვრა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკასა და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკურ განვითარებაში.

მილტონ ფრიდმენისა და საერთოდ, „ჩიკაგოს სკოლის“ მონეტარულ თეორიაზე აგებული ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც თითქმის უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე ეყრდნობოდა აშშ-ისა და სხვა მოწინავე ქვეყნების ეკონომიკა, სტაბილურობისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების გარანტიად იყო აღიარებული. იგი ითვალისწინებდა მაკროეკონომიკური რეგულირების შესუსტებასა და საბაზრო ძალების გაძლიერებას, სახელმწიფო სოციალური ხარჯების შემცირებას სოციალური პროგრამების შეკვეცის, ხელფასის მინიმალური განაკვეთების „გაყინვის“, პროფკავშირების როლის შესუსტებისა და ა.შ. გზით. „ოქროს წლებად“ მონათლულ ამ პერიოდში აღზევებული მონეტარიზმი ეკონომიკურ თეორიაში „აზრთა კონვერგენციის“ უმაღლესი გამოხატულების ნიმუშს წარმოადგენდა და იგი ქვეყნის მაკროეკონომიკური რეგულირების წარმატებულ მოდელად აღიქმებოდა.

მაშინ, როდესაც აშშ ეკონომიკური ქცევის „დიდ სტაბილურობას“ ზეიმობდა, ხოლო მილტონ ფრიდმენსა და „ჩიკაგოს სკოლის“ სხვა ცნობილ წარმომადგენლებს (მაგ., ფ. კეივანს, ფ. ჰაიკს, ე. მელტცერს, ლუკასს, შვარცსა და ა.შ.) მიაჩნდათ, რომ „დეპრესიის პრევენციის ცენტრალური პრობლემა გადაჭრილი იყო“, კრიზისის დადგომის ნიშნები, განსაკუთრებით 2006 წლიდან, ნელ-ნელა იკვეთებოდა. ამ დროს, როგორც 2008 წლის

ნობელის პრემიის ლაურეატი პოლ კრუგმანი აღნიშნავს, ეკონომიკური დარგის პროფესიონალები თვლემდნენ.<sup>10</sup> მიუხედავად აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მცდელობისა, გამოეწორობინა კეთილდღეობის გზიდან ეკონომიკის მნიშვნელოვანი გადახრები, ამერიკული ეკონომიკა აცდა სწორ გზას და „ლიანდაგიდან გადავიდა“. ევროკავშირის სამიტზე 2008 წლის ოქტომბერში საფრანგეთის პრეზიდენტმა ნ. სარკოზიმ განაცხადა, რომ „ულტრალიბერალურმა კაპიტალიზმმა კრახი განიცადა და აუცილებელია იგი შეიცვალოს სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელით“.<sup>11</sup> ამის შესახებ სერიოზული მსჯელობა იყო 2010 წლის დავოსის საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე, სადაც ლიდერი ქვეყნების წარმომადგენლებმა მკაცრად გააკრიტიკეს მსოფლიოს ფულად-საკრედიტო სისტემაში შექმნილი რთული ვითარება.<sup>12</sup>

საყურადღებოა აშშ-ის ეკონომიკურ პოლიტიკაში მონეტარული თეორიის როლის შესახებ პ. კრუგმანის მოსაზრება. მისი აზრით, ჩიკაგოელი ეკონომისტების კომენტარები არის „ბნელი საუკუნის“ მაკროეკონომიკის პროდუქტი, სადაც რთულად მოპოვებული ცოდნა დავიწყებულ იქნა, ხოლო უცნაური განტოლებებით გამოპრანჭული ირაციონალური და არაპროგნოზირებადი თეორიები ძალიან შორს აღმოჩნდნენ რეალობისაგან.<sup>13</sup>

როგორც იტყვიან, პრაქტიკა ჭეშმარიტების კრიტერიუმი. ფრიდმენის მონეტარული თეორიის ნაკლოვანებებმა თავი იჩინა მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკაში. გლობალური ფინანსური კრიზისის წარმოშობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ მაკროეკონომიკური რეგულირების მკვეთრ შეზღუდვასა და, გარკვეულწილად, საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირების უკანა პლანზე გადაწევაში მდგომარეობს. ამასთან, ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში საკრედიტო რეგულირების შესუსტებამ, თვითდინებაზე მიშვებამ და წინა პლანზე ფულის ფენომენის წამოწევამ გზა გაუხსნა ვირტუალურ


ახალი ეკონომიკა

<sup>10</sup> კრუგმანი პ. როგორ მოახერხეს ეკონომისტებმა ყველაფრის არასწორად გაგება. თარგმანი ინგლისურიდან. „საქართველოს ეკონომიკა“, №10, 2009, გვ. 80 (Krugman P. How did economists get it so wrong? “New York Times”. September 2, 2009).

<sup>11</sup> The Economist. October 11, 2008, p. 12.

<sup>12</sup> <http://ictsd.org/i/news/bridgesrussiandigest/69878/>

<sup>13</sup> კრუგმანი პ. როგორ მოახერხეს ეკონომისტებმა ყველაფრის არასწორად გაგება. თარგმანი ინგლისურიდან. „საქართველოს ეკონომიკა“, №10, 2009, გვ. 80 (Krugman P. How did economists get it so wrong? “New York Times”. September 2, 2009).



ახალი ეკონომისტი

ეკონომიკას. ფინანსურმა ეკონომიკამ, რომელიც შეიძლება ითქვას, მოწყდა რეალურ ეკონომიკას, მსოფლიოს ფინანსური კრიზისისკენ უბიძგა, რომელიც შემდეგ ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდა. ფინანსური ეკონომიკა მხოლოდ საშუალებაა საბოლოო მიზნის მიღწევისათვის. საბოლოო მიზანი კი არა სპეკულაციური გარიგებები და ამ გზით ფულის კეთებაა, არამედ მატერიალური და არამატერიალური დოვლათისა და ფასეულობების წარმოება. სამწუხაროდ, ეს აქსიომატური ჭეშმარიტება არ იქნა გათვალისწინებული. ფულის კეთების ხელოვნებამ (ქრემატიستيკა – არისტოტელე) დაფარა მეურნეობის მართვის ხელოვნება (ეკონომიკა). შედეგად კი მივიღეთ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. ამაში ფრიდმენის მონეტარული თეორიის უპირობო გამოყენებამ უდიდესი როლი შეასრულა.

ნეოორთოდოქსალურ თეორიაზე მორგებული თანამედროვე მონეტარიზმის მოდელი (გარკვეული გადახრებით) საფუძვლად დაედო „დანარჩენი სამყაროს“ ქვეყნების უმეტესობის ეკონომიკურ პოლიტიკას, ამიტომ ეკონომიკური კრიზისი მეტ-ნაკლები ზომით აისახა ნებისმიერ ქვეყანაში, რაც, პირველ ყოვლისა, ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებასა და ერთობლივი მოთხოვნის დაცემაში გამოიხატა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალური მონაცემებით, აშშ-ის მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ტემპი 2008 წლის 0,44%-დან 2009 წელს მინუს 2,44%-მდე, ხოლო მთლიანი მსოფლიო პროდუქტი – 3,02%-დან 0,60%-მდე დაეცა.

მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა, შეიძლება ითქვას, გამოიწვია მონეტარიზმის „ინტელექტუალური კოლაფსი“ და თვით აშშ-შიც კი კითხვის ქვეშ დააყენა ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა. ეკონომიკურ მეცნიერებაში ამ ბოლო დროს გაბატონებულმა შეხედულებამ იმის შესახებ, რომ კეინზიანური ერა დასრულდა, გადასინჯვა მოითხოვა. კეინზიანური თეორიის დედაარსმა (ანუ იმან, რომ ეკონომიკური განვითარების ათვისების წერტილი ერთობლივი მოთხოვნის გაზრდით იწყება, რასაც ბაზრის ტევადობის, წარმოების გაფართოებისა და უმუშევრობის შემცირება მოჰყვება, ყოველივე ეს კი, წარმოქმნის მულტიპლიკაციურ ეფექტს, რაც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში აისახება) ისევ მიიპყრო ყურადღება. თანამედროვე

გლობალურმა კრიზისმა აიძულა ცივილიზებული სამყარო კეინზიანური მოდელისკენ შემობრუნებულიყო. ამიტომ საკვების დამამუშავებელი, წინა პლანზე ისევ კეინზიანური თეორიის პოსტულატებმა – ეკონომიკაში სახელმწიფოს, როგორც საბაზრო სისტემაში ჩაშენებული სტაბილიზატორის, როლის გააქტიურებამ, კერძოდ, სახელმწიფო სოციალური ხარჯების გაზრდამ და გადასახადების შემცირებამ, კერძო სექტორის სუფსიდირებამ, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის გაფართოებამ, საშუალო ფენის შენარჩუნების მიზნით მათი შემოსავლების გაზრდამ, სამომხმარებლო კრედიტის გააქტიურებამ, ანტიმონოპოლიური რეგულირების გაძლიერებამ, საზოგადოებრივი სექტორის განმტკიცებამ და ა.შ. წამოიწია. მაგალითად, დიდ ბრიტანეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, ერთობლივი მოთხოვნის დაცემის გამო, საავტომობილო წარმოების პროდუქციაზე დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი 17,5%-დან 13%-მდე შემცირდა. მსოფლიოში ტონის მიმცემი ლიდერი ქვეყნების „საკეთმიპყრობელნი“ დარწმუნდნენ იმაში, რომ ამ მიმართულებით ეკონომიკურ პოლიტიკაში არსებითი ცვლილებების გარეშე გართულდებოდა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევა, რომელმაც სათავე ფრიდმენის სამშობლოში – აშშ-ში აიღო და სწორედ „საბაზრო ფუნდამენტალიზმის“ ამ ციტადელიდან დაიწყო აქტიური ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარება.<sup>14</sup>

ამრიგად, დღეს მსოფლიო, ახალი გლობალური კრიზისის პირობებში, „ფრიდმენის ფილოსოფიის“ შეცვლის მოლოდინშია, რომლის კონტურები უკვე გამოიკვეთა.

„კეინზიანური რევოლუციიდან“ მოყოლებული, არ არსებობს დღეს განვითარებული ქვეყანა, რომელსაც ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესსა და კრიზისულ სიტუაციებში თავისი ეკონომიკური პოლიტიკისათვის საფუძვლად არ დაედო კეინზიანური მოდელი – რელიგიურ ეთიკაზე აგებული ეს პუმანური თეორია. მაგრამ ეს „ფუფუნება“ მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს ერგოთ წილად, რომელთა რიცხვი მსოფლიოში არც თუ ისე დიდია. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის (გაეროს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, გაეროს

<sup>14</sup> მაგალითად, ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების აღდგენისა და ფინანსურ ბაზრებზე ლიკვიდურობის პრობლემის გადასაჭრელად ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ (ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიის, შვეიცარიისა და კანადის ცენტრალურ ბანკებთან ერთად) გამოყო 640 მლრდ დოლარი ფინანსური ინსტიტუტების მხარდასაჭერად, ხოლო 800 მლრდ დოლარი სამომხმარებლო კრედიტის სახით («LYÈH, 17, 2009, n. 15).





ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის – UNCTAD, მსოფლიო ბანკის) თუ ცალკეულ მკვლევართა მიერ სხვადასხვა კრიტერიუმის საფუძველზე შემოთავაზებული კლასიფიკაციების მიხედვით, ამ ქვეყნების რაოდენობა განსხვავებულია (მაგალითად, გაეროს კლასიფიკაცია, ძირითადი აგრეგირებული მაჩვენებლის მიხედვით, მოიცავს მსოფლიოს 194 ქვეყანას, მათ შორის განვითარებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) 30 ქვეყანა, აქედან საქმოდ განვითარებული – 24 ქვეყანა (more developed countries), რომელთა წილად მოდის მსოფლიოში წარმოებული საქონლისა და მომსახურების თითქმის 2/3, განვითარებადია 137 ქვეყანა (less developed countries), აქედან, ყველაზე ნაკლებად განვითარებული და ღარიბია 50 ქვეყანა (least developed countries), რომელთა წილად მოდის მსოფლიო მოსახლეობის 11% და მშპ-ის მხოლოდ 0,6%; ამ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი, მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, 1 ათას დოლარზე ნაკლებია და 250-დან 750 დოლარის ფარგლებშია, მაშინ როდესაც სხვა განვითარებად ქვეყნებში 2850 დოლარამდე აღწევს. ცალკე ჯგუფადაა გამოყოფილი აღმოსავლეთ ევროპისა და ლსმ-ს 27 ქვეყანა),<sup>15</sup> მაგრამ არის 22 ქვეყანა, რომელიც გეგმიურ კლასიფიკაციაში შედიან. ეს ქვეყნებია: აშშ, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო, კანადა, ესპანეთი, შვედეთი, იტალია, ნორვეგია, ლუქსემბურგი, ავსტრია, შვეიცარია, ბელგია, დანია, ფინეთი, ისლანდია, ირლანდია, ნიდერლანდი, პორტუგალია, ავსტრალია, ახალი ზელანდია.

განვითარებული ქვეყნები გამოირჩევიან საერთო კეთილდღეობითა და სოციალური ორიენტაციით, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან „სოციალური ეკონომიკის“ სიმწიფის ხარისხის მიხედვით. მაგ., აშშ-ს, რომლისთვისაც დამახასიათებელია მაღალი ცხოვრების დონე და მნიშვნელოვანი სოციალური დანახარჯები (შეუძლია გამოყოს სოლიდური სახსრები სოციალურად დაუცველი ფენების დასახმარებლად, ჯანდაცვის დასაფინანსებლად, განათლებისა და სხვა სოციალური მიზნებისათვის), აბსოლუტური მაჩვენებლებით ჩამორჩება დასავლეთევროპული ქვეყნები, მაგრამ ისინი „სოციალური ეკონომიკის“ სიმწიფის გაცილებით მაღალი დონით ხასიათდებიან, ვიდრე აშშ.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ინსტიტუტები შემოსავლების განაწილებაში უთანაბრების ხარისხის შემცირებისა (ჯინის კოეფიციენტი) და მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით, მიმართულია ჰუმანიზაციის პროცესების გაღრმავების, სამართლიანობისა და სოციალური თანხმობის, მოსახლეობის ძირითადი ნაწილის მაღალი ცხოვრების დონის მიღწევისა და საშუალო ფენის გაძლიერებისაკენ.

განვითარებადია ის ქვეყნები, სადაც ეკონომიკურ პოლიტიკას, მეტნაკლები ზომით, სპონტანური ხასიათი აქვს და კლასიკური ფორმით არც ერთი თეორია (მათ შორის, თანამედროვე მონეტარიზმიც), მით უმეტეს, კენზიანური მოდელი არ ყოფილა გათვალისწინებული ეროვნული ეკონომიკის მართვაში. მათ, როგორც ენდოგენური, ისე ეგზოგენური ფაქტორების ზეგავლენით, ვერ გამოიყენეს ამ მხრივ მსოფლიოში აპრობირებული გამოცდილება, ამიტომ ვერ შეძლეს სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და დღესაც „ულტრალიბერალური კაპიტალიზმის“ მარწუხებში არიან. ამ ქვეყნების მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მძიმე პრობლემების წინაშეა. „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში, როგორც ცნობილია, სუსტია სამართლებრივი ინსტიტუტები, დაბალია ცხოვრების დონე, მაღალია ჯინის კოეფიციენტი, მიზეზურად საშუალო ფენა, მიუღწევადია სამართლიანობა და სოციალური თანხმობა. უკანასკნელ პერიოდში „გლობალური იმპერიის“ ქოლგის ქვეშ მოქცეული „მესამე სამყაროს“ ქვეყნების საგარეო ვალმა უკვე 2,5 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა, ხოლო ამ ვალის მომსახურების წლიურმა ღირებულებამ 375 მლრდ დოლარს მიაღწია. ეს იმაზე მეტია, რასაც ხარჯავენ ეს ქვეყნები ჯანდაცვასა და განათლებაზე და 20-ჯერ მეტი – რასაც თვითონ ყოველწლიურად იღებენ ეკონომიკური დახმარების სახით“.<sup>16</sup>

შემთხვევითი როდია, რომ როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების სტატუსი შემოდებულ იქნა XX საუკუნის 60-იან წლებში, სწორედ იმ პერიოდში, როდესაც მსოფლიო განვითარებაში სრულიად ახალი ტენდენციები და კანონზომიერებები გამოიკვეთა. ამას მოჰყვა სოციალური დიფერენციაციის მოდელების შექმნა და ქვეყნების დაჯგუფება „სოციალური სიმწიფის“ დონის მიხედვით.<sup>17</sup>

ახალი ეკონომიკის

<sup>15</sup> World Population Data Sheet Population Rederence Bureu - 2009. Washington, 2009; *Гурова И.П.* Мировая экономика. М., «Омега-Л», 2008, сс. 112-119.

<sup>16</sup> *Перкинс Д.* Исповедь экономического убийцы. 4-е издание. Перевод с английского. М., «Претекст», 2007, с. 29-30.

<sup>17</sup> *ასათიანი რ.* სოციალური დიფერენციაციის მოდელები და საქართველო. „სოციალური ეკონომიკა“, №2, 2010, გვ. 8-13.



ამრიგად, უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, გლობალიზაციის წარმოშობიდან დღემდე, განსაკუთრებით კი ბოლო ათწლეულებში მსოფლიოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და მეცნიერულ-ტექნიკურ სფეროებში უდიდესი ცვლილებები მოხდა, რაც მეტნაკლები ზომით აისახა ცალკეული ქვეყნების განვითარებაზე. ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი.

დიდი ილია ბრძანებდა: „ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს... ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნი. ეს რომ არ იყოს, კაცი ვერც საბუთს უპოვის ცხოვრებას და ვერც აზრს“.<sup>18</sup>

თანამედროვე დროებასაც თავისი „ტკივილი“ აქვს, განსხვავებული წინა ეპოქებისაგან. პოზიტიურთან ერთად, დიდია გლობალიზაციის ნეგატიური ტენდენციების გავლენა. სწორედ ამ დროების „ქერქში ჩაჯდომით“ უნდა ვეცადოთ „საბუთი ვუპოვოთ ცხოვრებას“, შეძლებისდაგვარად, წინ აღუდგეთ სახელმწიფოებრიობის, ეროვნული თავისებურებებისა და ტრადიციების დამანგრეველ გარე, ეგზოგენურ ფაქტორებს, რომელთა ნიველირების გარეშე გართულდება შიგა, ენდოგენური წინააღმდეგობების დაძლევა და ქვეყნის პროგრესი.

საქართველო ეკონომიკური ექსპერიმენტების კლასიკური ქვეყანაა. 70-წლიანი „სოციალისტური“ ექსპერიმენტი შეცვალა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ექსპერიმენტმა, რომელიც თითქმის 20 წელია გაგრძელდა და დასასრული არ უჩანს. ქვეყანაში შექმნილია „მანიკერი წრე“, რომლისგანაც თავის დაღწევა რთულდება. დავადექით კი იმ გზას, რომელიც დასახულ მიზნამდე მიგვიყვანს? ამ გზით შევძლებთ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შექმნას? არადა, დღეს, გლობალურ სამყაროში ასეთი სისტემის გარეშე წინსვლა და განვითარება შეუძლებელია.

საქართველოს წარუმატებლობის მთავარი მიზეზი, პირველ ყოვლისა, არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. ეკონომიკის

განვითარების დონისა და ეროვნული ინტერესების არაადეკვატური იყო უცხოური რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც „საფუძვლად დაედო ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას.“<sup>19</sup> „კეინზიანური რეგულაციიდან“ მოყოლებული არ არსებობს დღეს განვითარებული ქვეყანა, რომელსაც ეკონომიკის ტრანსფორმაციის პერიოდსა და კრიზისულ სიტუაციაში თავის ეკონომიკურ პოლიტიკაში არ გაეთვალისწინებინა ეკონომიკური ზრდის კეინზიანური მოდელი. საქართველოში კი იგი უგულვებელყოფილ იქნა. მაკროეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში ქვეყანაში დაწყებულმა როგორც ინსტიტუციურმა გარდაქმნებმა (სახელმწიფო საკუთრების დენაციონალიზაცია და საკუთრების მრავალფორმიანობის ჩამოყალიბება, ახალი საკანონმდებლო ბაზისა და შესაბამისი სტრუქტურების შექმნა, წარმოების ფაქტორთა, საქონლის და მომსახურების ბაზრების, საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირება და ა.შ.), ისე ეკონომიკის კონვერსიის სხვა პროცესებმა (ფასების ლიბერალიზაცია, ეკონომიკის დემონოპოლიზაცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება, საგარეო ვაჭრობისა და, საერთოდ, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაცია და ა.შ.) აშკარა დეფორმაციული ხასიათი მიიღო: ეკონომიკის რეფორმირების I ეტაპზე ფასების მოუმზადებელი ლიბერალიზაცია ჰიპერინფლაციაში გადაიზარდა, ახლად ფორმირებულმა საბაზრო ინფრასტრუქტურის ინსტიტუტებმა სპეკულაციური ორიენტაცია შეიძინა. ამას მოჰყვა საქმიანი აქტიურობის დაცემა და ეროვნული წარმოების პარალიზება. ვერ დავასახელებთ ქვეყანას, რომელსაც „ძვირი ფულის“ პოლიტიკით დაედწია თავი ეკონომიკური კრიზისისგან. საქართველოში ეკონომიკის შოკირების დამანგრეველი ეფექტების შემდეგ, რეფორმირების II ეტაპზე „ძვირი ფულის“ პოლიტიკის მულტიპლიკაციური ეფექტი ეკონომიკის არასტაბილურობისა და სტრუქტურული დეფორმაციის უმთავრესი მიზეზი გახდა.<sup>20</sup> მისი უმთავრესი მიზანი ფულის მიწოდების მკვეთრი შეზღუდვით ინფლაციის მოთოკვა და ლარის კურსის სტაბილიზაცია იყო. ლარის ხელოვნურმა გამყარებამ

ახალი მკვლევარები

<sup>18</sup> ჭავჭავაძე ი. აი ისტორია. თხზ. ტ. IV. თბ., 1955, გვ. 66.  
<sup>19</sup> პაპავა ვ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბ., „იმპერიალი“, 2000; *Панава В.* О некоторых ошибках Международного валютного фонда в Грузии. «Вопросы экономики», №3, 2002; *Панава В.* «Розовые» ошибки МВФ и Всемирного Банка в Грузии. «Вопросы экономики», №3, 2009; ასათიანი რ. ეკონომიკური რეფორმები საქართველოში: ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, №8, 2000; ასათიანი რ. საით მივყავართ რეფორმებს? (ეკონომიკის რეფორმების ალტერნატიული სტრატეგია). „ეკონომიკა“, №1, 2004; საერთაშორისო სავალუტო ფონდი: სიკეთე თუ ბოროტება? საქართველოს ეკონომიკური კოლონიალიზმის საფრთხე ემუქრება. თბ., საქართველოს მრეწველთა კავშირი, 1998.  
<sup>20</sup> ასათიანი რ. პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების უფლება არა აქვს. თბ., გამომცემლობა „სიახლე“, 2005, გვ. 313-352, 474-479.





და მისი დეფიციტის შექმნამ გამოიწვია დოლარიზაციის სწრაფი ზრდა (დოლარიზაციის დონემ 36%-ს გადააჭარბა) და ნეგატიური ტენდენციები წარმოქმნა როგორც ფულად-საკრედიტო, ისე ფისკალურ სფეროში, რაც უარყოფითად აისახა საგადასახადო-საანგარიშსწორებო ურთიერთობების მთელ სისტემაზე. „ძვირი ფულის“ პოლიტიკამ მხოლოდ „ხანძრის ჩაქრობის“ ეფექტი გამოიწვია და კიდევ უფრო დაამუხრუჭა ეროვნული ეკონომიკის განვითარება. ჩამოყალიბდა საბიუჯეტო-საგადასახადო კრიზისი, რამაც დასცა ერთობლივი მოთხოვნა და გაამწვავა სოციალური პრობლემები. ეროვნულმა ეკონომიკამ დაკარგა სოციალური ორიენტაცია, რის გარეშეც ფორმირების პროცესში მყოფი ახალი ეკონომიკური სისტემა პოლიტიკურად ნაკლებსიცოცხლისუნარიანი გახდა.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ეს ორთოდოქსული მოდელი, ისე როგორც „შოკური თერაპია“, და ამ ბოლო დროს, რეფორმირების III ეტაპზე, „ანტიკეინზიანურ რევილუციად“ მონათლული მონეტარიზმის პოსტულატებზე მორგებული ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა (რომლისთვისაც უცხოა ჭეშმარიტი ლიბერალური ფასეულობები) გარედან თავსმობხვეული იყო და საქართველოს წარუმატებლობის ათელის წერტილი და მთავარი მიზეზი სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ.<sup>21</sup> განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის აშშ-შიც კი ეს მოდელი (თანაც, უფრო დახვეწილი ფორმით) არ გამოდგა და საქართველოში „იმუშავებდა“?

მოკლედ, საქართველო მცდარ მონეტარულ პოსტულატებზე დაყრდნობით, კვლავ იღუპიების ტყვეობაში აღმოჩნდა.<sup>22</sup> ქვეყანა არ დაადგა იმ გზას, რომელიც დასახულ მიზანმდე მიგვიყვანდა. საქართველოს მოსახლეობა, ქართველი ერი დიდი სიხარულით შეხვდა დამოუკიდებლობის მოპოვებასა და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემიდან თავის დაღწევას. მაგრამ რა მივიღეთ? სახელმწიფო-მონოპოლისტური სოციალიზმი შეცვალა სახელმწიფო-მონოპოლისტურმა კაპიტალიზმმა; სამართლიანობის პრინციპებზე

აგებული დემოკრატიული ეკონომიკური სისტემის ნაცვლად მივიღეთ კვაზიდემოკრატიაზე, მონეტარული სამართლიანობაზე და ფუძემდებლური ულტრალიბერალური კაპიტალიზმი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო დასავლურ საბაზრო ეკონომიკასთან. მართალია, საქართველოში საკუთრების მრავალფორმიანობა ჩამოყალიბდა, მაგრამ შორსა ვართ საკუთრების პლურალიზმისაგან, ვინაიდან არ არსებობს საკუთრების თითოეული ფორმის თანაბარი უფლება, არ არის დაცული კერძო საკუთრება, ძალზე დაბალია საქმიანი აქტიურობა, მაღალია უმუშევრობა (იგი შრომითი პოტენციალის დაახლოებით 40%-ია), დაქირავებით დასაქმებულთა წილი (შრომითი მიგრანტების გათვალისწინებით) მხოლოდ 21%-ია. 1990 წელთან შედარებით, დასაქმებულთა რაოდენობა 1,6-ჯერ, აქედან, დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა 3,7-ჯერ შემცირდა.<sup>23</sup> საქართველოში რიგი ენდოგენური ფაქტორების გავლენით, მათ შორის არასწორად განხორციელებული ე.წ. მცირე პრივატიზაციის გამო, ვერ ვითარდება მცირე და საშუალო ბიზნესი. მცირე ბიზნესის წილად მოდის სამეწარმეო სექტორის მთლიანი გამოშვების მხოლოდ 6,6% (საშუალო ევროპული მაჩვენებელი 40%-ია), საშუალო ბიზნესის წილად მოდის 9,2% (ევროკავშირში 18%-ია), სამაგიეროდ, მსხვილი ბიზნესის წილი მთელი გამოშვების 84,2%-ია და 2-ჯერ აღემატება ევროკავშირის შესაბამის მაჩვენებელს.<sup>24</sup> თავიდან ვერ მოვიცილეთ „ხელგაწვდილობის სინდრომი“, რის გამოც ნელ-ნელა ვკარგავთ დამოუკიდებლობას. 2010 წლის 31 მარტის მონაცემებით, საქართველოს საგარეო ვალი 6160993000 ლარს შეადგენს, ხოლო მისი მომსახურებისათვის გადასახდელი პროცენტი 2010 წლის ბოლოსთვის 71,34 მლნ დოლარი იქნება.<sup>25</sup> სსშ-ის შეფასებით, საქართველოში ჯერ კიდევ სუსტია სასამართლო სისტემა და ღრმა კორუფციას ქვეყანამ თავი ვერ დააღწია.<sup>26</sup> კორუფციის ინდექსის მიხედვით, საქართველო, 2008 წლის მონაცემებით, 180 ქვეყანას შორის 67-ე ადგილზე აღმოჩნდა.<sup>27</sup>

ახალი ეკონომისტი

<sup>21</sup> ასათიანი რ. საქართველოს ეკონომიკა. ახალი ეპოქა. თბ., გამომცემლობა „სიახლე“, 2009.  
<sup>22</sup> Asatiani T. Post-communist Transition Period in the Georgian Economy. “The Caucasus & Globalization”. Vol. 3, Issue 2-3, Ca&CC Press, Sweden, 2009.  
<sup>23</sup> არჩვაძე ი. საქართველოს მოსახლეობის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი. „სოციალური ეკონომიკა“, №1, 2010.  
<sup>24</sup> Eurostat Newsrelease, №47, 2008; www.statistics.ge („სამეწარმეო სფერო“).  
<sup>25</sup> „საქართველოს ეკონომიკა“, №4, 2010, გვ. 23.  
<sup>26</sup> Georgia: Selected Issues/TNF Country Report 06/170, May, 2008, pp. 23-28.  
<sup>27</sup> მესხია ი. გლობალური ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის პრობლემები. „ეკონომოსტი“, №2, 2009, გვ. 19.



1989 წელთან შედარებით, საქართველოს მოსახლეობა 5460 ათასი კაციდან 4385,4 ათას კაცამდე, ე.ი. 21%-ით შემცირდა.<sup>28</sup> სსშ-ის და მსოფლიო ბანკის ექსპერტული შეფასებით, 2009 წელს რეალურმა მშპ-მა (მშპ-ის დეფლატორის – ფასების ჯაჭვური ინდექსის მეთოდით) 1990 წლის დონის მხოლოდ 71,1% შეადგინა, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე (მიმდინარე ფასებით) – 2450 დოლარი, რაც საშუალო მსოფლიო დონის 1/3-საც კი ვერ აღწევს.<sup>29</sup> ამ მნიშვნელოვანი ინდიკატორის თითქმის 3-ჯერ ჩამორჩენა ერთხელ კიდევ მიუთითებს საქართველოს მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში საშუალო ფენის დაბალ დონეზე (იგი მხოლოდ 9%-ია). ხელოვნურადაა შემცირებული საარსებო მინიმუმი, რომელიც მხოლოდ ნომინალურად ამცირებს სიღარიბის დონეს. ოთხსულიან ოჯახზე იგი თვეში 226,5 ლარს შეადგენს. მინიმალური ხელფასი 40 ლარია, ხოლო საშუალო ხელფასი – 572,4 ლარი.<sup>30</sup> ექსპერტთა შეფასებით, მოსახლეობის 15% დატაკია, საარსებო მინიმუმის ზღვარს მიღმა 21%-ია, სოციალურად ღარიბები (ანუ მოსახლეობის ის ნაწილი, რომლის შემოსავალი ფარავს საარსებო მინიმუმს, მაგრამ არ არის საკმარისი ნორმალური აღწარმოებისათვის) 50%-ია, მდიდრები – 5%, ხოლო მათ შორის შეძლებული – 3,5%.<sup>31</sup>

ასეთი მწვავე სოციალური სტრატეფიკაციის გამო, საქართველო გამოირჩევა დანაზოგების ძალზე დაბალი დონით და ამ მაჩვენებლის მიხედვით საპარის სამხრეთით მდებარე განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში განსხილება.<sup>32</sup> ამიტომ, ვინაიდან დეპოზიტების ბაზა საკმარისი არ იყო, ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით ბანკები საგარეო ბაზრებიდან სესხების მოზიდვას ახერხებდნენ. ამ კამპანიამ იმდენად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ უცხოური ინვესტიციები გახდა არა ქვეყნის შიგა დანაზოგების დეფიციტის შევსების წყარო, არამედ, შეიძლება ითქვას, ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა. სსშ-ის მისიის მიერ

საქართველოში გატარებული რეფორმების შედეგად, კომერციული ბანკები თანდათან ერთგვარდობის კონტროლიდან გამოვიდნენ. საგარეო ინვესტიციები საკრედიტო ბაზარზე ბანკების საინვესტიციო აქტიურობამ. 2008 წლის ბოლოსათვის პრაქტიკულად არ მუშაობდა გრძელვადიანი დაზოგვის მექანიზმი, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დეპოზიტების დაზღვევის ინსტიტუტის არარსებობამ. აქედან გამომდინარე, საქართველოს საბანკო სისტემას ბზარი 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაწყებამდე გაუჩნდა. თუმცა გლობალურმა კრიზისმა ეს ბზარი კიდევ უფრო გააღრმავა.<sup>33</sup> მიუხედავად იმისა, რომ ბრიუსელის ცნობილ დონორთა კონფერენციაზე საქართველოს საბანკო სექტორის მხარდასაჭერად, სესხებისა და გრანტების სახით, 850 მლნ დოლარი გამოიყო, 2009 წლის იანვარში კომერციული ბანკების აქტივები, წინა წელთან შედარებით, 319 მლნ ლარით შემცირდა.<sup>34</sup> ყოველივე ეს ნეგატიურად აისახა ქვეყნის რეალურ სექტორზე და განაპირობა საქართველოს საექსპორტო პოტენციალის საბანკო დაფინანსების გარეშე დატოვება.<sup>35</sup> აღნიშნულმა და სხვა უარყოფითმა შიგა პროცესებმა მწვავე პრობლემად აქცია საგარეო ვაჭრობის პერმანენტული დეფიციტი. 2009 წლის ოფიციალური მონაცემებით, სამომხმარებლო ბაზრის 70% იმპორტულ საქონელზე მოდის და ექსპორტით იმპორტის დაფარვამ მხოლოდ 23,7% შეადგინა. ამასთან, დასავლეთის საკრედიტო „ინიექციებმა“ სწრაფად გაზარდა საქართველოს საგარეო დავალიანება და უდიდესი დილემის წინაშე დააყენა ქვეყანა საგარეო ვალის მომსახურების მხრივ. 2009 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა 8,4 მლრდ ლარი შეადგინა, აქედან სამთავრობო სექტორის ვალი 31,7%-ია, ეროვნული ბანკის – 11,0, საბანკო სექტორის – 18,4, სხვა სექტორების – 38,9%.

ახალი საკონომისტი

<sup>28</sup> www.statistics.ge (სექცია „მოსახლეობა“).  
<sup>29</sup> http://www.geostat.ge/?action=page&p\_id=118&lang= geo; Human Development Report - 2009. New York, 2009, p. 194-198.  
<sup>30</sup> http://bls.gov/data/; www.statistics.ge (სექცია „შინამეურნეობები“).  
<sup>31</sup> www.goeconomics.ge; არჩვაძე ი. საშუალო ფენა საქართველოში: სოციალურ-ეკონომიკური როლი და მნიშვნელობა. „საქართველოს ეკონომიკა“, №7, 2007.  
<sup>32</sup> კორდონიე კ. კერძო დანაზოგები, მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ფინანსური სექტორის განვითარება საქართველოში. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. GELPAC, ოქტომბერი, 2008, გვ. 62.  
<sup>33</sup> ასათიანი რ. საქართველოს საბანკო სისტემა გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში. „ეკონომისტი“, №4, 2009.  
<sup>34</sup> www.mbg.ge/uploads/depositarycorporeshenqartulad/assets\_liabilities\_of\_commercial\_banks\_totalgeo.xls  
<sup>35</sup> საქართველოს ეკონომიკური საფრთხეებისა და მთავრობის კრიზისისგან დაცვის სტრატეგიის ანალიზი და რეკომენდაციები. ანგარიში მომზადდა კოალიცია 'გამჭირვალე ფინანსური დახმარება საქართველოს' ფარგლებში. თბ., თებერვალი, 2009.





საქართველო, ეკონომიკის ინტელექტუალიზაციის დონის (ტექნიკურ მიღწევათა ინდექსის) მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნების ჯგუფშია მოქცეული. ურთულესი პრობლემების წინაშე ქვეყნის აგრარული სექტორი, რაც შეუიარაღებელი თვალთაც კარგად ჩანს. გარდა იმისა, რომ 1990 წელთან შედარებით, საქართველოს მშპ-ში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წილი 30-დან 8%-მდე დაეცა და წარმოიქმნა სასოფლო-სამეურნეო ლაგი (გარღვევა

წარმოების ფაქტობრივ და პოტენციურ მოცულობებს შორის), სოფლის მოსახლეობის ინტენსიური მიგრაცია ქალაქად, ტყეების ჩეხა და უცხოელთა გასხვისება, ასევე, სხვა ნეგატიური პროცესებიც უდიდესი საფრთხის წინაშე აყენებს ქართულ სოფელს და შოკისმომგვრელ ევექტებს წარმოქმნის... და მაინც, საით მიდის საქართველო? პასუხი მკითხველისთვის მიგვიჩნია. გვახსოვდეს: „ქვეყნად ერთი საქართველოა და იგი ჩვენი“.

**EPOCH-MAKING PROCESS OF GLOBALIZATION AND ECONOMIC THEORY BEFORE NEW CHALLENGES**

**ROZETA ASATIANI**

**Doctor of Economic Sciences, Professor**

This article examines the prerequisites for the rise of globalization and its development patterns, analyzes the positive effects of its influence on national economies, and draws attention to the specific adverse manifestations of this multifaceted process in small countries. In this connection, the author gives a general outline of the post-Soviet stage in the development of the Georgian economy.

Economic theory has a central role in the world's economic development and management of the global processes. The genesis of the economic theory lay the foundation to the positive development of the globalization. However, due to the objective and subjective reasons, different negative effects has questioned the “mainstream” economic theory and the globalization process itself. The modern financial crisis caused the “intellectual collapse” of the monetarism and cast the doubts on the liberal economic policy even in USA.

Widespread notion in economic theory that the Keynesian era had finished is about to be revised.

Georgia in transition period did not use any classic model of the economic growth. The recommendation followed by Georgia were not appropriate for the country. This is the main reason for failure of economic reforms.

In Georgia 86% of population is in poor category, including 15% - extremely poor; Due to the officially low level of living minimum the poverty level in Georgia is nominally low - below the official line of poverty is 21%, socially poor (or those, whose income is enough for existence but is not enough for minimal living standards) is 50%, the middle class is just 9%, reach - 5%, including well-off - 3,5%.

Georgia is one of few countries which still cannot reach the “pre-transformation” era's GDP level – it is just 71 % of year 1990's GDP. The GDP per capita in Georgia is \$2450, which is just 35% of average world level. The subsistence level is 226 GEL for four member family, while minimal wage is 40 Gel which is 10 times lower than minimal basket of goods. Nowadays the unemployment is 40.8% of labor force.

The share of imported goods on local market is 70% and the export-import ratio is just 23,7%. The external debt is growing fast. By 2009 Dec 31 it was GEL 8 397 bil including government external debt of GEL 5,7 bil (\$3,4 bil).

Where is Georgia going to? The answer is on the reader.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრობლემები



ეროვნული  
ნივლიანობა

პაატა კოლუაშვილი

თსუ, პროფესორი,

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი



აგრარულ საწარმოთა კოოპერირება ობიექტური ეკონომიკური პროცესია. მას განაპირობებს საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა განუწყვეტელი სრულყოფის პროცესი, რომელიც მოითხოვს მიწაზე ოპტიმალური სიდიდის შესაბამისი ორგანიზაციული ფორმის მეურნეობრიობის ტიპს.

კოოპერირება, ანუ გაერთიანება სხვა საწარმოო სტრუქტურასთან ამა თუ იმ მიზნობრივი საქმიანობისათვის, ყოველთვის მიმზიდველია წერილი მესაკუთრისთვის, რადგან კოოპერატივში გაერთიანება აძლევს შანსს კოლექტიურად განახორციელოს ის, რაც მას დამოუკიდებლად არ შეუძლია. მიწის წვრილ მესაკუთრეებს ამ გზით შეუძლიათ გაზარდონ მოგება წარმოების ეფექტიანობის ხარჯზე, შეამცირონ საწარმოო ხარჯები წარმოების საშუალებების შექმნისას (ბითუმად უფრო იაფად შექმნის გამოს), მიაღწიონ პროდუქციის ბაზრის გაფართოებას, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უფრო საიმედოდ მომარაგებას და ა.შ.

სოფლის მეურნეობაში კოოპერაციულ მოძრაობას თავისი ობიექტური წანამდგრები აქვს, რომლებიც, თავის მხრივ, ამ დარგის სპეციფიკურ საწარმო-ეკონომიკურ თავისებურებებს უკავშირდება.

ნატურალური მეურნეობიდან სასაქონლო მეურნეობაზე გადასვლის პერიოდიდან აგროპროდუქციის მწარმოებლები მუდამ განიცდიდნენ აღწარმოებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების ნაკლებობას. ბანკები, როგორც წესი, არ აფინანსებდნენ წვრილ მეურნეობებს, რომელთა ბედი ძირითადად მეტეოროლოგიურ პირობებზე იყო დამოკიდებული და ამასთან, არ გააჩნდათ საკამრისი ქონება გარანტიისთვის. აღნიშნული მდგომარეობა აიძულებდა ფერმერებს მოენახათ კრედიტის სხვა

ხელმისაწვდომი საშუალებები. XIX საუკუნის მეორე ნახევარში გერმანელმა სოფლის მამასახლისმა ფ. რაიფაზენმა წვრილ მეწარმეთა დასახმარებლად შექმნა კოოპერატიული ტიპის საკრედიტო საზოგადოება, რომლის საქმიანობა იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ ის მყისიერად გავრცელდა ჯერ ევროპაში, ხოლო შემდგომ ამერიკაში.<sup>1</sup>

საკრედიტო კოოპერატივის სისტემამ არსებითი მოდიფიკაცია განიცადა და ერთ-ერთ უძლიერეს საკრედიტო სისტემად ჩამოყალიბდა მსოფლიოში. კერძოდ, დღეს გერმანიაში რაიფაზენის ბანკებზე მოდის სოფლის მეურნეობაზე გაცემული კრედიტების 40%-მდე, ნიდერლანდებში (სადაც მას რაბობანკი ჰქვია) – 70%-მდე, ავსტრიის, ბელგიის, ესპანეთის, პორტუგალიის, შვედეთის, შვეიცარიის საკრედიტო კოოპერატივებზე მოდის 30-60% და ა.შ.

აგრარული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში საკრედიტო კოოპერატივების ფორმირება ინტენსიურად მიმდინარეობს. მათ შორისაა ისეთ ქვეყნებიც, როგორცაა უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი და სხვ. ამ მიმართულებით გასააქტიურებელია აგრარული პოლიტიკა ჩვენს ქვეყანაშიც.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია არის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების და მათი კავშირების სისტემა, რომელიც იქმნება სოფლად საქონელმწარმოებელთა მიერ მათი ეკონომიკური, ორგანიზაციული და სხვა ინტერესების უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს, ის მეურნეობის გაძლიერების ერთ-ერთი ორგანიზაციული ფორმაა, რომელიც შექმნილია სოფლად საქონელმწარმოებელთა მიერ საპაიო შენატანების გაერთიანების საფუძველზე, ერთობლივი საწარმო ან სხვა სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად, მათი წევრების მატერიალური და სხვა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.<sup>2</sup>


ახალი ეკონომიკისტი

<sup>1</sup> კოლუაშვილი პ., დაკრედიტების პრობლემები და მისი გადაწყვეტის გზები აგრარულ სექტორში.

აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტომი №5, 1999.

<sup>2</sup> Чайнов А.В. – Основные идеи и формы организации сельскохозяйственной кооперации. М. Книгосоюз, 1927.





სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი იქმნება საქონელმწარმოებელთა მიერ, ანუ იმ ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ, რომლებიც ჩაბმული არიან აგრარული პროდუქციის წარმოებაში. კოოპერატივის წევრის შემოსავალი კოოპერატივიდან უნდა იყოს მისი მთლიანი შემოსავლის 50% ზე მეტი.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები იქმნება შემდეგი ძირითადი ფუქემდებლური პრინციპებით:

- კოოპერატივის წევრების ნებაყოფლობითობა;
- მოგება-ზარალის განაწილება ყველა წევრზე სამეურნეო (ან სხვა) საწარმოო საქმიანობაში პირადი მონაწილეობის გათვალისწინებით;
- სამეურნეო საქმიანობაში იმ პირთა მონაწილეობის შეზღუდვა, რომლებიც არ არიან მოცემული კოოპერატივის წევრები;
- კოოპერატივის მართვა დემოკრატიული პრინციპებით (ერთ წევრზე ერთი ხმა);
- კოოპერატივის ფუნქციონირების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა ყველა წევრისათვის.

სოფლის მეურნეობაში განასხვავებენ საწარმოთა კოოპერირების ორ ფორმას: პორიზონტალურსა და ვერტიკალურს.

პორიზონტალური კოოპერირების განვითარების ორგანიზაციულ ფორმად გამოდის სამეურნეობათაშორისო საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც შეიქმნება იყოს სხვადასხვა მიმართულებისა (საწარმოო, საბინაო, საკრედიტო, სარეწაო, მომარაგების, მარკეტინგული და ა.შ.).

სამეურნეობათაშორისო კოოპერირების ბაზაზე წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ შემდეგი ძირითადი პრინციპებით: პირველი და უმთავრესი პრინციპი, ესაა ნებისმიერ კოოპერატივში გაერთიანების ნებაყოფლობითობა ერთობლივი საქმიანობის განსახორციელებლად; სამეურნეობათაშორისო გაერთიანებაში შესული მეურნე სუბიექტებისა და ორგანიზაციათა სამეურნეო დამოუკიდებლობის შენარჩუნება; პროდუქციის (მომსახურების) წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის გადიდება, ხარისხის ამაღლება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და შრომის მწარმოებლურობის ამაღლება; გაერთიანების თითოეული მონაწილე სუბიექტის მატერიალური დაინტერესება წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში კოოპერირების დონის მნიშვნელოვან მაჩვენებლად გვევლინება კოოპერირებულ საწარმოთა, საერთო პროდუქციის ხვედრითი წონა ცალკეული ტერიტორიული ერთეულების (მხარის, რაიონის და ა.შ.) საერთო პროდუქციაში.

აგრარულ რეფორმას საქართველოში ორი ძირითადი ამოცანა უნდა გადაეჭრა: საადგილმამულო ურთიერთობათა მოწესრიგება (მიწის განაწილება) შესაბამისი კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების მეშვეობით და არსებულ მეურნეობათა რეორგანიზაცია ახალი სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმების დასამკვიდრებლად.

ქვეყანაში ჩატარებული მიწის რეფორმასა და საწარმოთა რესტრუქტურისადაც, წვრილი ნატურალური და ნახევრად ნატურალური გლეხური მეურნეობების შექმნა მოჰყვა, რომელთაც არა აქვთ დიდი პერსპექტივები საქართველოს სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფაში. ამასთან, ამ მეურნეობებს არა აქვთ სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაღალმოსავლიანი ჯიშის სათესლე მასალისა და შხამქიმიკატების შექმნის საშუალებები, მოკლებული არიან სრულყოფილ სერვისულ მომსახურებას და ა.შ. ამ და სხვა პრობლემებს ეს მეურნეობები ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად ვერ წყვეტენ, რის გამოც ვერ აწარმოებენ საჭირო რაოდენობისა და ხარისხის პროდუქციას. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სათანადოდ არ არის მათი ურთიერთობები დარეგულირებული სახელმწიფოსთან, ბანკებთან, გასაღების ობიექტებთან და სხვა, გასაგები გახდება მიწაზე ახლად შექმნილი მეურნეობრიობის ფორმების, მათ შორის გლეხურ-ფერმერული მეურნეობების პრობლემები და სავალალო მდგომარეობა.<sup>3</sup>

ოჯახური ფერმები საქართველოში, იმდენად ჩრდილში მოექცნენ, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღრიცხვის ბიულეტენში და შესაბამის ინფორმაციებშიც კი არ ხვდებიან.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ არ არსებობს ყველა პირობისთვის მისაღები მიწაზე ერთიანი, ეფექტური მეურნეობრიობის ფორმა. ეს ფორმა ყოველ კონკრეტულ ადგილზე თვით საქონელმწარმოებლებმა უნდა შეარჩიონ ეკონომიკური და სოციალური გარემოს, ბიოგეოკლიმატური და სხვა პირობების გათვალისწინებით. მაგრამ იმ პირობებში, როცა ჩვენს ქვეყანაში კერძო საკუთრებაში გადასული

<sup>3</sup> კოლუაშვილი პ., აგრარული რეფორმა: შედეგები და პერსპექტივები, თბ., 1998.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია



ახალი მეცნიერება

მიწის მთელი ფონდი 1 მლნ-ზე მეტ ნაკვეთადაა დაქუცმაცებული, სოფლის მეურნეობის საწარმოო ბაზის გამსხვილება-გამასივება ნებაყოფლობით საფუძველზე მიწის წვრილ მესაკუთრეთა გაერთიანების გზით, ყველა შემთხვევაში უნდა განხორციელდეს.

საქართველოს მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში (რასაც განაპირობებს მრავალფეროვანი ბიოგეოკლიმატური პირობები, ურთულესი ვერტიკალური ზონალობა), მცირე (საშუალო) სიდიდის ფერმათა სიჭარბე არ არის საგანგაშო, რამდენადაც ქვეყნების უმრავლესობაში მათი ოპტიმალური სიდიდე ადგილობრივი ბიოგეოკლიმატური პირობებით, კულტურათა მოვლა-მოყვანის სპეციფიკურობითა და აგრომრავალდარგოვნებით არის განპირობებული. მათი ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი გზა, მიწაზე მეურნეობრიობის კოოპერატიული ფორმის დაფუძნებაა. მეურნეობრიობის ეს ფორმა გარკვეულწილად ხსნის როგორც მიწის დამუშავების, ასევე წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის პრობლემებს და საფუძველს უქმნის შემდგომ ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის უფრო მაღალი დონის მქონე სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმების შექმნას.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები მკაცრად ნებაყოფლობით საფუძველზე უნდა შეიქმნას თითოეული მონაწილის მიერ შეტანილი პაის (წილის) საფუძველზე. მათი დაფუძნებისთვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შემუშავება (კერძოდ, მისაღებია კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ, მიწის მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი გაერთიანებების შექმნის წესი და დებულება), რომელშიც, “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული კოოპერატივებისაგან განსხვავებით, აისახება მიწაზე მეურნეობრიობის ამ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სპეციფიკური თავისებურებანი და რეგულირების საშუალებები, რაც საჭიროა მათი ნორმალური ფუნქციონირებისათვის. კანონმა “სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ” უნდა დაარეგულიროს ამ ფორმის საწარმოთა ორგანიზაციის, ფუნქციონირების, სახელმწიფოსთან ურთიერთობის (ძირითადად გადასახადები) და სხვა საკითხები.<sup>4</sup>

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დასაფუძნებლად, მიწის მექანიკურად თანამონაწილეობასთან ერთად, კერძო-საჯარო და პესპექტიულ საშუალებად, უცხოური კრედიტების (შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთით) და გრანტების მოზიდვა უნდა იქნეს მიზნული. აღნიშნული წესით დაფუძნებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს საშუალება ექნებათ შეიძინონ მიწის სავარგულების დასამუშავებელი მანქანა-იარაღები, საჭირო ინვენტარი და სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღწარმოებისათვის საჭირო მატერიალური საშუალებები (მინერალური სასუქები, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებები და ა.შ.), შექმნან წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის საკუთარი ქსელი (დიდ ქალაქებში, მსხვილ სამრეწველო ცენტრებში და დასახლებულ პუნქტებში) და, საბოლოო ანგარიშით, მიადწიონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალ კონკურენტუნარიანობას.

მარკეტინგული კოოპერატივების დაფუძნებისა და ფუნქციონირების პერსპექტივები აგრარულ სექტორში.

მარკეტინგული კოოპერატივი არის ბიზნეს – ორგანიზაცია, რომელსაც ფლობს ფერმერთა ჯგუფი პროდუქციის კოლექტიურად გაყიდვის მიზნით. ეს საშუალებას აძლევს აგრომწარმოებლებს ერთობლივად შეასრულონ ის ფუნქციები, რისი შესრულებაც მათ მარტო არ შეუძლიათ. ძალიან ბევრ სოფლის მეურნეს აქვს შედარებით ნაკლები შესაძლებლობა ზეგააყენა მოახდინოს აგრობიზნესსა და საკვების მწარმოებელ დიდ კომპანიებზე, რომლებიც ყიდულობენ მათ საქონელს. მწარმოებელთა გაერთიანებამ კოოპერატივს შეიძლება უფრო მეტი შესაძლებლობა შეუქმნას ბაზარზე. ამასთან, კოოპერატივი აძლევს მწარმოებელს მისსავე პროდუქტზე მეტი კონტროლის საშუალებას, რადგან ის თავადვე ირჩევს კლიენტთან მისასვლელ გზას. ასეთ შემთხვევაში ფერმერები უფრო მეტ მოგებას ნახულობენ.

როგორც ცნობილია, მარკეტინგული კოოპერატივების შექმნა და ფუნქციონირება გულისხმობს დამფუძნებელთა მატერიალურ-ფინანსურ საშუალებათა გაერთიანებას საერთო მიზნის მისაღწევად. ეს პრინციპი განსაკუთრებით ღირებულია დღეს, რადგან საქართველოში არსებულ პირობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლები მოკლებულნი არიან ასეთ საშუალებებს.

<sup>4</sup> კოლუაშვილი პ., საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზები, „კოლორი“, თბ., 2004.





სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგული კოოპერატივი ითავსებს ბევრ ფუნქციას. მას შეუძლია თავი მოუყაროს რამდენიმე მწარმოებლის პროდუქციას ერთ დიდ ჯგუფად, დაახარისხოს და გაამზადოს ბაზარზე გასატანად, რათა შემდეგ ეფექტიანად ივაჭროს და განახორციელოს კონკურენტუნარიანი გაყიდვები. ზოგიერთი კოოპერატივი ახორციელებს პირველ ეტაპს, მაგალითად, ხორბლის, სიმინდის მარცვლის გაწმენდასა და თხილისთვის ჩენჩოს გაცლას, როცა სხვები ვერტიკალურად ინტეგრირდებიან ინდუსტრიული მარკეტინგისათვის (B2B) პროდუქციის დამუშავების გზით.

მარკეტინგული კოოპერატივები შესაძლებლობას აძლევს მწარმოებლებს:

- 1) გამოასწორონ ბაზრის ჩავარდნა იქ, სადაც ფასები ძალიან დაბალია ან მყიდველებმა ბაზარში სიარული შეწყვიტეს;
  - 2) უზრუნველყონ იმ მომსახურებით სარგებლობა, რაც სხვაგან ხელმიუწვდომელია;
  - 3) მოიპოვონ საბაზრო ძალა გაცილებით უფრო დიდი მყიდველების წინაშე;
  - 4) უზრუნველყონ რისკისა და დანახარჯების გადანაწილება;
  - 5) ჰქონდეთ საკმარისი პოტენციური პროდუქციის ეფექტიანი გადამუშავებისთვის ან მყიდველთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
- საბაზრო კოოპერატივის კლასიფიცირება შეიძლება მოხდეს იმის მიხედვით, თუ როგორ არის ორგანიზებული, რაც ძირითადად ეფუძნება წევრობას, კონტროლსა და, ხშირ შემთხვევაში, დაფარვის არეალს. არსებობს ორგანიზაციული სტრუქტურის სამი ძირითადი ტიპი: ცენტრალიზებული, რეგიონული და შერეული.

ცენტრალიზებული კოოპერატივი იქმნება ინდივიდუალური მწარმოებლების მიერ. კონტროლი და პროდუქცია მწარმოებლებიდან პირდაპირ კოოპერატივის ხელში გადადის. მსგავსი კოოპერატივები, როგორც წესი, ემსახურება ადგილობრივ თემს/მოსახლეობას. მათი ფუნქციები ხშირ შემთხვევაში შემოიფარგლება მარკეტინგის ისეთი პირველი ნაბიჯებით, როგორიცაა შეროვნება და დახარისხება.

რეგიონული კოოპერატივი არის დიდი მოცულობის და მოიცავს დიდ გეოგრაფიულ არეალს. ის კონტროლს უწევს ადგილობრივ კოოპერატივებს, რომლებისგანაც შედგება რეგიონული კოოპერატივი. ეს უკანასკნელი ზოგჯერ მოქმედებს მხოლოდ როგორც გაყიდვების აგენტი. ზოგიერთ შემთხვევაში კოოპერატივები ასრულებენ უფრო რთულ სამეწარმეო ფუნქციებს.

დაბოლოს, კოოპერატივების მცირე რაოდენობას აქვს სტრუქტურა, რომელიც აერთიანებს ცენტრალიზებულ და რეგიონული ნიშნებს ასევე, როგორც ინდივიდ მწარმოებლებს ადგილობრივ კოოპერატივებს. ეს, როგორც წესი, წარმოადგენს დიდ ორგანიზაციას რომელიც შექმნილია კონკრეტულ ინდუსტრიაში უნიკალური სიტუაციების სამართავად.

კოოპერატივის წევრობის სარგებელი შეიძლება აიხსნას სხვა ფაქტორებთან ერთად შემდეგნაირად:

მარკეტინგი, კოოპერატივის ბაზარზე, როგორიცაა სერვისებისა (მომსახურება) და საჭირო მასალების შესყიდვა, საშუალებას აძლევს წევრებს გააერთიანონ თავიანთი ძლიერი მხარეები დამოუკიდებელი ბიზნესმენების სტატუსის მოსაპოვებლად. მათ შეუძლიათ შეამცირონ დისტრიბუციის ხარჯები, ერთობლივი რეკლამირება გაუკეთონ პროდუქციას და განავითარონ შესაძლებლობები პროდუქციის ისეთი სახით წარმოსადგენად, რაც უფრო მიზიდავს მყიდველს.

შუამავლის მიერ ზოგიერთი საბაზრო ფუნქციის შესრულებით, კოოპერატივმა შესაძლოა შეძლოს მოგების მიღება, რომელიც განაწილება წევრებზე. სუფთა შედეგი შეიძლება იყოს ფერმერთა პროდუქციის უფრო მაღალი ფასი. კოოპერატივი, რომელიც ფლობს სატრანსპორტო საშუალებებს, შეძლებს გადაზიდვები უფრო დაბალ ფასებში განახორციელოს. რისთვისაც შესაძლოა წევრთა მძღოლებად და ტექნიკურ პერსონალად გამოიყენება. საბაზრო ფასები შესაძლოა მნიშვნელოვნად შემცირდეს, თუ კოოპერატივი მიზნობრივად და გონივრულად გამოიყენებს სერვისებს.

მცირე ფერმებისთვის ასევე შესაძლებელია ხელმისაწვდომი გახდეს ახალი და შედარებით დიდი ბაზრები, რაც ნიშნავს მაღალ ფასებს. მცირე ფერმები შეძლებენ პროდუქციის გაყიდვას მხოლოდ ახლომდებარე ბაზრებზე, მათი შეზღუდული შესაძლებლობების გამო გადახდილ პროდუქცია უფრო მომგებიან ბაზარზე. მარკეტინგულ კოოპერატივებს შესაძლოა ჰქონდეთ საკმარისი რესურსები პროდუქცია მიიტანონ უფრო დიდ ბაზარზეც, სადაც ფასებიც უფრო დიდია, მარკეტინგული კოოპერატივებს შეუძლიათ გამოიყენონ სხვადასხვა გზები, რათა ფერმებს ხელი შეუწყონ უფრო უსაფრთხო ბაზარზე გასასვლელად. ხელისშემ- წყობი ფაქტორების არსებობა შექმნის ნდობას მყიდველსა და კლიენტს შორის, რომელიც მოიძიებს და იყიდის კოოპერატივის ბრენდს. ეს კი კოოპერატივის პროდუქციას უპირატესობას მიანიჭებს იმ შემთხვევაშიც კი, როცა ბაზარი გაჯერებულია.

ახალი კონსტრუქტი

**კოოპერირების მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.**

კოოპერატივი ფერმერებს აძლევს ბიზნესის განვითარების შესაძლებლობას. ეს არის ერთობლივი მუშაობისა და მიღებული შემოსავლის ერთმანეთში გაზიარების მექანიზმი. თუმცა, კოოპერატივი არ არის წარმატების გარანტია, ის წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას ფერმერებისთვის წარმატების მისაღწევად. კოოპერატივების საშუალებით აგრარული სექტორი შეიძლება განვითარდეს ძალიან სწრაფად და ფერმერებს მიეცეთ შესრულებული სამუშაოების გაუმჯობესების საშუალება.

კოოპერატივს აქვს რამდენიმე უპირატესობა, სხვა ორგანიზაციულ სტრუქტურებთან შედარებით. ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს ფერმერების მჭიდრო და საქმიანი ურთიერთდამოკიდებულება.

დაბალი შემოსავალი ფერმისთვის წარმოადგენს დიდ პრობლემას. ფერმერთა უმრავლესობა საქონლის მხოლოდ თვითღირებულების დაფარვას ახერხებს. ერთობლივი მუშაობა წარმოადგენს პრობლემის მოგვარების საუკეთესო საშუალებას.

კოოპერატივების შექმნა ფერმერებს უშუალოდ ვაჭრობას, ხდის მათ უფრო თვითდაჯერებულს გარიგების/შევაჭრების პროცესში და უზრდის საბაზრო ცოდნას.

კოოპერატივები პოპულარობით სარგებლობენ მთელ მსოფლიოში. განსაკუთრებით აგრარულ ქვეყნებში.

საქართველოში მიწის ნაკვეთის სიდიდე სოფლად ერთ კომლზე, ჩვეულებრივ კომერციულ (ოპტიმალური სიდიდის) ფერმასთან შედარებით, პატარაა. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება ხდება ძირითადად ოჯახის დონეზე. მიღებული პროდუქციის მხოლოდ მცირე ნაწილი გადის ბაზარზე, ხოლო პროდუქციის მეტი წილი ოჯახური მოხმარებისთვის არის გამოიზნული.

პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის რეკონსტრუქციის შედეგად, სოფლის მეურნეობის განვითარება შეფერხდა შემდეგი მიზეზების გამო: პირველი, არსრულფასოვანი ბიზნეს-გარემო, მაგალითად, საკუთრების უფლების საკითხის მოუგვარებლობა, დანაწევრებული მიწის ნაკვეთები და უხარისხო მანქანა- დანადგარები; მეორე, ტექნიკური დაბრკოლებები, როგორცაა მოუწესრიგებელი საირიგაციო სისტემა, ასევე დაბალპროდუქტიული ჯიშები; მესამე, ტექნოლოგიებისა და სასოფლო-სამეურნეო მენეჯმენტის შესახებ არასრული ცოდნა; მეოთხე,


არაადეკვატური გარემო და სასოფლო სექტორის მიმართ გულგრილი მიდგომა. მხოლოდ რამდენიმე საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი და წარმოებასთან კავშირგაწყვეტილი კვლევითი ინსტიტუტი არსებობს და ძირითადად საერთაშორისო ორგანიზაციები ზრუნავენ ინფრასტრუქტურის განვითარებაზე; დაბოლოს, ისეთი ეკოლოგიური პრობლემების არსებობა, როგორცაა ნიადაგის ეროზია, ეკოსისტემის რღვევა და გატუჩყიანება, კიდევ უფრო ამძიმებს არსებულ სიტუაციას.

ფერმერების თანამშრომლობა ბრკოლდება იმის გამო, რომ კოოპერატივების დაფუძნება სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან ყოველგვარი მხარდაჭერისა და კონსულტაციების გარეშე ხდება. ამიტომაც ისმის კითხვა: რა აბრკოლებს კოოპერატიული ჯგუფების შექმნას? რა სახის ერთობლივი ძალისხმევა არსებობს არსებულ პრობლემათა გადასაჭრელად. მაშინ როდესაც იგი აუცილებელია დანაწევრებულ (პარცელურ) მეურნეობათა გაერთიანებების შექმნისა და მათი ეფექტიანობის ამაღლებისთვის.

როდესაც ვსაუბრობთ ფერმერთა წარუმატებლობაზე, სამი რამ უნდა გავითვალისწინოთ: ტექნიკური, ფინანსური და სოციალური პრობლემები, რომლებიც ერმანეთთან ურთირთკავშირშია. ტექნიკურ კომპონენტში ნაკლები გამოცდილების ქონა არის ერთ-ერთი დიდი პრობლემა. ძალიან ბევრ ადამიანს წარმოადგენს არა აქვს, თუ რა არის კოოპერატივი, რა პრინციპები და სარგებელი აქვთ მათ, რა უფლებებით სარგებლობენ მათი წევრები, რა ვალდებულებები აკისრიათ და ა.შ. ეს არის იმის შედეგი, რომ კოოპერატივი ასოცირდება კლამეურნეობასთან. წარსულში, ცუდი გამოცდილების გამო, ხალხს არ სურდა თანამშრომლობა და არც იცოდნენ მისი არსისა და პრინციპების შესახებ. ახლა კი სიტუაცია საგრძნობლად შეიცვალა, რაც არის საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური თანამონაწილეობის შედეგი საქართველოში კოოპერატივების შექმნისა და განვითარების საქმეში.

მანქანა-დანადგარების არარსებობა იწვევს კოოპერატივების მარცხს. თუკი ზოგიერთ ორგანიზაციას აქვს წარმატების მიღწევის სურვილი კონკურენტუნარიან გარემოში (ან თუნდაც გადარჩენის), წარმოების პროცესში უნდა გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები, რაც აუცილებელია ხარისხიანი პროდუქციის წარმოებისათვის.

ახალი პოსტსოსტი







დღეს საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიების დეფიციტია. ხალხს არ შეუძლია ამ ტექნოლოგიების შექმნა ფინანსური პრობლემების გამო. ქართველი ფერმერებისთვის არ არსებობს, აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო მოსავლისა და პირუტყვის დაზღვევა, რის შედეგადაც ბუნებრივ კატასტროფებსა და არახელსაყრელ გარემო პირობებს ასევე შეუძლია კოოპერატივების დანგრევა. გარდა სადაზღვევო შემთხვევებისა, ზოგჯერ, დიდი დანაკარგის დროს, ფერმერების წახალისების მიზნით უნდა ხდებოდეს მთავრობის მხრიდან მათი სუბსიდირება. ამასთან ერთად, როგორც წესი, სასოფლო სამეურნეო საქმიანობა საჭიროებს მთავრობისგან ფინანსურ და ტექნიკურ თანადგომას, მხარდაჭერას, მაგრამ სახელმწიფომ ეს ვერ შეძლო. ეს სიტუაცია იყო სწორედ საბანკო სისტემის მიერ აგროსექტორის დაკრედიტების ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი. კომერციული ბანკები არ ენდობოდნენ სოფლის მეურნეობას (მაღალი რისკი, გარანტიების არარსებობა და სხვ.), რომელიც საჭიროებდა გრძელვადიან კრედიტებს. ისინი არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ გაცემული თანხა გაზრდილი პროცენტით დაუბრუნდებოდათ. ასე რომ კრედიტი სოფლის მეურნეობისთვის არ არსებობდა. დღესაც კი ბანკების მცირე რაოდენობა ვასცემს კრედიტს ფერმერებზე (მასზე მოდის გაცემული კრედიტების მხოლოდ 1%), რაც ხშირ შემთხვევაში არის მოკლევადიანი, მაღალი საპროცენტო განაკვეთით. ფერმერთა უმრავლესობა თავს იკავებს კრედიტის აღებაზე არასასურველი პირობების გამო. რაც ასევე კოოპერატივების წარუმატებლობის (გაკოტრების) მიზეზი ხდება. კოოპერატივების მარცხის მიზეზი, გარდა აღნიშნულისა შეიძლება ბევრი სხვა ფაქტორიც იყოს.

ილია ჭავჭავაძემ ასე განმარტა აგროკრედიტის მწვენილობა: „**დანიშნულება საადგილმამულო კრედიტისა განკარგებაა მამულ-დედულისა, გაძლიერება მიწათმოქმედთა ღონისა და მომცემლობისა.**“ ამაზე ლოგიკური განმარტება ალბათ ძნელი წარმოსადგენია.

ფერმერებს, მათ გაერთიანებებს აუცილებლად ესაჭიროებათ სპეციალური აგროსაკრედიტო სისტემის შექმნა, რადგან ფინანსების (კრედიტების) ხელმისაწვდომობის გარეშე მეურნეობა ვერ განვითარდება. მსოფლიო გამოცდილებამ და საქართველოს ბოლო წლების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ აგროკრედიტის სისტემის (თანამედროვე აგროკრედიტების სისტემა წარმატებით მოქმედებს

საფრანგეთში – ურთიერთდახმარების აგროკრედიტი, აშშ-ში – ფერმერთა საკრედიტო სისტემა, გერმანიაში – რაიფენზენის კრედიტობელგიაში – ბრენდენბონდი, პოლანდიაში – რაობანკი და ა.შ.) შექმნის გარეშე, მხოლოდ კომერციული ბანკები ვერ უზრუნველყოფენ აგრარული სექტორის ნორმალური ფუნქციონირებას და შემდგომ განვითარებას, რადგან ისინი თვლიან, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება მათი წარმატებული საქმიანობისათვის არახელსაყრელია. კომეციული ბანკები გამოდიან იმ ფაქტიდან, რომ აგრარული რეფორმა ჯერ არ დამთავრებულა და არ შექმნილა მიწის თავისუფალი ბაზარი, შესაბამისად არ არსებობს გაცემული კრედიტიდან მოგების ან კომპენსაციის მიღების გარანტია. ამას ემატება ისეთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტის უქონლობა, როგორცაა გამართული სადაზღვეო სისტემა და ა.შ.<sup>5</sup>

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კომერციული ბანკები და ამ ტიპის სხვა სტრუქტურები, თავიანთი სპეციფიკიდან გამომდინარე, საბაზრო პრინციპებისა და მუდმივი კონკურენციის პირობებში საქმიანობას აგებენ მაღალ მოგებაზე და, რაც მთავარია, შემცირებული რისკის პირობებზე. ამიტომაც, რომ ყოველთვის და ყველგან ისინი არ წარმოადგენენ საიმედო პარტნიორებს. ეს ნიშნავს, რომ აგრომწარმოებლები კრედიტს მიიღებენ მხოლოდ მაშინ, როცა მათ ეს ნაკლებად სჭირდებათ, ანუ იმ შემთხვევაში, როდესაც მათი ფინანსური შესაძლებლობანი, საბაზრო ინფრასტრუქტურისა და ფასების გამო, შედარებით დამაკმაყოფილებელია. ასეთი სიტუაცია განსაკუთრებით მტკივნეულია, როდესაც საქმე ეხება ე.წ. ნაკლებ- განვითარებულ ქვეყნებს. როგორც წესი, ამ დროს კომერციული საბანკო სისტემა ჯერ კიდევ სუსტია, აქტივები მწირი, ხოლო გაკოტრების შანსი მაღალი. ასეთ სიტუაციებში მათი საქმიანობის პრიორიტეტი მიმართულია მხოლოდ გარანტირებული უკუგების მქონე სფეროებზე. ამიტომ ისინი თავს იკავებენ უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში კაპიტალის დაბანდებისაგან. სწორედ ასეთ სიტუაციაში იმყოფება დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობა, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია.

საკრედიტო რესურსით აგროსექტორის გარანტირებული უზრუნველყოფა, მხოლოდ კომერციული დაწესებულებების გამოყენებით, პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან კერძო სტრუქტურა ქვეყნის აგრარული პოლიტიკის

ახალი ეკონომიკა

<sup>5</sup> კოლუაშვილი პ., ზიბზიბაძე გ., სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, თსუ, თბ., 2006.



პროორიტეტების განაწილებისას ვერ შეძლებს ნეიტრალიტეტისა და ობიექტურობის დაცვას.

დასახელებული ფაქტორებისა და საქართველოს ბიუჯეტის მწირი შესაძლებლობების გათვალისწინებით, კრიზისიდან გამოსავალი იმ გამოცდილების გათვალისწინება და ადგილობრივი პირობების მისადაგებაა, რომელიც განვითარებული ქვეყნების აგრარული კრედიტის სფეროშია დაგროვილი. აქ კარგადაა შერწყმული სახელმწიფო რეგულირებისა და კერძო ინსტიტუტების მუშაობის სპეციფიკა. სახელმწიფო რეგულირებასა და კონტროლზე აგროსასურსათო სექტორის გადაყვანა მათი გამოცდილების მთავარი მონაპოვარია.

საქართველოში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა ნათლად გვიჩვენებს, რომ პრობლემის რეალურად გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური აგრარული საკრედიტო სისტემის ფორმირებით. იგი შემდეგი ობიექტური ფაქტორებითა და სპეციფიკური თავისებურებებითაა განპირობებული:

- წარმოების პროცესის სეზონური ხასიათი;
- წარმოების რენტაბელობის შედარებით დაბალი დონე;

ახალი ეკონომისტი

- სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური მახასიათებლების დაბალი საიმედოობა (არამდგრადობა);

- სოფლად საქონელმწარმოებლისთვის მოკლევადიან კრედიტებზე ხელმისაწვდომობის ციკლური ხასიათი;

- შესაბამისი სტიმულირების არქონის გამო, სოფლად დაგროვილი ისედაც მწირი ფინანსური კაპიტალის გადინება დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში;

- სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი საკრედიტო რესურსების აუცილებელი სიიაფე;

- ეკონომიკის აგრარულ სექტორში, სასაქონლო და მომსახურების ბაზრისაგან განსხვავებით, ფულადი კაპიტალისა და საკრედიტო ბაზრის არასრულყოფილი ხასიათი (წარმოების სეზონურობისა და ხანგრძლივობასთან დაკავშირებული);

- წარმოების შედეგების, ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულობის გამო, კომერციული ბანკების მხრიდან ობიექტური უნდობლობის ფაქტორის არსებობა;

- გლეხების (ფერმერების) მხრიდან კრედიტის ასაღებად საჭირო გირაოს უქონლობა, საბანკო სისტემაში არსებული რიგი ინსტიტუციური ნაკლოვანებები და სხვ.

აგრარული საკრედიტო სისტემის საერთო დამახასიათებელი ნიშნებია:

პირველი, სახელმწიფო მხარდაჭერისა და რეგულირების პოლიტიკის არსებობა;

მეორე, აგრარული საკრედიტო სისტემის პრინციპული განსხვავება ჩვეულებრივი საბანკო-საკრედიტო სისტემისაგან (რაც ძირითადად მის მიზნობრივ ხასიათში ანუ დარგობრივ პრინციპში პოულობს ასახვას);

მესამე, აგრარულ სექტორთან დამოკიდებულებასა და ურთიერთობაში ამ სისტემებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი;

მეოთხე, აგრარული საკრედიტო სისტემის გავრცობა ადგილობრივ, რეგიონულ და ცენტრალურ დონეზე;

მეხუთე, თითოეული დონის ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა და მკვეთრად გამოიხსნა;

მექექსე, მუშაობის პროცესში ურთიერთსოლიდარობის პრინციპის არსებობა (თუმცა სხვადასხვა სისტემაში ეს განსხვავებული ხარისხით ვლინდება).

აგროსაკრედიტო სისტემა არ მუშაობს დივიდენდების განაწილებაზე. იგი მიღებულ მოგებას საკუთარ საბრუნავ კაპიტალში აბრუნებს და პერმანენტულად ზრდის სესხის გაცემის მასშტაბებს. სესხის მიღებისათვის არც მატერიალური გარანტიებია საჭირო და არც წინასწარ შედგენილი ბიზნეს-გეგმა. აქ მთავარია ურთიერთობა, ნდობა, პასუხისმგებლობა, რომელსაც კოოპერატიული გაერთიანების, როგორც ერთი ოჯახის, წევრობა წარმოშობს.

სპეციალური აგროსაკრედიტო სისტემის ფორმირების შემდეგ შეიქმნება რეალური პირობა ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის დაფინანსება-დაკრედიტების მწყობრივი სისტემის არსებობისათვის. ასეთ სიტუაციაში, სპეციალურ საკრედიტო სისტემასთან ერთად, წარმოიქმნება მყარი პირობები ამ სექტორის დაკრედიტებაში სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურების მონაწილეობისათვის. მათ შორის მნიშვნელოვანი იქნება: სახელმწიფო ბიუჯეტის, კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, ინდივიდუალური კრედიტორების, ურთიერთდახმარების ადგილობრივი საღაროების და სხვა ალტერნატიული წყაროების მონაწილეობა.





სპეციალური აგროსაკრედიტო სისტემის შექმნა საჭიროებს აუცილებელ რეგულირებასა და კოორდინაციას, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე. მსოფლიო პრაქტიკამ დაადასტურა, რომ აგრარულ სფეროში, პერიოდული ხელშეწყობის გარეშე, შესაძლებელია გამოუსწორებელი უკუეფექტის მიღება. ამიტომ აგროსასურსათო სექტორის დაკრედიტების სისტემის შექმნისა და პროცესების რეგულირების საკითხში სახელწიფოს მონაწილეობა აუცილებელ ღონისძიებად გვესახება.

აგროკრედიტის სისტემის ფუნქციონირების მთავრი მიზანი უნდა იყოს აგროსასურსათო სექტორის საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ხელშეწყობა; საინვესტიციო პროცესების რეგულირება; შიდა ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნილების რეგულირება; საექსპორტო პროდუქციის სტიმულირება და სხვ.

ამდენად, საქართველოში მეწარმეობისა და აგრობიზნესის განვითარებისთვის მიმდინარე ეტაპზე გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს ეფექტური საკრედიტო-საფინანსო მექანიზმის ჩამოყალიბება. პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია სპეციალური აგრარული საკრედიტო (ურთიერთდახმარების, კოოპერატიული ტიპის) სისტემის (სასს) ფორმირებით, რომელიც, ერთი მხრივ, დაეფუძნება მსოფლიო აგრო-საკრედიტო სისტემის პრაქტიკას და გამოცდილებას, ხოლო, მეორე მხრივ, შეჯერებული იქნება ქართული სოფლის სპეციფიკასთან.

სპეციალური აგროსაკრედიტო სისტემის შემოთავაზებული ვარიანტი წარმოადგენს

აგრარული სექტორის ძირითადი ფონდების რეკაპიტალიზაციის აქტიური პოლიტიკური გატარების ინსტრუმენტს. იგი ძირითადად დაფუძნებულია მისი წევრების კოოპერირებული სახსრების უფრო ეფექტიან გამოყენებაზე, რომელიც სესხის მიღების შედარებით გაიოლებული პირობებით, დაბალი საპროცენტო განაკვეთით, ურთიერთნდობით სოლიდარული პასუხისმგებლობისა და კორუფციის გამორიცხვით მიიღწევა.

აღნიშნული საკითხის სისტემური გადაწყვეტა და სახელმწიფო რეგულირება ხელს შეუწყობს ამ სექტორში მეურნეობრიობისათვის საჭირო პირობების შექმნას, აღწარმოების მასშტაბების გადიდებას და კონკურენტული გარემოს ფორმირებას, რაც, საბოლოო ანგარიშით, მყარ გარანტიებს შექმნის ქვეყანაში კოოპერატიული გაერთიანებების ჩამოყალიბებისა და სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაჭრისათვის.

დასასრულ, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობი (პროდუქციის წარმოების, ფასების სწორად განსაზღვრისა და რეალიზაციის) სამი ძირითადი პირობა:

- ბაზრებთან კავშირი და კონკურენცია;
- განვითარებული აგრარული სტრუქტურები (რომლებიც ემსახურებიან კოოპერატივებს წარმოების განვითარებაში);
- კრედიტების ხელმისაწვდომობა (სპეციალური აგროსაკრედიტო სისტემის ფორმირება, სოფლად ურთიერთდახმარების საღაროებისა და საკრედიტო კავშირების შექმნა).

ახალი პერიოდი

**MARKETING CO-OPERATION CAN BRING KINDNESS**

**PAATA KOGUASHVILI**  
**TSU Professor, Doctor of Economic Sciences**

It is possible to get a good benefit in the market by creating co-operatives. In particular, marketing co-operations can increase that income, which we get from the market system. To seek success co-operations should guess economical stimulation mechanism and for this the farmers should do their best and provide the market with safe product by the name of co-operation.

Unification in co-operation for the farmer means to get many profits, from the marketing point of view. This includes: problem of transportation, problem of selling, keeping, decreasing expanses on unit productions, taking production abroad and etc.

In Georgia there are all the preconditions to develop marketing co-operations in villages and creating special agrarian credit system. That firstly reflects on farmers successful works and than on the country's economics and mostly, on agrarian sector's revive.



ეთერ სარჯველაძე  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი  
თსუ ასისტენტ პროფესორი

ახალი პერიოდისტი

ექსპორტის წილის ზრდა ქვეყნის საერთო ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, მაგრამ, სწორი მარკეტინგული სტრატეგიისა და დიდი ძალისხმევის გარეშე, მიზნის მიღწევა წარმოუდგენელია.

საქართველოს საგარეო ბაზარზე წარმატებისათვის აუცილებლად სჭირდება საკუთარი საქონლის მისადაგება კონკრეტული ქვეყნის სტანდარტებთან და ეროვნულ, კულტურულ-რელიგიური თავისებურებებით განპირობებულ მოთხოვნებთან.

გასათვალისწინებელია აგრეთვე, ჩვენი ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობები და უპირატესობები.

საერთაშორისო ბაზარზე გასვლისათვის მარკეტინგის სტრატეგიის განსაზღვრა გულისხმობს მიზნობრივი ბაზრის დაკმაყოფილების მიზნით მარკეტინგის სტრუქტურის ფორმირებას, შესაბამისად, მარკეტინგის სტრუქტურა ორიენტირებული უნდა იყოს ისეთ ძირითად ელემენტებზე, როგორცაა: პროდუქციის წარმოების დაგეგმვა, გასაღება, მოძრაობა, ფასი. ამდენად, ყველა ამ ელემენტის მიმართ, უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური სტრატეგია.

საერთაშორისო მარკეტინგი არის მარკეტინგის განსაკუთრებული სფერო, რომლის ფორმები და მასშტაბები გაცილებით რთულია, ვიდრე მისი ორგანიზაცია მიკროეკონომიკურ დონეზე. საგარეო ბაზარზე პროდუქციის რეალიზაცია მეტ ძალისხმევას მოითხოვს, ვიდრე ამ პროცესების ორგანიზაცია ქვეყნის შიგნით.

საერთაშორისო მარკეტინგს, ისევე როგორც ბიზნესს, აქვს თავისი სპეციფიკა და თავისებურებანი. იმ ფაქტორთაგან, რომლის გათვალისწინებაც უწევთ ფორმებს სხვა ქვეყნებში პროდუქციის გატანის დროს, ყველაზე მნიშვნელოვანი არის სამართლებრივი ფაქტორი, რომელიც გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს მწარმოებლებს.

სხვადასხვა ქვეყნებში სასურსათო პროდუქციის სტანდარტებისადმი წაყენებული მოთხოვნები იცვლება დიდ დიაპაზონში. ამასთან, მეტ-ნაკლები სიმკაცრით ყველა ისინი ორიენტირებულია ამ ქვეყნების მოსახლეობის დაცვაზე. ევროკავშირი მოითხოვს მათ ბაზრებზე გასვლამდე ქვეყნის მთავრობებმა გარანტია გასცენ, რომ საქსპორტო პროდუქტები, რომლებიც განკუთვნილია ადამიანებისათვის, წარმოებულია ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად. ამასთან, დაწესებულებები, სადაც ხდება ამ პროდუქტების წარმოება, უნდა პასუხობდეს იგივე სტანდარტებს, რასაც მსგავსი საწარმოები ევროკავშირის ქვეყნებში. შესაბამისად, მეწარმეებმა პროდუქციის ექსპორტირებისათვის უნდა დააკმაყოფილონ სამიზნე ბაზრების მოთხოვნები სასურსათო პროდუქტების უვნებლობასთან დაკავშირებით და უზრუნველყონ საფრთხის მიკვლევადობა წარმოების მთელი ჯაჭვის პროცესში.

სასურსათო პროდუქტების ექსპორტირების დროს აუცილებელია უზრუნველყოფილი იქნას სურსათის უვნებლობა, სანიტარული და ფიტოსანიტარული მოთხოვნები, სტანდარტები და რეგლამენტები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის უსაფრთხოებასთან. ევროკავშირის ქვეყნები, რომელთაც აღნიშნულ სფეროებში რეგულატიური კონტროლის მაღალი დონე აქვთ, არ დაუშვებენ დაბალი უვნებლობისა და უსაფრთხოების სტანდარტების მქონე ქვეყნებისაგან მათ ბაზარზე პროდუქციის იმპორტს.

ჩვენს ქვეყანაში, ბოლო 20 წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენების გამო, მნიშვნელოვნად დაეცა სასურსათო პროდუქციის წარმოება. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით: 2009 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა (მლნ.





აშშ დოლარი) იყო 5513.0; საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB) – 1134.9; საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF) 4378.1. რაც შეეხება საგარეო ვაჭრობის საღლოს, იგი უარყოფითია და შეადგენს - 3243.2, ხოლო სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 7%-ის ფარგლებშია [4].

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყანაში, პირველ ყოვლისა, ძალიან დიდი რესურსების მობილიზება არის საჭირო იმისათვის, რომ ადგილობრივმა წარმოებამ დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნილება აუცილებელ და ამავე დროს ჩვენთვის ტრადიციულად დამახასიათებელი სასურსათო პროდუქტების წარმოებაზე, შესაბამისად, საქართველოს პრიორიტეტი უნდა გახდეს არა მარტო ექსპორტის მაჩვენებლების ზრდა, არამედ იმპორტის შემცირება და ადგილობრივი წარმოების განვითარება, ამასთან, აუცილებელია დამკვიდრდეს წარმოების კულტურა იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც აუცილებელია საერთაშორისო ბაზრებზე გასასვლელად.

საერთაშორისო ბაზრებზე გასვლამდე საჭიროა შემუშავებულ იქნას ქვეყნის მთავრობის დონეზე სტრატეგიული მარკეტინგული გეგმა და მისი გადაწყვეტის გზები ყველა დონეზე ფერმიდან (ნედლეულიდან) - გასაღების ბაზრების ჩათვლით.

სტრატეგიული დაგეგმვა მეტად რთული პროცესია, ამიტომაც მარკეტინგის სტრატეგია უნდა იყოს მაქსიმალურად ოპტიმალური და მიღწევადი საქონლის შემუშავების, ბაზარზე შეღწევის და ბაზრის განვითარების მიმართულებით.

საქართველო პატარა ქვეყანაა, ამიტომ მან განსაკუთრებული აქცენტი პროდუქტის ხარისხსა და მრავალფეროვნებაზე უნდა გააკეთოს. საქართველოს კლიმატური პირობები, რელიეფის მრავალფეროვნება და ნიადაგი, ისევე როგორც აგროწარმოების მდიდარი ტრადიციები, ამის საშუალებას ნამდვილად იძლევა. წარმატების მიღწევისათვის აუცილებელია შემუშავდეს როგორც სახელმწიფო, ისე საშუალო და მცირე საწარმოთა დონეზე ხარისხის მართვის სისტემაზე დაყრდნობით მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და გადაამამუშავებელი დარგის სწრაფი განვითარების სტრატეგიული გეგმა.

ვინაიდან საქართველოში შესაძლებელია უნიკალური აგრობიოპროდუქტების წარმოება, სწორედ ეს უნდა გახდეს ამ სტრატეგიის ძირითადი მიმართულება. დივერსიფიცირებული რელიეფისა

და დიდი ჯიშური მრავალფეროვნების წყალობით, ამის მიღწევა საკვებით რეალისტურია.

მსოფლიოში არ არსებობს მაგალითი აგროსექტორი სახელმწიფოს აქტიური ჩარევისა და სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე განვითარებულიყოს. ვინაიდან მცირე მწარმოებლები, რომელთა დიდი უმრავლესობა რეალურად შინამეურნეობებია, ცალკე-ცალკე არ ფლობენ საკმარის რესურსებს იმისათვის, რომ თავიანთ საქმიანობას სამწარმოო სახე მისცენ, ხოლო არაორგანიზებულობა არსებულ საწარმოებსაც უამრავ პრობლემას უქმნის. ერთ-ერთი ასეთია ხარისხის მენეჯმენტის შეუძლებლობა. საქმე ისაა, რომ ხარისხის მართვა აგროკულტურის მოყვანიდან “მინდვრიდან-სუფრამდე” უნდა ხდებოდეს, რასაც მუდმივი კონტროლის მექანიზმები და კონსულტაციები სჭირდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, აგრობიზნესის განვითარებისათვის აუცილებელი წინაპირობა არის მცირე მწარმოებელთა ორგანიზება ახალი შინაარსის მატარებელი ამხანაგობებისა და კოოპერატივების შექმნით.


ბიზნესისათვის ისეთი აუცილებელი კომპონენტები, როგორცაა მენეჯმენტი, ბაზრის კვლევა, მარკეტინგი მოითხოვს საკმაოდ დიდ დანახარჯებს, რომელთა დაფარვა მცირე მწარმისათვის პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ საჭიროა მცირე მწარმეებს შორის კოოპერირებისა და ხარჯების განაწილების პრაქტიკის დანერგვა.

თუ გავითვალისწინებთ ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილებას, მათ უმეტეს ნაწილში მცირე და საშუალო საწარმოები, საწარმოთა საერთო რაოდენობის 90%-ს შეადგენენ, ასაქმებენ მუშახელის 3/4 -ს და მთლიანი შიდა პროდუქტის ნახევარზე მეტს ქმნიან.

ძალიან მნიშვნელოვანია სურსათწარმოების სექტორის განვითარებაში სახელმწიფოს მხრიდან სტრატეგიული განვითარების პროგრამების შემუშავების, საკონსულტაციო და საგანმანათლებლო მექანიზმების არსებობა, რაც ასევე ძალიან რთულდება მცირე მწარმეთა არაორგანიზებულობის დროს. ‘დროებითი წახალისება და ეკონომიკური ბერკეტების მომარჯვებით მომძლავრება სჭირდება არა მარტო ახალ, არამედ ტრადიციულ, მაგრამ დროებით სიძნელეებში მოქცეულ დარგებსაც“ [3, გვ. 14].

ისეთი დარგიც კი, როგორცაა მეღვინეობა, ისტორიული რეალიების წყალობით, მეურნეობის სხვა სეგმენტების მსგავსად, პრაქტიკულად არასოდეს გამხდარა განვითარებულ ბაზრებზე

ახალი კომონისტი



ახალი ეკონომიკის

ორიენტებული ეკონომიკის ნაწილი. ამიტომ საქართველოში დღემდე პრობლემატურია ხარისხისა და მარკეტინგის კულტურა. შედეგად, თითქმის ნახევარ მილიონ მევენახეს შორის თითებზე ჩამოსათვლელია ის მეურნეობები, რომლებიც ნამდვილად ხარისხიან ყურძენს აწარმოებენ და მაღალი კლასის ღვინოს აყენებენ. ამ მხრივ ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს ვენახის მოვლის სტანდარტები და ყურძნის კრევის პერიოდი, რადგან ქართველი გლეხი როველს ისე იწყებს, რომ ტექნიკური სიმწიფის ფაზას ყურადღებას პრაქტიკულად არ აქცევს. არის სხვა ბევრი ნიუანსი, რომლებიც საბოლოოდ ყურძნისა და ღვინის ხარისხზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს. მაგალითად, ღვინის პიგიენის დაუცველობა და მსგავსი პრობლემები, რომელთა მოგვარება ნამდვილად შესაძლებელია სწორი ადმინისტრირებისა და ორგანიზების შემთხვევაში.

გასაღების პროგრამა დასავლეთის ბაზარზე არის ბიზნესის მნიშვნელოვანი კომპონენტი. გასაღების პროგრამის შემუშავება გულისხმობს იმ პროდუქციის ნომენკლატურისა და ასორტიმენტის დადგენას, რომელიც შემდგომში დაექვემდებარება შიდაბაზარზე თუ საზღვარგარეთ რეალიზაციას. გასაღების პროგრამის ფორმირებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს საწარმოს მხრიდან ფასების სწორი პოლიტიკის შემუშავება.

ექსპორტის ორგანიზაციის პროცესში დასავლეთის ფირმები ყურადღებას ამახვილებენ ისეთ საკითხებზე, როგორცაა:

- ექსპორტის თავისებურებათა გათვალისწინება;
- საფინანსო საკითხებში კომპეტენტურობა;
- დასავლეთის ბაზრისადმი საკუთარი პროდუქციის მისადაგება;
- დასავლეთის მომხმარებლებთან მუშაობის ორგანიზაცია;
- საგადასახადო, შრომის ანაზღაურებისა და სხვა კანონმდებლობები;
- გასაღების ორგანიზაციის სწორი შერჩევა;
- წარმომადგებლობების მუშაობაზე კონტროლი და სხვა ფაქტორები, რომელთა გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელია წარმატების მიღწევა.

საექსპორტო ფასის დადგენა პირდაპირ კავშირში იმყოფება საწარმოს რენტაბელობასთან, რამეთუ დანახარჯების გათვალისწინება, რომლებიც შევლენ პროდუქციის სხვა ქვეყანაში გატანის ფასში, დაკავშირებულია სირთულეებთან და, გარკვეულწილად, რისკთან. ახალ სამომხმარებლო ბაზარზე შესვლის შემთხვევაში ექსპორტიორი ვალდებულია არა მარტო

შეინარჩუნოს კონკურენტული ფასი, არამედ, პროდუქციის ბაზარზე აპრობაციის მიზნით, დასწიოს კიდევაც ის. ამიტომაც უნდა მწარმოებელი ხშირად აწყდებოდეს პრობლემებს - შეიძლება თუ არა შეინარჩუნოს რენტაბელობის მაღალი დონე პროდუქციის გარე ბაზარზე გატანის შემთხვევაში?

აღსანიშნავია, რომ საექსპორტო პროდუქციის კალკულაციის ფორმალური სქემა ნაკლებად განსხვავდება შიდაკალკულაციისაგან. სხვაობა ჩნდება ექსპორტზე, დამატებით დანახარჯებში. აქ შედის:

- გამყიდველისა და წარმომადგენლის საკომისიო დანახარჯები;
- ტრანსპორტირების დანახარჯები;
- დაფინანსებაზე დანახარჯები;
- დაზღვევაზე დანახარჯები;
- საქონლის შეფუთვის დამატებითი დანახარჯები;
- გაუთვალისწინებელი დანახარჯების რეზერვები;
- კონტრაქტის, სერთიფიკატის და სხვა დოკუმენტების გაფორმების დანახარჯები.

შეფუთვისა და ეტიკეტირების ხასიათი დამოკიდებულია იმ მოთხოვნებზე, რომლებიც ვრცელდება ამ სახეობის საქონელზე რომ უზრუნველყოფილ იქნას პროდუქტის საბოლოო სასაქონლო სახე.

საერთაშორისო ორგანიზაციები ექსპორტის განვითარების უზრუნველსაყოფად ქვეყნის ხელისუფლებას ასეთ რეკომენდაციებს სთავაზობენ:

- სოფლად კოოპერირების ხელშეწყობა, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება, მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად;
- საერთაშორისო ბაზრების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდა;
- ადგილობრივი წარმოების იმიჯის გამოსწორება საერთაშორისო ბაზრებზე;
- ინტეგრირებული მიდგომის “ვერმიდან სუფრამდე” უზრუნველყოფის მიზნით ფერმერებისათვის დახმარება;
- იმპორტირებულ სასურსათო პროდუქციაზე კონტროლის სრულყოფა.

ამ პრობლემების გადაჭრაში დახმარების მიზნით დონორებსა და მეწარმეებს შორის ეფექტური კოორდინაციის უზრუნველყოფა.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ყველა ეს პრობლემა გლეხმა თავად მოაგვაროს, ამიტომ მცირე მწარმოებელთა არასტრუქტურირებული ფენის დაცვა აუცილებელია, შესაბამისად, მათ





სახელმწიფოს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა სჭირდება.

გარდა ამისა, საჭიროა მცირე მწარმოებელთა სამეწარმეო კულტურის ამაღლება საგანმანათლებლო დახმარების გზით, რომ გაერთიანებული ძალებით, თავად მოაგვარონ ზოგიერთი საკითხი, რომელთა განხორციელებაც მიკრო დონეზე შესაძლებელია. ამ მხრივ მნიშვნელოვანი პრობლემაა სათანადო ინფორმაციისა და საქმიანობის სწორად

დაგეგმვისათვის აუცილებელი უნარების ნაკლებობა, რაც დონორებისა და დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების ჩარევით უნდა მოგვარდეს.

ჩამოთვლილ პრობლემათა გადაწყვეტა ნამდვილად შესაძლებელია მაკრო დონეზე მიზანმიმართული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პირობებში, სწორი მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავების, ორგანიზებისა და ადმინისტრირების შემთხვევაში.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო. დამოუკიდებელ ექსპერტთა ანალიზი - პუბლიკაცია მომზადდა და გამოიცა ფრიდრიხ ებერტის ფონდის (FES), Copyright ©, 2007, ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ (OSGF) და ფონდის ”ქორდაიდი“ (CORDAID) მხარდაჭერით.
2. ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის თავისებურებანი - სარედაქციო ჯგუფი ა, ხეთისიაშვილი, ი. ნანობაშვილი, კ. ზაღდასტანიშვილი, პუბლიკაცია მოზადებულია GEPLAC-ის მხარდაჭერით თბილისი, 2008.
3. ღეო ჩიქავა, თავისუფალი ვაჭრობა თუ ეკონომიკური პროტექციონიზმი? ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, №4, 2009.
4. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი - <http://www.statistics.ge/>.
5. [http://www.parliament.ge/prs/ip/sursati\\_xarisxi.pdf](http://www.parliament.ge/prs/ip/sursati_xarisxi.pdf).

**MARKETING STRATEGY OF DEVELOPING EXPORT IN VICTUAL PRODUCTION**

**ETERSARDJVELADZE**  
 Academy doctor,  
 Asistent professor of TSU

სახელი ეკონომისტი

Increasing of export is the main factor of countries economical development, but without correct marketing strategy and big efforts it is incredible to gain a purpose. Marketing strategy should be highly optimal and achievable in the direction of developing goods, access the market and developing the market.

Realization products in foreign market is more difficult, than doing the same in the counrty. That's why it is important to develop local manufacturing in order to decrease import and satisfdaction the internal market demands, what's more, it's also necessary to develop the culture appropriate of targent markets demand in order to satisfy internal market demand.

It is possible in Georgia to produce unique agrobioproducts and to develop industry and this should be the main direction of this strategy. In mercy of diversified terrain and big variety of species, developing goods production's marketing strategic plan, suitable conditions and important support from the state it is quite real to achieve this purpose.



სლავა ჯავახიშვილი  
ეკონომიკის დოქტორი



გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის /მოწვეული/ ასოცირებული პროფესორი

საქონლისა და მომსახურებების შეთავაზების გზით.

რაც შეეხება კონკურენტუნარიანობას, ის, როგორც ეკონომიკური კატეგორია, შესაძლებელია განვიხილოთ როგორც საქონლის, ისე ამ საქონლის მწარმოებელთა და უშუალოდ დარგებისა და ქვეყნების კონკურენტუნარიანობის დონეებზე.

„მართვის პრობლემების ევროპული ფორუმი“ კონკურენტუნარიანობას განიხილავს როგორც „ფორმების რეალურ და პოტენციურ შესაძლებლობას, არსებულ პირობებში დააპროექტონ, აწარმოონ და გაასაღონ საქონელი, რომელიც ფასობრივი და არაფასობრივი მახასიათებლებით უფრო მიმზიდველია მომხმარებლისათვის, კონკურენტი ფორმების საქონელთან შედარებით“ (10, გვ. 16).

იმ შემთხვევაში, თუ გვერდზე გადავდებთ გლობალურ ფილოსოფიურ მიდგომას კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებით და მას მხოლოდ კონკრეტული საწარმოს დონეზე განვიხილავთ, მაშინ ნათლად წარმოჩინდება მისი ის მახასიათებელი სირთულეები, რომლებიც გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტს (დივერსიფიკაციას), კოოპერაციისა და სპეციალიზაციის კავშირებს უკავშირდება.

ზოგადად, როგორც ეკონომიკურ ლიტერატურაში, ისე საერთაშორისო პრაქტიკაში საწარმოს კონკურენტუნარიანობაში იგულისხმება, კონკრეტული ეკონომიკური აგენტის შესაძლებლობები, განსაზღვროს კონკურენტი მეწარმე სუბიექტები შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ /საქონლის ფასი, ინოვაცია/. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნებისმიერი ეკონომიკური აგენტი, მისი რეგისტრაციის პირველი დღიდან საზოგადოების ლიკვიდაციამდე დგას იმ

საზოგადოების ისტორია როგორც ეკონომიკური, ისე სხვა მიმართულებით, ეს არის კონკურენციული ბრძოლის ისტორია, რომლის ფორმები და მეთოდები საზოგადოებრივი ყოფის შესაბამისად იცვლება. კონკურენციას ადგილი აქვს ყველგან, სადაც ეჯახება ერთმანეთს სხვადასხვა ინტერესები და პოზიციები, სადაც არსებობს ბრძოლა ამა თუ იმ /მატერიალური, არამატერიალური/ კეთილდღეობისათვის. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კონკურენცია იყო ყოველთვის. ის არსებობდა ძველად, არის დღეს და შენარჩუნდება მომავალშიც.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერის ფ.ა. ჰაიეკის აზრით, კონკურენცია ახლის შეცნობის პროცედურაა, რაც დამახასიათებელია ევოლუციისათვის მისი ყველა ფორმით. იგი აიძულებს ადამიანს უნებლიედ ჩაერთოს ახალ სიტუაციაში, რამდენადაც ზრდადი კონკურენციით თანდათან მადლდება ეფექტიანობაც. საქმე არა მარტო ისაა, რომ მთელი ევოლუცია ემყარება კონკურენციას, არამედ ისიც, რომ უწყვეტი კონკურენცია უკვე მიღწეულის საფუძველიცაა (8, გვ. 38).

ზოგადად, კონკურენცია ესაა მეტოქეობა ორ ან ორზე მეტ ეკონომიკურ აგენტს შორის, რომლის დროსაც თითოეული მათგანი ცდილობს თავისი სამეწარმეო საქმიანობა კონკურენტებზე უკეთ განახორციელოს, სთავაზობს რა მომხმარებელს უკეთეს პირობებს ფასებთან, ხარისხთან, შეფუთვასთან, მომსახურების სტანდარტებთან და სხვა ეკონომიკურ მახასიათებლებთან დაკავშირებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონკურენცია საბაზრო მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების შემოქმედებით თავისუფლებას და ქმნის მისი იდეების თვითრეალიზაციის პირობებს შესაბამის ბაზრებზე, ახალი კონკურენტუნარიანი

ახალი ეკონომისტი





აუცილებლობის წინაშე, რომ უზრუნველყოს კონკურენტუნარიანობა, მათ შორის – საერთაშორისო. თავის მხრივ, ნებისმიერი მეწარმე სუბიექტის კონკურენტუნარიანობა მოიცავს მთელ რიგ კონკურენტულ უპირატესობებს, რომლებიც მსოფლიო ბაზარზე ვლინდება უცხოური კონკურენტი ეკონომიკური აგენტების შესაბამის მაჩვენებლებთან შედარების გზით.

თავის მხრივ, მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობებს უნდა მიეკუთვნოს: წარმოების რენტაბელობა, ინოვაციური საქმიანობის ხასიათი, შრომის ეფექტიანობის დონე, სტრატეგიული დაგეგმვისა და საზოგადოების /მეწარმე სუბიექტის/ მართვის ეფექტიანობა, ადაპტაციის (ბაზრის ცვლად მოთხოვნებთან და პირობებთან სწრაფი რეაგირების) უნარი და ა.შ. ცხადია, რომ, რაც უფრო ფართო კონკურენტული უპირატესობები გააჩნია ეკონომიკურ აგენტს და რაც უფრო მაღალია მისი ხარისხობრივი მახასიათებლები, მით უფრო ხელსაყრელი წინაპირობები არსებობს წარმატებითი საქმიანობისათვის მსოფლიო ბაზარზე. შესაბამისად, ამ პირობებში მეწარმე სუბიექტს უფრო მყარი პოზიციების დაკავება შეუძლია კონკრეტული სასაქონლო ბაზრის ცალკულ სეგმენტში. ამასთან, ფაქტია ისიც, რომ ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერი ეკონომიკური აგენტის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამადლების უპირველეს პირობას წარმოადგენს – მაღალი საინვესტიციო-ინოვაციური აქტიულობა, რის გარეშე შეუძლებელია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და საქონლის კონკურენტუნარიანობის ამადლება.

საქონლის (მომსახურების) კონკურენტუნარიანობა არის შედეგის მომცემი მახასიათებელი, რომელიც განსაზღვრავს საქონლის რეალიზაციის წარმატებას ბაზარზე. ეკონომიკური აგენტის კონკურენტი კომპანიების მიერ წარმოდგენილი კონკურენტული საქონლის არსებობის პირობებში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. თავის მხრივ, საქონლის კონკურენტუნარიანობის ძირითად შემადგენელ ელემენტებს მიეკუთვნება ბაზრის მოცულობა / მყიდველთა მასა/, მომსახურების /ტექნიკური/ დონე და ფასი.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონკურენტუნარიანობაში იგულისხმება საქონლის სამომხმარებლო, ღირებულებითი და ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლებიც განსაზღვრავენ მის წარმატებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარე

ბაზრებზე. თავის მხრივ, საქონლის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა ხდება მის სხვა ანალოგიურ საქონელთან შედარების გზით. ამასთან, სასაქონლო კონკურენცია პირდაპირ დამოკიდებულია შიგნითა და გარე ფაქტორთან, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება – 1) წარმოების დანახარჯებს, 2) შრომის მწარმოებლურობასა და 3) ინტენსივობას, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ საქონლის ფასსა და ხარისხზე.

გარდა ამისა, უნდა ითქვას ისიც, რომ დღევანდელ მსოფლიოში საქონლის კონკურენტუნარიანობაში წინა პლანზეა წამოწეული არაფასობრივი ფაქტორები. შესაბამისად, უპირატესობა ენიჭება საქონლის ხარისხს /სიახლეს/ და მეცნიერული და ინტელექტუალური კომპონენტების წილს მის დამზადებაში. სამწუხაროდ, ქართული პროდუქცია /მისი მნიშვნელოვანი ნაწილი/ ამ მხრივ /ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით/ საგრძნობლად ჩამორჩება როგორც განვითარებული ეკონომიკის, ისე ცალკეულ განვითარებად ქვეყნებში წარმოებულ ანალოგიურ პროდუქციას.

უკანასკნელ წლებში საქონლის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაში დიდ როლს თამაშობს ეკოლოგიური ფაქტორი. შესაბამისად, გამკაცრებულ ეკოლოგიურ სტანდარტებთან ერთად, მსოფლიო ბაზრებზე არსებული მძაფრი კონკურენცია მეწარმეებს იძულებულს ხდის საქონლის წარმოების პროცესში მაქსიმალურად გაითვალისწინონ /უზრუნველყონ/ გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების მექანიზმები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ საბაზრო მექანიზმების სრულყოფისათვის აუცილებელია ეკოლოგიური დანახარჯები აისახოს საქონლის თვითღირებულებაში. უფრო მეტიც, საქონლისა და მომსახურების ფასები უნდა ითვალისწინებდეს როგორც მისი წარმოების ეკოლოგიურ ფაქტორს, ისე მის გამოყენებას, შემდგომ უტილიზაციას, ნარჩენების გატანასა და რეციკლაციას.

სინთეტიკური მახასიათებელი, რომელიც განსაზღვრავს საქონლისა და დარგის კონკურენტუნარიანობას და ხელს უწყობს ქვეყნის წარმოქმნას მსოფლიო ბაზარზე, წარმოადგენს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ძირითადი მახასიათებელს. ეს უკანასკნელი იძლევა

საქონლის კონკურენტუნარიანობის



შესაძლებლობას განესაზღვროთ, თუ რამდენად შეუძლია ქვეყანას, თავისუფალი, პატიოსანი კონკურენციის პირობებში აწარმოოს ისეთი საქონელი /გასწიოს მომსახურება/, რომელიც დააკმაყოფილებს მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებს. ეს იმით აიხსნება, რომ მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნადი საქონლის წარმოების გარეშე შეუძლებელია მიღწეულ იქნეს ქვეყანაში მოსახლეობის კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

ზოგადად, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრისას, გამოიყენება მრავალფაქტორული ვექტორული მოდელები, სადაც 381 მაჩვენებელია გათვალისწინებული. თავის მხრივ, ეს მაჩვენებლები დაჯგუფებულია 8 გამსხვილებულ ფაქტორად: 1) შიგა ეკონომიკური პოტენციალი, 2) საგარეო ეკონომიკური კავშირები, 3) სახელმწიფო რეგულირება, 4) საკრედიტო-საფინანსო სისტემა, 5) ინფრასტრუქტურა, 6) მართვის სისტემა, 7) სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, 8) შრომითი რესურსები. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ამ მეთოდით ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასებისას, თითოეული ქვეყნის ობიექტურ სტატისტიკურ მონაცემებს ემატება ისეთი სუბიექტური ფაქტორები, როგორცაა – ანალიტიკოსთა შეფასებები და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელთა / ხელმძღვანელთა/ და წამყვან ექსპერტ-ეკონომისტთა გამოკითხვების შედეგები (11, გვ. 13).

წინამდებარე ნაშრომში გვინდა ასევე შევეხოთ კონკურენციის ეფექტიანობას და ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ეკონომისტებს შორის დღემდე მიმდინარეობს დისკუსია /კამათი/ იმაზე, თუ რა არის ეფექტიანი კონკურენცია. ეკონომიკურ თეორიაში კონკურენცია ხშირად განიმარტებოდა როგორც რესურსების განაწილების ყველაზე ეფექტური საშუალება. თუმცა, თანამედროვე პირობებში საბაზრო სტრუქტურების მოდიფიცირებასთან ერთად, კონკურენციის კლასიკური მოდელი ძალზე აბსტრაქტული და რეალური ბაზრებიდან დაშორებული ხდება, რაც კონკურენციის არსისადმი ახლებური მიდგომების საჭიროებას წარმოშობს. წმინდა აკადემიურ ინტერესთან ერთად, კონკურენციის ეფექტიანობის საკითხი ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში რეკომენდაციების შემუშავებულ პრაქტიკოს ეკონომისტთა წინაშეც დგებოდა. რამაც ხელი შეუწყო კონკურენციის უფრო პრაქტიკული განსაზღვრების ჩამოყალიბებას /არა როგორც

შედგის, არამედ როგორც პროცესის/, რომლის შესაბამისადაც კონკურენცია შესაძლებელია ეფექტიანი იყოს მაშინაც კი, როდესაც ძალა ეკლავ „კლასიკური“ მოდელის ზოგიერთი მახასიათებელი.

უილიამ შეპარდის განმარტებით, კონკურენცია წარმოადგენს რთულ მოვლენას, რომელიც განსხვავებულ ფორმებს დებულობს. კონკურენციისათვის დამახასიათებელია მრავალფეროვანი ასპექტები, თუმცა, მისი მთავარი ფუნქცია აშკარაა. ეფექტიანი კონკურენცია აიძულებს საბაზრო სისტემას კარგად იმუშაოს.

ეფექტიანი კონკურენციის განმარტებაში მნიშვნელოვნი წვლილი აქვს შეტანილი ჯ. კლარკს, რომელმაც 1940 წელს პირველმა გამოიყენა ტერმინი „მომუშავე კონკურენცია“. ამ უკანასკნელის საფუძველზე, ის შეეცადა აეხსნა ოლიგოპოლური ბაზრის არსი, სადაც ფირმების ურთიერთქმედების საერთო შედეგი სუფთა კონკურენციული ბაზრის მსგავსია. ამასთან, ჯ. მეისონის მიერ შექმნილმა სტრუქტურული კონცეფციის მოდელმა შესაძლებელი გახადა მისი გამოყენება / ლოგიკურად აგებული მეთოდოლოგიის საფუძველზე/, შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე კონკურენციის ანალიზისათვის. აღნიშნული კონცეფციის თანახმად, შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე ეკონომიკური აგენტების ქცევას განაპირობებს ბაზრის სტრუქტურა, რაც / ეკონომიკური აგენტის ქცევა/, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს დარგის ეკონომიკურ შედეგიანობას. მოგვიანებით /1958 წელი/ მკვლევარი ს. სოსნიკი უფრო ჩაუღრმავდა მოცემული თეორიის ცალკეულ დეტალებს / ‘მომუშავე კონკურენციის’ ცალკეულ კრიტერიუმებს/. შესაბამისად, მან ბაზრის სტრუქტურის, ქცევისა და შედეგიანობის შესაფასებლად შემოგვთავაზა ოცდახუთი კრიტერიუმი. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ მიუხედავად ამ კრიტერიუმების დასაბუთების და არაწინააღმდეგობრიობისა, ისინი არ იძლევა საშუალებას, რომ პრაქტიკული ხასიათის კითხვებს გავცეს პასუხი (პირველ რიგში, თუ როგორ შეიძლება გაიზომოს ესა თუ ის მახასიათებელი), რის გამოც, მათი გამოყენება არაეფექტიანია ეკონომიკის ცალკეული დარგების კვლევისას (12, გვ. 21).

მეცნიერები უ. ბაუმოლი, ჯ. პანცარი და რ. ვილინგი პრობლემის გამოკვლევას მიუდგნენ შეჯიბრების პრინციპიდან გამომდინარე. მათი

ახალი ეკონომისტი





შეფასებით, ბაზრის მონაწილეთა ეფექტიანი კონკურენციული ქცევა, შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ კონკრეტულ სასაქონლო ბაზრებზე თავისუფალი შესვლის პირობების არსებობისას. მიუხედავად იმისა, რომ არც ეს მიდგომა შეიძლება ჩაითვალოს ყოვლისმომცველად, იგი კონკრეტული ბაზრების პრაქტიკული შეფასების საშუალებას იძლევა.

რაც შეეხება ბაზარზე შესვლის ბარიერებს, უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოიყოფა ბარიერების შემდეგი ხუთი სახეობა:

1) აბსოლუტური უპირატესობა დანახარჯებში; 2) მაშტაბის ეფექტი; 3) ბაზარზე ეფექტური შესვლისათვის აუცილებელი კაპიტალური ხარჯების დონე; 4) საქონლის დიფერენცირება – მნიშვნელოვანი დანახარჯები რეკლამასა და შეფუთვაზე; 5) ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის სტრატეგიული ქცევა, პოტენციური კონკურენტების შესაბამის ბაზარზე შესვლის თავიდან აცილების მიზნით.

მკვლევარმა ს. სალოპმა სტრატეგიული ბარიერები განმარტა როგორც „განზრახ შექმნილი, ბაზარზე შესვლის ალბათობის შესამცირებლად“. სტრატეგიული ბარიერებისაგან განსხვავებით, მან პირველი ოთხი სტრუქტურული ბარიერი დაახასიათა როგორც „უდანაშაულო“, რადგან ისინი უნებლიედ იქმნებიან როგორც მაქსიმალური მოგებისაკენ ფირმის სწრაფვის გვერდითი ეფექტები.

აქვე ხაზი გვინდა გავუსვათ იმას, რომ სამომხმარებლო არჩევანის მრავალფეროვნება და სტაბილური ფასები, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მრავალი ავტორის მიერ აღიარებული იყო როგორც ეფექტიანი კონკურენციის მნიშვნელოვანი პრაქტიკული კრიტერიუმები. თუმცა, ძირითად კრიტერიუმად მაინც რჩებოდა და რჩება ბაზარზე შესვლის ბარიერები როგორც დარგში კონკურენციის დონის განმსაზღვრელი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი.

და ბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნა, ისევე როგორც ცალკეული ეკონომიკური აგენტების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, წარმოადგენს საკმაოდ ძნელ და ხანგრძლივ პროცესს. თუმცა, ისიც ცხადია, რომ ასეთი კონკრეტული ამოცანის შესრულება სავსებით რეალურია თანმიმდევრული, სრულყოფილი საბაზრო ეკონომიკის პირობებში. შესაბამისად, რაც უფრო დაიხვეწება და სრულყოფილი იქნება საქართველოში ეს მექანიზმები, მით უფრო გაიზრდება ქვეყანაში წარმოებული საქონლის კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზრებზე, რაც, საბოლოო ჯამში, ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

**ბამოყენებული ლიტერატურა:**

1. Азов Г.Л. - Конкуренция: Анализ, стратегия и практика. М., Центр экономики и маркетинга, 1996;
2. Иванов И.Д. – Современные монополии и конкуренции: формы и методы монополистической практики. 1995;
3. Стародубровская И.В. – От монополизма к конкуренции. М., Политиздат, 1990;
4. Портер М. – Международная конкуренция. М., Междунар. Отн. 1993;
5. Робинсон Дж. – Экономическая теория несовершенной конкуренции. М., Прогресс, 1986;
6. Рубин Ю.Б. – Конкуренция: Реалии и перспективы. М., Знание, 1990;
7. Ференц Висси – Задачи и проблемы антимонопольной политики, Семинар по конкуренции, ОЭСР, Стамбул, 11-15 июля 1994 года;
8. Хайек Ф.А. – Пагубная самодеянность, М., 1992;
9. Ячейстова Н.И. – Международная конкуренция: законодательство, регулирование и сотрудничество, ООН, Нью-Йорк и Женева, 2001;
10. Маркетинг. Конкурентоспособность России в мировой экономике. №2, 1999;
11. Экономика и коммерция. Государственная поддержка повышения конкурентоспособности предприятий. №1, 1999;
12. Вестник Московского Государственного Университета, сер. 6, Экономика, Эффективная конкуренция. №5, 1999

ახალი ეკონომისტი



შალვა ჯავახიშვილის  
შ. ISLAVA JAVAKHISHVILI

Ph Doctor of Economics,

Associated Professor of Gr. Robakidze University,

Associated Professor of Iv. Javakhishvili Tbilisi State university  
(invited).

The article "Competitiveness and Effective competition" is dedicated to competition and effective competition. There is formed the essence of competition, also there is mentioned that skill of competition, as economical category, may be discussed by the level of goods, goods superintendent of work, branches and countries. Herewith, there is formed such competition advantages that should be mentioned by the employers in order to seek success at the world markets. There is stressed that competition is a result giving property, that determines success of goods realization in the market in the conditions of rival goods produced by the competitor economical agency companies as in the country as outside it.

What's more, there is mentioned that in the modern world in the first stage there are non-price factors and also is underlined, that in the last years ecological factors are very important in the goods production.

What about the effective competition, in the article there is said that economists still argue about this matter and is stressed that competition should be effective even if it lacks of features of „classical” model.

In the article there is analyzed the views of U. Shepard, J. Klark, J. Mason, S. Sosnick, U. Baumol, J. Pancar, R. Villing, S. Salop about the competition and is stressed that the variety of consumers choice and stable prices in long period was recognized as very important criterion of effective competition by many authors. But, the most important criterion of the level of competition was and still is entering market barrier.

In the end of the article there is made a resolution that making competitive product and rising competition of economical agents is very difficult and long process. But, it is also clear that it is quite real in the conditions of improved market economics. So, as this mechanism grows and takes place near perfect in Georgia, the number of competition of produced goods in the country will raise in the world's markets and finally, it leads to grow of people's prosperity.

შალვა ჯავახიშვილის





**ნუზბარ ბაბუშაძე**  
აკადემიური დოქტორი,  
პროფესორი



**უოთა ვაშაძე**  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი


თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში სულ ყფრო მეტად იზრდება და მტკიცდება საქართველო-ჩინეთის ურთიერთობანი. მისი ურყევი ფუნდამენტი მატერიალურ, ეკონმიკურ სფეროში მდებარეობს, რომლის განმტკიცების მთავარი საფუძველი არის ამ ქვეყნებს შორის მზარდი საქმიანი ბიზნეს კავშირების დამყარება როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დონეზე. მისი ერთ-ერთი მაგალითია ავტორთა მიერ მოწინავე ქართველ ინტელიგენციასთან ერთად სულ ახლახანს დიდი მომავლისა და პერსპექტივების მქონე საერთაშორისო ასოციაცია “ჩინეთის მეგობრების” დაფუძნება. ეჭვსგარეშეა, რომ ჩინური ბიზნესფსიქოლოგიის ასპექტების საფუძველიან შესწავლას და მის პრაქტიკულ გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს. (საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების შესახებ უფრო ფართოდ იხ.: 1, გვ. 98-99).

ჩინელი მენეჯერები ხალხთან მუშაობისას, იყოს ის თუნდაც ხელქვეითი, კოლეგა ან ბიზნეს-პარტნიორი, დიდ ყურადღებას უთმობენ ფსიქოლოგიურ ასპექტებს. ადამინურ ურთიერთობებში ჩინელების უმრავლესობა არა მარტო მსჯელობს ამა თუ იმ მორალურ პრინციპებზე, არამედ ასრულებს კიდევ მას ყოველდღიურ ცხოვრებაში. მითუმეტეს, რომ ჩინელების უმრავლესობისათვის მორალი და ეთიკა უბრალოდ ცარიელი სიტყვები არ არის.

მიგვაჩნია, რომ მორალური და ეთიკური პრინციპების უგულვებელყოფა დაკავშირებულია დაუსჯელობის სინდრომთან, ამორალური საქციელის ჩადენის შემთხვევაში. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფრაზა, რომლითაც მორალი „მოუწოდებს“ მორალური და ეთიკური ნორმების უგულვებელყოფას, ასე ჟღერს: „ნუ

კომპლექსდები”. მორალური საქციელი საზოგადოების უმრავლესობისათვის არის ერთ-ერთი ფსიქოლოგიური კომლექსი. ჩინელებისათვის, რომელთაც გამჯდარი აქვთ ერთიანობის პრინციპი, კოლექტიურობა, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ წარმომავლობას. ისინი დიდი მნიშვნელობას ანიჭებენ გვაროვნულ ფასეულობებს, რომელიც საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მნიშვნელოვანია. რას გულისხმობს ეს? იმას, რომ ადამიანი არ ეკუთვნის მხოლოდ თავის თავს, და გამომდინარე აქედან, უფლება არა აქვს მოიქცეს ისე როგორც მას მოესურვება. ყოველივე ეს, მიეკუთვნება თავის მოდგმას, როგორც ცოცხლებს, ისე წინაპრებსა და იმ მომავალ თაობებს, რომლებიც ჯერ არ დაბადებულან. ჩინეთი არ არის თავის წარმომავლობასთან უბრალოდ დაკავშირებული. ეს კავშირი გაცილებით მტკიცეა. ის გრძნობს მისი მოდგმის რეალურ მხარდაჭერას. ნათესაური ურთიერთკავშირი ჩინეთში ძალიან ძლიერია. ჩინელს, თავის მხრივ, ვალდებულებად მიაჩნია გამოიჩინოს პატივისცემა და გაუწიოს დახმარება თავის მოდგმას საჭიროების შემთხვევაში, ეს მისი ვალდებულებაა. ნათესაური კავშირი (ამ შემთხვევაში გვარის ძალა) უმთავრესად განპირობებულია გვარის ისტორიული რეპუტაციით. ამა თუ იმ გვარისადმი მიკუთვნება განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას ადამიანისადმი. ადამიანი თავდაპირველად შეიცნობოდა არა იმით, თუ როგორი პიროვნებაა ის, არამედ იმით, თუ რომელ გვარს მიეკუთვნებოდა ის. აქედან გამომდინარე წარმომავლობა განსაზღვრავს და კონტროლს უწევს მორალურ-ეთიკური ცხოვრების წესს თავის წარმომადგენლებისას. თავისთავად გვარის სიძლიერე დროთა განმავლობაში დამოკიდებულია საზოგადოების მიერ გვარის წარმომადგენლების

ახალი ეპოქისთვის



ახალი მკონოსი

ადიერებასთან და პატივისცემასთან. სწორედ ამიტომაც ღირსება, მორალი და ეთიკა ჩინელებისათვის ცარილი სიტყვები არ არის.

ასეთი ქცევის კიდევ ერთი რეგულატორია ყოფითი რელიგიური ცნობიერება. რატომ მაინცდამაინც ყოფითი? სიმართლე რომ ვთქვათ, ჩინელები არც თუ ისე რელიგიურები არიან. მართალია, არსებობს ასობით ბუდისტური და დაოსიზმის ტაძრები და მონასტრები, მაგრამ სიმართლეს წარმოადგენს ის, რომ ღრმად რელიგიური მორწმუნენი ან მონასტერში მიდიან ან ხდებიან განდევნილები და მწირები, რათა მიაღწიონ სულიერ გაცისკროვნებას. ყოფით პირობებში რელიგიური ცნობიერება უმთავრესად გამოხატულია ჩვევებში, ცრურწმენებში, რომელთა შორისაა წარმოდგენა კარმაზე, კეთილ და ბოროტ სულებზე, წინაპრების სულებზე, რომლებიც ეხმარებიან ან ზიანს აყენებენ ადამიანს ამა თუ იმ საქმიანობაში. რადგან ჩინელთა ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება ტაბუირებულია მრავალი ცრურწმენით, საზოგადოება მათ ძალიან სერიოზულად ეკიდება. მაგალითად, ჩენ უენ-ი რუსებზე წერს, რომ მათთვის თარსი ციფრია 13 და წითელი და შავი ფერები, ხოლო ბედნიერი რიცხვია - 7.

გაკვირვებას იწვევს ჩინური თავაზიანობა. მაგალითად, ეს გამოიხატება იმაში, რომ გზას უთმობენ თავიანთ თანამგზარებს დემონსტრაციულად, ავლენენ სტუმრისადმი დიდ მნიშვნელობას და მისდამი პატივისცემას. თუმცა, დასავლური კულტურისაგან განსხვავებით, დიდ ყურადღებას არ იჩენენ ქალბატონების მიმართ, ეს მიგვიანიშნებს ჩინური პატრიარქალური საზოგადოების გადმონაშთებზე. აგრამ, სიმართლე რომ ვთქვათ, თანამედროვე ჩინეთში არც თუ ისე ცოტა ქალები არიან დაკავებულნი ბიზნესით და დიდ წარმატებებსაც აღწევენ. დღესდღეობით შეგვიძლია ვილაპარაკოთ ჩინეთში გენდერულ თანასწორობაზე განსაკუთრებით მსხვილ ქალაქებში. საერთოდ რომ ვთქვათ, ამა თუ იმ ფორმით ქალის როლი ადრეც იყო აღიარებული. ასე მაგალითად, სხვადასხვა დროს ჩინეთს მართავდნენ ქალი იმპერატორები. ზოგიერთ მათგანს უდიდესსაც უწოდებდნენ, ასეთი იყო, მაგალითად, მე-19 საუკუნის დასასრულსა და მეოცე საუკუნის დასწყისში ქალი იმპერატორი ცისი (1861-1908). [5]

მორალურ-ეთიკური პრინციპები გავრცელებულია ჩინური საზოგადოების ყოფითი საქმიანობის ყველა სფეროში და მათ შორის, რატომა უნდა, ბიზნესშიც. ბიზნესმენებს შორის

გავრცელებულია რწმენა იმისა, რომ ისინი უნდა იყვნენ აუცილებლად პატიოსნები. ამიტომ აქ იშვიათად შეხვდებით ისეთ საქციელს, რომელიც პარტნიორის მოტყუება. რატომა უნდა, თაღლითები და მატყუარები ყველა ქვეყანაში არიან, მაგრამ ჩინელები, როგორ წესი, პირდაპირი განზრახვით არავის არ ატყუებენ. და თუ ასეთი მოხდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ამისათვის სქონდათ მნიშვნელოვანი მიზეზი. მაგალითად, პარტნიორის არასწორი საქციელი. თუ ჩინელი ჩათვლის, რომ პარტნიორი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, მასაც შეუძლია უარი თქვას თავისაზე.

მთლიანობაში ადებულნი, ურთიერთვალდებულების შესრულება დამოკიდებულია იმაზე, თუ ვისთან ვმუშაობთ და როგორ აფასებენ პარტნიორს. ზოგ შემთხვევაში ურთიერთთანამშრომლობისათვის მხოლოდ ზეპირი შეთანხმებებია საკმარისი, მაგრამ უკეთესია ყოველგვარი ხელშეკრულება და მოლაპარაკება განმტკიცებული იყოს წერილობითი კონტრაქტით.

მოლაპარაკებები ჩინელ პარტნიორებთან, უმეტესად, ხანგრძლივია. ეს დამოკიდებულია იმაზე, რომ ჩინური მხარე დიდ ყურადღებას უთმობს პარტნიორებს შორის ურთიერთკავშირის დამყარების პროცესს. ოლაპარაკებები, როგორც წესი, იმართება სპეციალურ სათათბირო ოთახებში, რომლებიც მრავალ კომპანიას აქვს. რესტორანში სერიოზული მოლაპარაკებები არ წარმოებს. იქ შეიძლება მოხდეს პოტენციური პარტნიორის გაცნობა, განზრახვების გარკვევა და ა.შ. მაგრამ ამავე დროს საჭიროა ვიცოდეთ, რომ, ჩინური წესებით, ასაკით ან მდგომარეობით თავისზე უფროსთან შეხვედრის დროს, კარგ ტონად ითვლება ხელის ჩამორთმევა ორივე ხელით. ასეთი საქციელი თანასწორ პარტნიორთან არის გარკვეული კომპლიმენტი. სავიზიტო ბარათის მიცემა ან აღება ადამიანისგან, რომელთანაც მოხდა გაცნობა, მიღებულია ორივე ხელით.

მიღებული სავიზიტო ბარათი უნდა წავიკითხოთ გულდასმით. რესტორანში არც თუ ისე იშვიათად დადიან მოლაპარაკებების დასრულების ან შეთანხმებების გაფორმების შემდეგ. ამიტომ დიდი ყურადღება ექცევა რესტორნის ეტიკეტს. დიდი მნიშვნელობა აქვს მოწვეული სტუმრების განაწილებას მაგიდასთან, აგრეთვე, იმას, თუ ვინ უკვეთავს კერძს და სასმელებს, ვინ იხდის, ვინ ვისთან სვამს და ამავე დროს რა სადღეგრძელოს წარმოთქვამს. მაგალითად, ადრე მიღებული იყო, რომ მთავარი ადამიანის მარცხნივ ანუ ამ შემთხვევაში თავმჯდომარის





გვერდით ადგილი ეკუთვნოდა სამოქალაქო პირს, ხოლო მარჯვნივ – სამხედროს. დღესდღეობით ამ ტრადიციამ ტრანსფორმაცია განიცადა. თავჯდომარის მარცხნივ არის ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი (სადაც არსებობს „იან“-ის ენერჯია), ხოლო მარჯვნივ - ნაკლებ მნიშვნელოვანი (ინის).

სტუმრებს, როგორც წესი, ეკითხებიან, რომ შეუკვეთონ ღვინო ან განსაზღვრონ რომელი ალკოჰოლურ სასმელს მიირთმევენ მაგიდასთან მსხდომნი. ეს ხდება ყველა შემთხვევაში, დამოუკიდებლად იმისა, არის თუ არა მასპინძელი სტუმარზე სტატუსით მაღალი.

რომ წარმოვანიოთ ინტერესი ჩინური წეს-ჩვეულებებისადმი, უნდა ვფლობდეთ ჩხირებით ჭამის ხელოვნებას და შესაბამისი გამომეტყველებით უნდა წარმოვთქვათ სადღეგრძელო. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ არ შეიძლება ჩხირების მაგიდაზე, თუფშუ ან ერთმანეთზე კაკუნი, რაც ჩინელებისთვის ნიშნავს იმას, რომ უკმაყოფილოა მომზადებული საკვების ხარისხით. არ შეიძლება ჯოხების ფიალის თავზე დადება, მათი გადაჯვარედინება ან წვრილი და მსხვილი თავების ერთმანეთზე მიდება. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება საკვების ან ბრინჯის ჩხირებით განხვლეტა. სადილის დამთავრების შემდეგ ჩხირებს დებენ თუფშის გვერდზე.

რაც შეეხება სპეციალურ რეგლამენტს ან მოლაპარაკების წარმართვის ცერემონიას, ასეთი რამ თანამედროვე ჩინეთში არ არის. მოლაპარაკებების წარმართვის მთავარი მიზანი ისეთივეა, როგორც დასავლეთში - დადო მოგვებიანი გარიგება. ჩვეულებრივ, შეთანხმების ოფიციალურ ხელმოწერამდე, როცა ყველა საკითხი უკვე შეთანხმებულია, მიმდინარეობს ნომინალური მოლაპარაკება, რომელიც გრძელდება ერთ საათს. ასეთი წესი არაფერს მნიშვნელოვანს არ წყვეტს, მაგრამ ითვლება პროტოკოლის აუცილებელ ელემენტად. თვით ხელმოწერის აქტი შეიძლება გაფორმდეს სადღესასწაულო გარემოში, სადაც პლაკატებზე იქნება დაწერილი შეთანხმების ძირითადი ღონისძიებები. ზოგ შემთხვევაში მოლაპარაკების ხელმოწერისას პარტნიორები ერთმანეთში ცვლიან საჩუქრებს, განსაკუთრებით თუ ისინი ადრე არ თანამშრომლობდნენ. მაგიდასთან იურისტების მოწვევა ითვლება ჩინელებისათვის უნდობლობის ნიშნად. ამიტომ ხელმოწერების დროს თქვენი იურისტი უნდა იყოლიოთ ჩრდილში.

არსებობს იმ პირების მიერ დამუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანამშრომლობენ

ჩინელ ბიზნესმენებთან, ანუ წესი, თუ როგორ უნდა წარმართონ უცხოელებმა ბიზნესი ჩინეთში. ეს წესები ხაზგასმულია რიჩარდ გესტერის წიგნში „კოს-კულტურული ქცევა ბიზნესში“ [3], რომელთაგან ძირითადი არის შემდეგი:

• თუ ჩინელ მხარესთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას მსხვილ კონტრაქტთან დაკავშირებით, მაშინ უმჯობესია მოლაპარაკების წარმართვის დროს თან ვიყოლიოთ ჩვენი თარჯიმანი, ვიდრე ჩინური მხარის იმედზე ვიყოთ;

• ჩინური კომპანიები არც თუ ისე სიამოვნებით ერთვებიან მოლაპარაკებებში უცნობ ადამიანებთან. პირველი კონტაქტი შეიძლება დამყარდეს სავაჭრო გამოფენებზე ან ოფიციალური სავაჭრო მისიის დროს, ასევე შეიძლება გაცნობა მოხდეს შუამავლის საშუალებით;

• ჩინეთში ურთიერთგაგების დამყარება ითვლება მთელი მოლაპარაკების პროცესის ძირითად ნაწილად. სჯობს გაიცნო მომავალი პარტნიორი საქმიანი დისკუსიის დაწყებამდე. ჩინეთში ჯერ მეგობრებს იძენენ, ხოლო შემდეგ დებენ გარიგებებს;

• ახალგაზრდები პატივისცემით ეპყრობიან უფროსებს, რომელთაც უკავიათ მაღალი მდგომარეობა საზოგადოებაში. ამიტომ ახალგაზრდა ბიზნესმენებმა, რომლებსაც სურთ საქმიანი კავშირების დამყარება ჩინეთთან, აუცილებელია პატივი სცენ ასაკით უფროსებს, განსაკუთრებით თუ ისინი მათი საქონლის მყიდველები არიან;

• ჩინეთში მიაჩნიათ, რომ შფოთისა და თავშეუკავებლობის ღიად გამოხატვა ღია გამოხატვა ინფატილიზმის მიმანიშნებელია. ისინი სწრაფად წყვეტენ კავშირებს იმ ადამიანებთან, რომელთაც სტრესის დროს არ ძალუძთ სიმშვიდის შენარჩუნება;

• პატივისცემა დაკავშირებულია საკუთარი თავის პატივისცემასთან, ღირსებასთან და რეპუტაციასთან. თუ თქვენ გადაჭრით არ ეთანხმებით ან გამოთქვამთ კრიტიკულ შენიშვნებს სხვებთან თანდასწრებით, შეიძლება დაკარგოთ თქვენი ბიზნესპარტნიორების პატივისცემა. თუ თქვენ ადამინურ დამოკიდებულებაში გამოიჩინთ თავაზიანობას და დაიცავთ ადგილობრივ წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს, ეს გაზრდის ადგილობრივი პარტნიორების მხრიდან თქვენადმი პატივისცემას. თუ თქვენ დაუშვებთ შეცდომას, მორიდებით მოიხადეთ ბოდიში;

• ჩინელები, განსაკუთრებით ჩრდილოელი ჩინელები, თავშაკეცვულები და ფორმალიზმის

ახალი ეკონომიკის



ახალი მკვლევარები

მომდევარნი არიან. ძირითადი საკითხების განხილვისას ისინი უპირატესობას ანიჭებენ პირისპირ შეხვედრებს და არა წერილობით მიმოწერასა და სატელეფონო მოლაპარაკებებს. ჩინელები ხშირად იყენებენ არაპირდაპირ, მრავალმნიშვნელოვან პასუხებს. მაგალითად, ბევრი ჩინელი მიიჩნევს, რომ თხოვნაზე „არას“ თქმა შეურაცხყოფელია და მის ნაცვლად იტყვის შემდეგს: „ეს საკითხი მოითხოვს დამატებით განხილვას“ ან „ეს რთული იქნება“;

• მოლაპარაკების დროს სიცილი ან ჩახითხითება ჩინელებისათვის ასოცირდება სტრესთან, ნერვიულობასა და სიმორცხვესთან და არა მხიარულებასთან;

• პრეზენტაციზე თქვენი სიტყვა არ უნდა დაიწყოს ხუმრობით ან ანეგდოტით. არ გადააჭარბოთ საქონლის ან კომპანიის შექება. ამის ნაცვლად გამოიყენეთ საქონლის ნიმუში ან სტატია თქვენ ფირმაზე. არ გააკრიტიკოთ თქვენი კონკურენტები;

• ჩინელებმა შეიძლება პირდაპირი და დაჟინებული მხერა მიიჩნიონ მათი დაშინების მცდელობად ან მტრული დამოკიდებულების გამოხატულებად. შეხვედრის დროს საქმარისია ხელის მსუბუქად ჩამორთმევა და ზომიერი თვალშეველება. თავი უნდა შევიკავოთ ხელის ძლიერი ჩამორთმევისაგან და პირდაპირი მხერისაგან. საქმიანი მოლაპარაკებისას მიუღებელია კონტაქტი დამყარდეს შეხებით, მოხვევით ან ზურგზე ხელის დარტყმით;

• ჩინელები დიდად აფასებენ პუნქტუალობას და გრაფიკისა და განრიგის დაცვას. ისინი ამას მოითხოვენ, აგრეთვე, უცხოელი კოლეგებისაგან, განსაკუთრებით მომწოდებლებისაგან.

• ტანსაცმელი მოლაპარაკებისას უნდა იყოს კონსერვატიული: მამაკაცი – კლასიკური კოსტიუმი, თეთრი პერანგი და ჰალსტუხი, ხოლო ქალი – კაბა.

• მიმართვის დროს იყენებენ გვარს ან ორგანიზაციის დასახელებას. სახელოვანი ადამიანისათვის გვარი ყოველთვის წინ დგას. მაგალითად, **ლი ერ პენგუს უნდა მიემართოთ ბატონო ლი და არა ბატონო პენგ.**

არ მიმართოთ ჩინელებს სახელით, სანამ თვითონ არ შემოგთავაზებენ ამას.

• სავიზიტო ბარათზე, რომელიც დაბეჭდილია ჩინურად, პირველ რიგში წერია გვარი, ხოლო შემდეგ – ორი სახელი. თანმიმდევრობა ბარათზე კი, რომელიც დაბეჭდილია დასავლურ ენაზე, დასახელების შეიძლება იყოს საპირისპირო. ჩვენი სავიზიტო ბარათის ერთ გვერდზე მონაცემები აუცილებლად უნდა იყოს დაბეჭდილი

იეროგლიფებით. ბარათების გაცვლა წარმოებს ორივე ხელით, რომელიც თანხვედრილი უნდა იყოს თავის მსუბუქ დახრასთან. რომელიც უნდა მოგცემენ ბარათს, წაიკითხეთ იგი, შემდეგ ჩაასვენო ტყავის ფუტლიარში ან მოსალაპარაკებელ მაგიდაზე დადეთ იმ პირის წინ, ვინც ბარათი მოგცათ.

• საჩუქრების გაცვლა ითვლება ჩინური ბიზნეს-კულტურის მნიშვნელოვან ნაწილად. კარგ საჩუქრად ითვლება ძვირადღირებული კონიაკი. წარმატებულ ვარინტად შეიძლება ჩაითვალოს ის სუვენირი, რომელიც დამახასიათებელია თქვენი ქვეყნისათვის. საჩუქარი უნდა მივიტანოთ ორივე ხელით. მიმღებმა შეიძლება გადადოს იგი და გახსნას შეხვედრის შემდეგ. თქვენც ასევე ვალდებული ხართ მიიღოთ საჩუქარი ორივე ხელით და გახსნათ იგი მოგვიანებით. ჩინეთში მიღებულია არა ერთი, არამედ ორი საჩუქრის ჩუქება. ასე მაგალითად, თუ ეს კონიაკია, ორი ბოთლი და ასე შემდეგ. ჩინურ მაღაზიებში სასაჩუქრე პროდუქცია თავიდანვე წყვილად უნდა იყოს შეფუთული.

• თუ თქვენ ქვეყანაში დებულობთ ჩინურ დელეგაციას, ბანკეტის ორგანიზაციისათვის უნდა აირჩიოთ რესტორანი, რომელშიც ძალიან კარგად მზადდება ნაციონალური საფირმო კერძები. ამასთანავე, უნდა გახსოვდეთ, რომ ბიზნესმენები ჩინეთიდან, რომლებიც მოგზაურობენ სხვადასხვა ქვეყანაში, უპირატესობას ანიჭებენ ჩინურ სამზარეულოს.

• ჩინელები ვაჭრობენ აქტიურად და ელოდებიან, რომ მოლაპარაკებისას მათი პარტნიორები წავლენ დათმობაზე. ისინი მოლაპარაკების მაგიდასთან მიღწევას საზღვრავენ იმით, რამდენად შორს წაიწია საქმემ, პირველად შემოთავაზებული წინადადების შემდეგ. გამოცდილ ბიზნესმენებს ყოველთვის აქვთ რაიმე მარაგში, რათა მიადწიონ დათმობას. იყავით მზად „ცოცხალი“ ვაჭრობისათვის, დათმობაზე წადით იმ შემთხვევაში თუ თქვენც მიიღებთ დათმობის ეკვივალენტურ პირობებს;

• მოლაპარაკებების კრიტიკულ მომენტში თქვენ შეიძლება დაინახოთ კონკურენტი ვესტიბიულში, რომელიც ელოდება შეხვედრას თქვენს ჩინელ პარტნიორთან, თქვენთან მოლაპარაკების შემდეგ. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ გიბიძგებენ ამათუ იმ დათმობაზე, რომელზედაც თქვენ არ გინდოდათ წასულიყავით.

• თუ მოლაპარაკების პროცესში შეიცვლება მდგომარეობა, ჩინურმა მხარემ შეიძლება მოისურვოს კონტრაქტის გადახედვა. მათთვის კონტრაქტი არის მათი სურვილების გამოხატვა.





იმისათვის, რომ სწორად ააწყო ურთიერთობა თქვენს ჩინელ პარტნიორებთან, უნდა იცოდეთ თუ რას ფიქრობენ ისინი თქვენზე. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანთ ციტატას ჩენ ფენას წიგნიდან „ცეცხლგამძლე კომერსანტები“. „ძველად ჩვენს დრომდე რუსები ყოველთვის უშიშარნი იყვნენ, არ ეშინოდათ არც ცის (მხედველობაშია ღმერთი), არც წესის (მხედველობაშია ხალხის აზრი, და არა დასჯა ეშმაკისაგან, რადგან ჩინელებში შეხედულება ჯოჯოხეთზე არ ეთანხვედრება დასავლეთისას). ისინი ყველგან თავს გრძნობენ როგორც გამარჯვებულები და მომართულნი არიან შემართებით. მთელი დანარჩენი მსოფლიო განიხილავს მათ როგორც დიდ პოლარულ დათვებს. ეს იმითაა განპირობებული, რომ თავიანთი საქციელით მათ

თავისუფლად შეუძლიათ ხალხის დაშინება. თუმცა, რუსები შესახედავად არიან უბრალოები, აზროვნებენ ძალიან ფუნქციონალურად, შინგანი დამოკიდებულება ხალხთან აკეთ აგრესიული. მათ წარმოსახვაში, მაგალითად, ადგილი არა აქვს პატარა და სუსტ ქვეყნებს. მ ქვეყნების შესახებ მათ არა აქვთ არავითარი პოზიცია და შეფასება. რუს ადამიანს, თუნდაც ის არ იყოს მდიდარი, ყოველთვის აქვს ფართო მოთხოვნები. ის ყოველთვის მზადაა გამოგცადოს ძალაში. დღესდღეობითაც ისინი ებრძვიან ყველას, რათა მოსიჯონ თავიანთი ძალები. თუ კითხავთ იგი რას ეყრდნობა, მან შეიძლება გიპასუხოთ, ეყრდნობა თავის თავს, თავის ბუნებრივ რესურსებსა და თავის სამხედრო ძალას. [2, გვ. 89]

**ბამოყენებული ლიტერატურა:**

1. ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი, ნინო დაღუნდარიძე, რამდენიმე ცნობა საქართველო-ჩინეთის ურთიერთობებიდან. იხ. წიგნში: ჩინეთი უამთა სივრცეში. გამომცემლობა “მერიდიანი”, თბ. 2007).
2. «Менеджмент в китайской традиции» Б.Б. Виногородского, В.С. Сизова (Издательство «Экономистъ», 2007)
3. Ричард Г. Гестерланд Кросс-культурное поведение в бизнесе. Дн.: Баланс-Клуб, 2003.- 288с.
4. Палеха І.Ю. Ділова етика. К.: 2004. - 309с., с.121. 7. Й. Гах Етика ділового спілкування. К.: ЦНІ, 2005 - 160с. 8. Почепцов Теория коммуникации-М. revolution.allbest.ru/.../00149671\_0.html.
5. http://www.abcwoman.ru/womans/tzu-hsi.html.

**SOME ASPECTS OF CHINESE BUSINESS-PSYCHOLOGY**

**NUGZAR BABUADZE**  
**Academy doctor, professor**  
**SHOTA VESHAPIDZE**  
**Doctor of economic Sciences,**  
**professor**

In this article there is discussed what is Chinese business-psychology, is it different or not from the western analogue, how to consent with Chinese business partners. There is considered in this article, that Chinese business-psychology is completely based on firm moral principles. They prioritize their eternal costs, patrimonial values, “nurse” their history, ancestors, the whole family name and first of all, care about their power. For Chinese it is distrustful if partner calls a lawyer while consenting at the signature table. Almost, you never meet in China such kind of behavior as deception of partner, Chinese, as usually, never cheat anyone with the straight intention, but if the partner does not execute his obligations, Chinese can also undo his ones. The manufacturing recommendations, the rules of relationship with Chinese businessman, that are formed on the basis of long practice of foreigners about directing business in China, have the special meaning.

სხალი კონსტანტინე



მოსალოდნელი ცვლილებები სუპერ სახელმწიფოების ეკონომიკურ პოლიტიკაში და ინვესტიციების მოზიდვის ისტორიული მომენტი

ნიხუციშვილი

მათე ბარდავა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს დოქტორანტი  
ა/ო “ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი”



ახალი ეკონომიკური

აღბათ, ბევრ ჩვენგანს გაჩენია კითხვა, თუ რატომ იქცა XX საუკუნეში ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა აშშ, გერმანია და კიდევ რამდენიმე განვითარებული ქვეყანა სუპერ სახელმწიფოდ, მაგრამ მოცემულ კითხვაზე პასუხი შეიძლება დღესაც ბევრმა არ იცის. ამ კითხვაზე პასუხი რომ მივიღოთ, ეკონომიკისთვის დამახასიათებელი რამდენიმე მარტივი კანონზომიერება უნდა ვიცოდეთ: “კაპიტალი გადაადგილდება იქ, სადაც ყველაზე მეტი თავისუფლებაა!” როდესაც კაპიტალს (მარტივად ფულს) თავისუფალ გარემოში უწევს გადაადგილება, ის ყოველთვის იქ გადაადგილდება, სადაც მოგების ნორმა ყველაზე მაღალია (მასთან ერთად, რისკი შეძლებისდაგვარად დაბალი), რაც თავისთავად ეკონომიკური ზრდის მთავარი პირობაა.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, როგორც ცნობილია, მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი “გაწითლდა”. “გაწითლება” კი იმას გულისხმობს, რომ “წითელ” ქვეყნებში კაპიტალი თავისუფლად ვერ გადაადგილდება და შესაბამისად იწევს თავისუფალი გარემოს ძებნას. სწორედ მოცემულმა გარემოებამ განაპირობა ის, რომ იგივე ამერიკის შეერთებული შტატები სუპერ სახელმწიფოდ იქცა, რამეთუ კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების კუთხით მოცემული ქვეყანა ყველა პარამეტრით “ა” კლასის სახელმწიფოს წარმოადგენდა. ასევე ამერიკის შეერთებული შტატები “წითელ” ქვეყნებში შევიწროებული კაპიტალისთვის ნამდვილი სამოთხე აღმოჩნდა და საბოლოო ანგარიშით ამ გარემოებამ ხსენებული ქვეყანა მართლაც სუპერ სახელმწიფოდ აქცია.

თანამედროვე ეტაპზე (ეკონომიკური კრიზისის პირველი დრმა ტალღის შემდეგ) მსოფლიოში წამყვანი სუპერ სახელმწიფოების ეკონომიკური პოლიტიკა შეიცვალა და ეს ცვლილება ისეთი ქვეყნებისთვის როგორც საქართველოა,

წარმოადგენს გამდიდრების ისტორიულ მომენტს, რომელიც საუკუნეში ერთხელ შეიძლება განხდეს. 2010 წლის იანვარში ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ საოცარი განცხადება გააკეთა, როდესაც მან აშკარად მიუთითა ეკონომიკის რეგულაციაში სახელმწიფოს როლის ზრდაზე, რაც თავისთავად ეწინააღმდეგება იმ პოლიტიკას, რამაც ეს ქვეყანა მეოცე საუკუნეში ასე გაამდიდრა. რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ სუპერ სახელმწიფოების ეკონომიკებში სახელმწიფო სექტორის ჩარევის დონე გაიზრდება? მოხდება ის, რომ კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების კუთხით მოცემული ქვეყნები უკვე აღარ იქნებიან “ა” კლასის ქვეყნები, რაც იმას გულისხმობს, რომ ამ ქვეყნებში არსებული კაპიტალი უკვე თვითონ დაიწყებს თავისუფლების ძებნას. აქ შეიძლება ბევრი დაფიქრდეს და ვერ მიხვდეს, ჩვენ რა სარგებელი შეიძლება მივიღოთ აქედან. მარტივად: რაც უფრო დაშორდებიან კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების კუთხით სუპერ სახელმწიფოები “ა” კლასს” და მიუახლოვდებიან “ბ”, ან “გ” და მითუმეტეს “ჟ” კლასს, მით მეტი კაპიტალი გაემართება სხვა ქვეყნებისაკენ (მათ შორის სასურველია საქართველოსკენ.) აქ კი ისმის მთავარი კითხვა, რომელიც დაახლოებით ასე უდერს: ვართ კი ჩვენ მზად მოცემული კაპიტალის მისაღებად? ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, რა კლასის ქვეყანა ვიქნებით ჩვენ, თუ ვიქნებით “ჟ” კლასი ვერაფერსაც ვერ მივიღებთ... აქ ერთი ქართული ანდაზა მახსენდება, რომელიც ასე უდერს: “თაფლი იყოს და ბუზი ბაღდადიდან მოვაო.” “ა” კლასი იყავი და ინვესტიცია ბაღდადიდან მოვა, მაგრამ ... აღბათ მკითხველი დაიღალა ამდენი “ა” და “ჟ” კლასების კითხვით, მაგრამ ბევრს ერთი კითხვა მაინც გაუზრდობოდა: მაინც რა კლასის ქვეყანა ვართ ჩვენ? მივყვეთ თანმიმდევრობით... როდესაც არაბებთან იქით მიდიხარ და ეუბნები, მოდი ჩემს ქვეყანაში და ინვესტიციები ჩადეო, ეს იმას ნიშნავს რომ “ა” კლასი უკვე არ ხარ, მაგრამ როდესაც





ხედები, რომ ლიბერალიზმი ამ მოცემულ სიტუაციაში საჭიროა, ე.ი. მთლად “ჭ” კლასიც არ ვყოფილვართ. ლიბერალიზმი კარგია, მაგრამ ჩვენს მოცემულ პირობებში საკმარისი არ არის ინვესტიციების მოსაზიდად. საჭიროა არსებული ეკონომიკური გარემოს სრული დეტალური ანალიზი და კაპიტალზე ეფექტიანი “ნადირობის” სქემის შექმნა. აუცილებელია ამ ისტორიული მომენტის გამოყენება, რომელიც ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე საუკუნეში ერთხელ ჩნდება.

აღბათ, ბევრს გაუკვირდება, თუ რატომ იწყებს იგივე ამერიკის მთავრობა თავისუფალი ეკონომიკური გარემოს შეზღუდვას. ხომ არ არის მოცემული პოლიტიკური კურსის შეცვლის მიზეზი ეკონომიკური კრიზისი? რატომ უნდა, არა! მიზეზი სულ სხვა რამეა... ნათელია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უმდიდრესი ქვეყანაა მთელს დედამიწაზე, მაგრამ მის მთავრობას მუდმივი შრომა სჭირდება იმისთვის, რომ თავისი პოზიციები შეინარჩუნოს. ბარაკ ობამამ გაპრეზიდენტების შემდეგ რეიტინგი საკმაოდ დაკარგა და აღბათ ისიც დაუკვირდებოდა ერთ უცნაურ გარემოებას: იგი უმდიდრესი ქვეყნის პრეზიდენტია და ადამიანთა ერთი ნაწილი მაინც უკმაყოფილოა მისი ქმედებებით, რაც პრობლემებს უქმნის მას, მაშინ როცა იგივე რუსეთის მთავრობას მოცემული პრობლემები არ ექმნება (იმის მიუხედავად, რომ ეკონომიკურად რუსეთი გაცილებით უფრო ღარიბია). იგივე შეიძლება ითქვას ისეთ ქვეყნებზე, როგორებიცაა ვენესუელა, ჩილე და ა.შ. ანუ მსოფლიოში არიან ქვეყნები, რომლებსაც პრინციპში ეკონომიკურად ძალიან უმძიმთ, მაგრამ მათ მთავრობებს “უღხინთ” იმ თვალსაზრისით, რომ მათ არავითარი ძალაუფლების დაკარგვა არ ემუქრებათ. ამის მიზეზი კი ერთადერთია: უფრო და უფრო მეტი დოზით და მკაცრად რეგულირებადი ეკონომიკა მთავრობის მიერ (ასეთ ქვეყნებში კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებაზე საუბარიც კი ზედმეტია). შესაბამისად, ბარაკ ობამასაც მიაჩნია რა, რომ ოპონენტებზე უკეთ იცის ქვეყნის მართვა, წმინდა ადამიანურად გაუჩნდა სურვილი გაზარდოს მთავრობის როლი ეკონომიკაში. ასეთი არა თუ ქმედებები, მაღალ დონეზე გაცხადებული მხოლოდ სურვილებიც კი საბოლოოდ ამ ქვეყნიდან კაპიტალის გადინებას გამოიწვევს, რამეთუ, რაც უფრო მაღალია მთავრობის მიერ ეკონომიკის რეგულირების დონე, მით უფრო შეზღუდულია კაპიტალის გადაადგილება ამ ქვეყანაში.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღევანდელი სუპერ სახელმწიფოების


მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ერთგვარად ეგზოტიკურ საბურველშია გახვეული ეკონომიკური პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირება შესაძლებლობები. მემარცხენე ფანტაზიებს ზღვარი არ აქვს. საზოგადოების დიდი ნაწილი თითქოსდა დაღალა ლიბერალური გარემოსთვის დამახასიათებელი მუდმივად ფხიზელი და ეფექტიანი საქმიანობის აუცილებლობამ. თითქოსდა „მოყირჭდათ“ უკვე გაკვალული გზით მიღწეული, სხვებისთვის შესაშური კეთილდღეობა. თავს იოლად იტყუებენ, რომ მემარცხენე, პირდაპირ ვთქვათ – „მუქთახორული“ გზებით მეტის მიღწევაა შესაძლებელი.

საგულისხმოა, რომ ამგვარი პროპაგანდით ნაკლებად ტყუვდება ყოფილი სოციალისტური ქვეყნების მოსახლეობის ის დიდი ნაწილი, რომელმაც თავის ტყავზე იწვინა „ვერტიკალში ჩამორიგებული უფროსი ძმების“ ღირეტიული როლის უპირატესობის ან სასურველობის აბსურდულობა. ყველა გონიერი ადამიანი დარწმუნდა, რომ ეკონომიკის განვითარების ლიბერალურ პროცესში ბუნებრივადაა ჩართული უთვალავი ექსპერტი, რომელთაგან თითოეული თავის უჯრედში მხოლოდ სრულყოფისა და წარმატებისათვის იბრძვის, ყველანი ერთად კი მთელი ეკონომიკის, ამა თუ იმ დარგის, სფეროს თუ მიმართულების ოპტიმალური განვითარების საუკეთესო ჯამურ ერთობლივ დასკვნას ერთობლივად დებენ. მათ შორის ისინიც კი, ვინც მცდარი გზით წავიდა და გაკოტრდა, ჯამური დასკვნის შედგენაში შეუცვლელი ექსპერტია. იგი პირადი ზიანის საფასურად მიუთითებს, რომ გარკვეული მიმართულებით წამსვლელი მასავით თავს მიარტყამს. პროცესების უკეთ მართვის მიზნით, დაქირავებულ ექსპერტთა ვერანაირი ერთობლიობა ვერ შეარჩევს ამ, თვითმართვად და თვითრეგულირებად საწყისებით მოკებნილ მიმართულებებზე უკეთეს გზებს.

ზემოთაღნიშნულ თუ შევაჯამებთ, ასეთ სურათს მივიღებთ: სუპერ სახელმწიფოებში როგორც ხელისუფლებათა სათავეებში, ისე საზოგადოების ფართო ფენებშიც აღინიშნება ლიბერალური ეკონომიკიდან რეგულირებად ეკონომიკისაკენ მოძრაობის დაწყების მკაფიო სიმპტომები.

ჩვენნაირი სუსტი ქვეყნები კაცობრიობისათვის სამწუხარო ამ პროცესს წინ ვერ აღვუდგებით და ვერ შევანერვთ. ეს ამ ქვეყნების ხალხის საქმეა, მათ კი პრობლემის გასააზრებლადაც დიდი დრო დაეხარჯებათ. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ავითვისოთ და შევიმატოთ

ახალი ეკონომიკის



მათ მიერ ნებაყოფლობით უარყოფილი და დაკარგული სიძლიერის ნაწილი მაინც.

ჩვენთვის მოცემული ტენდენცია წარმოადგენს ქვეყნის გამდიდრებისა და გაძლიერების ისტორიულ მომენტს!

ამ ბოლო დროს საქართველოს მთავრობამ მოახერხა მსოფლიოსთვის იმის თქმა, რომ ლიბერალური პოლიტიკითა და გატარებული რეფორმებით სურს უცხოური ინვესტიციებისთვის ნამდვილი სამოთხე შექმნას. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მიმართულებით ქვეყანას გარკვეული რეიტინგებიც დაუგროვდა ინვესტორთა თვალში, რაც მხოლოდ მისასალმებელია. მაგრამ ... წარმოვიდგინოთ, რომ სუპერ სახელმწიფოებში შევიწროებული კაპიტალი მოადგა საქართველოს, რომელიც, ბუნებრივია, უნდა გადაიქცეს ინვესტიციად. როგორ იქცევა ამ დროს უცხოელი ინვესტორი? ძალიან მარტივად, ის მიდის საფონდო ბირჟაზე და თვალს ადევნებს ფირმების მდგომარეობას, აკეთებს გარკვეულ დასკვნებს და ყიდულობს ამათუ იმ ფირმის აქციებს, ანუ ახორციელებს ინვესტიციას. აქ კი უკვე ძალიან ცუდად გვაქვს საქმე. შამწუხაროდ, ქვეყანაში საფონდო ბაზარი მკვდარია. ქვეყანაში ამ ფუნდამენტური პრობლემის არსებობა, რატომღაც, ალბათ უცოდინარობის გამო, საფონდო ბირჟას ბრალდება. აქაოდა საფონდო ბირჟა უფრო “საფონდო ჯიხურს” გავსო. საქართველოს საფონდო ბირჟა დღეში საშუალოდ 15ათას ლარს ვაჭრობს, მაშინ როდესაც პალესტინის საფონდო ბირჟაც კი – 20 მილიონ დოლარს. არადა ბაზრის არალიკვიდურობა ბირჟის ბრალი არაა და არც შეიძლება იყოს. ბირჟა უბრალოდ გარიგებათა გაფორმების ადგილია. დღევანდელი საქართველოს საფონდო ბირჟა მილიარდჯერ მეტი მასშტაბების გარიგებებსაც იგივე წარმატებით გააფორმებს, როგორც დღეს ერთეულ იშვიათ გარიგებებს ატარებს. ბირჟა ბაზრის ლიკვიდურობას შესამჩნევად ვერ შეცვლის, ქვეყანაში საფონდო რესურსის მოთხოვნა-მიწოდებას ვერც გაზრდის და ვერც შეამცირებს. ჩვენში ეს, სამწუხაროდ, ცოტას, როგორც დაერწმუნდით, არც თვით ბირჟის ხელმძღვანელებს ესმით. ზოგიერთი ბაზრის არალიკვიდურობაში ბრალს ბირჟას დებს, თვით ბირჟის მესვეურები კი საბაზრო ეკონომიკის ამ უმთავრესი პრობლემის განხილვას მართლა დამნაშავეებივით გაურბიან და ემაღებიან. პრობლემის ასეთი ცოდნით უკვე “ა” კლასი კი არაა “კ” კლასიც არ ვართ.

როდესაც საფონდო ბაზარი მკვდარია, არსებობს ქვეყანაში ინვესტიციების

განხორციელების მეორე გზა: კირადი ნაცნობობითა და სხვადასხვა ინფორმაციებით ინვესტიციების განხორციელება. მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ვერ გამოდგება იმ გამონთავისუფლებულ კაპიტალზე “სანადიროდ” რომელზედაც ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ და ქვეყნის გამდიდრების ისტორიული მომენტიც დაგვეკარგება. ზემოთ ნათქვამის ჭეშმარიტება დაადასტურა მიმდინარე წლის მარტში საქართველოში ჩამოსულმა გერმანელ ინვესტორთა ერთმა ნაწილმა. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ მათი განცხადებით ამ ქვეყანაში ფულის ჩადება შეუძლებელია ინფორმაციის არქონის გამო, ანუ სწორედ იმის გამო რომ საფონდო ბაზრის ლიკვიდურობის მასშტაბები ანუ კვალიფიციური დასკვნისთვის აუცილებელი ინფორმაციული ბაზა, საფონდო ბირჟის ნაცვლად, მართლაც საფონდო “ჯიხურში” ეტევა, სადაც თითზე ჩამოსათვლელი კომპანიების აქციები კოტირდება და რაიმე ინდექსებზე, წინმსწრებ ინდიკატორებზე, კანონზომიერებაზე მსჯელობა შეუძლებელია. ეს ის ხალხი არ აღმოჩნდა, ვინც ვიდაცის ნაცნობობით ჩადებდა ფულს ქვეყანაში, შესაბამისად, კარი გაიხურეს და წავიდნენ. ეს სწორედ იმ ხალხის პირველი ნაკადი იყო, ვინც უკვე გამოექცა სუპერ სახელმწიფოებში კაპიტალის შევიწროებას. სამწუხაროდ, მოცემულ ინვესტიციებზე მონადირე “ა” კლასის ქვეყანა არ გვაქვს და არ გვაქნება სანამ საინვესტიციო გარემო არ იქნება იდეალური. ინვესტიციების შემოდენის იდეალური სურათი ასეთია: შემოდის უცხოელი ინვესტორი, რომელიც ეძებს თავისუფლებას. იგი ხედავს, რომ ქვეყანა დაადგა ლიბერალური განვითარების პოლიტიკას, ანუ საქმე აქვს ისეთ ქვეყანასთან სადაც კაპიტალის გადაადგილება არ იზღუდება, კერძო საკუთრების უფლება დაცულია და ა.შ. შესაბამისად, ის მიდის საფონდო ბირჟაზე და ყიდულობს ქართული კომპანიების აქციებს. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: “თაფლი იყოს და ბუზი ბაღდადიდან მოვა”. გამგები ალბათ გაიგებს... იმისთვის რომ სუპერ სახელმწიფო გავხდეთ (მთლად ამერიკის დონეზე ვერ ვიქნებით), უპირველეს ყოვლისა, უნდა ავაშუშავოთ ისეთი საფონდო ბაზარი (და არა საფონდო “ჯიხურები”), სადაც, სულ მინიმუმ, დათვლადი იქნება საფონდო ინდექსები, როგორც ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულებით განვითარების წინმსწრები ინდიკატორები და შევუქმნათ კაპიტალს თავისუფალი გადაადგილების პირობები. თითქოს მარტივი ამოცანაა, მაგრამ მერწმუნეთ ეს ასე არაა, ამოცანა რთულია და მას შესაბამისად რთული ამონახსნი

ახალი მკონგისტი





აქვს. თუმცა, ჩვენ ხომ ყველაზე ჭკვიანი ერი გამოცდის... უზარმაზარი უცხოური ინვესტიციების  
 ვართ დედამიწაზე? მაშინ ამ ამოცანის ამოხსნაც მოზიდვისა და ქვეყნის გამდიდრების ისტორიულ  
 არ გაგვიჭირდება... ვნახოთ... ყველაფერს დრო მომენტი დადგა!

**ბამოყენებული ლიტერატურა:**

1. ი. ჩხაიძე – „როგორ გაემდიდრდეთ“, თბილისი 1999წ.
2. გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, მსოფლიო ეკონომიკა: დავოსის ეკონომიკური ფორუმი, 2010 წლის მარტი.
3. Internet

**THE POSSIBLE CHANGES IN ECONOMICAL POLICY OF SUPER DEVELOPED COUNTRIES AND HISTORICAL MOMENT FOR ATTRACTION OF INVESTMENTS**

**MATE GARDAVA**  
 Doctorate of Economics and Business Faculty  
 of Tbilisi State University  
 NGO “Economic Policy Experts Centre”

At the present days (after first deep economical crisis wave) super developed countries began to change their economical policy, which is very important for countries like Georgia, because restrict of the free movement of capital makes huge free capital in the world, which is desirable to be invested in Georgia. For that we need execute some terms. The most important terms are to create capital free movement environment and developed stock market. Non existence of mentioned above requests its creating and developing.

ახალი ეკონომისტი



ძრისტინა ჯღანჯღანა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ  
ეკონომიკისა და ბიზნესის  
ფაკულტეტის დოქტორანტი

ახალი ეკონომისტი

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესმა მნიშვნელოვნად გაზარდა ვაჭრობის მოცულობა მთელს მსოფლიოში. მსოფლიო სავაჭრო სისტემის გაძლიერება გადამწყვეტი ფაქტორია მთელს მსოფლიოში დემოკრატიის დასამყარებლად. როდესაც სავაჭრო სისტემა თავისუფალია და ღია, ეკონომიკას ზრდის საშუალება ექმნება, რაც განაპირობებს ცხოვრების მაღალ სტანდარტებს.

აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებმა (კონკონგი (ჩინეთი), კორეის რესპუბლიკა, სინგაპური) მოახდინეს სწრაფი ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში, რამაც განაპირობა მათი ეკონომიკის სწრაფი ზრდა. თუმცა, ყველა განვითარებადი ქვეყანა თანაბრად არ მონაწილეობს მსოფლიო ინტეგრაციის პროცესებში, მაგ: აღმოსავლეთ აზიის ბევრი ქვეყნის, ასევე ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის ჩართვა მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციაში მიმდინარეობდა ხელი ტეპებით. ქვეყნებში, სადაც ვაჭრობის ლიბერალიზაცია მოახდინეს და ისწავლეს გლობალურ ბაზრებზე კონკურენცია, ეკონომიკის ზრდა და განვითარება უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე იქ, სადაც ადგილობრივ ბაზრებს იცავენ.<sup>1</sup>

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური დეზინტეგრაციის შედეგად, საქართველო დიდი ეკონომიკური სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარებით შეძლო საგარეო ვაჭრობის ღრმა ლიბერალიზაცია. 2000 წელს საქართველო გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრი ქვეყანა. რის შედეგადაც გაუქმდა ექსპორტ-იმპორტის კოტირება. 2004 წლის ბოლოს მიღებულ იქნა გამარტივებული საგადასახადო კოდექსი,

რომელიც ამოქმედდა 2005 წლის 1 იანვარს.<sup>2</sup> მიღებული საგადასახადო კოდექსის შემდეგ გადასახადების რაოდენობა შემცირდა 21-დან 7 - მდე. ასევე შემცირდა საგადასახადო განაკვეთები, რამაც საქართველო რეგიონში ყველაზე დაბალი საგადასახადო განაკვეთების მქონე ქვეყანად აქცია. ქვეყანაში დაიწყო მასობრივი პრივატიზაციის პროცესი და განხორციელდა ინვესტიციები. თუმცა, 2008 წლის აგვისტოში რუსეთის აგრესიის შედეგად, შემცირდა ქვეყანაში ეკონომიკური აქტიურობა. რუსეთი წლების განმავლობაში საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი იყო, მაგრამ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მიმართ განახორციელა ცალმხრივი ეკონომიკური შეზღუდვები. იგი შეეხო ვაჭრობას, ტრანსპორტს და სხვა სფეროებს, რის შედეგადაც საქართველომ დაიწყო ახალი ბაზრების ძიება.

საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების შეფასებისათვის განვიხილოთ ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბრუნვა, ექსპორტ-იმპორტი, უმსხვილესი სავაჭრო დ იმპორტიორი ქვეყნები, საიმპორტო და საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები და სხვა მაჩვენებლები. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2009 წელს 3483,2 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 34,7%-ით ნაკლებია (იხილ. ცხრ. №1). აქედან ექსპორტი 729,1 მლნ. აშშ. დოლარია (შესაბამისად 31,7 %-ით ნაკლები), ხოლო იმპორტი - 2753,6 მლნ. აშშ დოლარი (35,4%-ით ნაკლები). მიუხედავად საგარეო სავაჭრო ბრუნვის კლების ტენდენციისა, ექსპორტის ხვერიითი წილი მთლიანი ბრუნვის მოცულობაში მცირედ , მაგრამ ეტაპობრივად იზრდება, რაც სავაჭრო დეფიციტის კლების ტენდენციის მაუწყებელია.

<sup>1</sup> ბ. ოლპინ, "შიდარვეიონული და საერთაშორისო ვაჭრობა" Camb.1997 გვ.13.  
<sup>2</sup> D.NARMANIA, E. KHOKRISHVILI, GEORGIAN TAX SYSTEM (PART 1), NEXT ECONOMISTS, SPECIAL EDITION, 2006, PP.4-5.





საქართველოს სგარეო-სავაჭრო ბრუნვა 2006-2009  
(მლნ. აშშ. დოლარი)

	2006	2007	2008	2009
ბრუნვა სულ	4674	6456,9	5334,15	3483,2
ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებაში	39%	38,1%	-17,38%	-34,7%
ექსპორტი	993	1240,2	067,4	729,1
ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებაში	14,1%	24,9%	-13,93%	-31,7%
იმპორტი	3681	5216,7	4262,53	2753,6
ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებაში	48%	41,7%	-18,29%	-35,4%
სალდო	-2688	-3976,5	-3195,13	-2024,5

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები

საქართველოს სგარეო სავაჭრო ბრუნვის მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის დსთ-ქვეყნებზე, ეს ქვეყნები წარმოადგენენ საქართველოს მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორებს. საქართველო შეუერთდა ასევე, დსთ-ს ქვეყნების მრავალმხრივ შეთანხმებას თავისუფალი ვაჭრობის ზონის ჩამოყალიბების თაობაზე (1994 წ.), თუმცა მისი რატიფიკაცია მოგვიანებით განხორციელდა (2001 წ.). სგარეო სავაჭრო ბრუნვა მთლიანობაში 2009 წელს 39,6%-ით შემცირდა აღნიშნულ ქვეყნებში და შეადგინა 1061,0 მლნ. (იხილ. ცხრ. №2) აშშ დოლარი. დსთ-ს ქვეყნების წილად მოდის საქართველოს სგარეო სავაჭრო ბრუნვის 30,5%, მათ შორის ექსპორტის -25,3% და იმპორტის - 32,7%. სავაჭრო ბრუნვის აღნიშნული შემცირება განპირობებულია რუსეთთან მწვავე სავაჭრო ურთიერთობებით.

საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების გაზრდას ევროკავშირთან. ევროკავშირის ბაზარი

ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში, მასზე მოდის მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით ერთი მეხუთედი. აქტიური თანამშრომლობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის დაიწყო 1992 წელს, როგორც კი ქვეყანამ მოიპოვა სუვერენულობა. ორმხრივი ურთიერთობა კიდევ უფრო გამყარდა 2003 წლის “ვარდების რევოლუციის” შემდეგ. 2009 წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტმა პირველად გადააჭარბა დსთ-ს ქვეყნებიდან იმპორტირებულ პროდუქციას, რაც იმპორტული საქონლის ადგილობრივი საქონლით ჩანაცვლებაზე მიანიშნებს. ევროკავშირის ქვეყნების წილი სგარეო სავაჭრო ბრუნვაში უმნიშვნელოდ მაგრამ მაინც იზრდება. 2009 წელს მთლიანმა სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 27,8% შეადგინა. ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების ქვაკუთხედი არის შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ (PCA), რომელსაც ქვეყნებმა 1996 წლის აპრილში მოაწერეს ხელი. შეთანხმება ძალაში 1999 წლის 1

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი



საქართველოს – დსთ-თან სავაჭრო ბრუნვა 2006-2009  
(მლნ. აშშ. დოლარი)

	2006	2007	2008	2009
ბრუნვა	1799	2323,3	1756,6	1061,0
ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებაში ექსპორტი	28%	29,1%	24,39%	39,6%
	395	469,4	362,2	270,6
ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებაში იმპორტი	-5%	18,8%	-22,8%	-25,3%
	1404	1853,9	1394,0	790,4
ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებაში	41%	32%	24,8%	43,3%
საღირებულება	-1009	-1384,5	-1031,8	-519,8

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები

ახალი პაკონსტა

ივლისს შევიდა. ცნობილია, რომ საქართველოს უმთავრესი საგარეო - პოლიტიკური პრიორიტეტი ევროკავშირში გაწევრიანებაა, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ევროპული პოსტიდუსტრიული საზოგადოების ფორმირების დაჩქარებას, რომელიც თავის მხრივ, საუკეთესოდ შეესაბამება ქვეყნის ისტორიულ წარსულს.

2009 წლის საგარეო სავაჭრო ბრუნვის მიხედვით, თურქეთი საქართველოს უსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა. სავაჭრო ბრუნვა თურქეთთან 2009 წელს 674,5 მლნ. აშშ.<sup>3</sup> დოლარს გაუტოლდა, მათ შორის ექსპორტი 164,3 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. თურქეთში გაზრდილია ისეთი სასაქონლო ჯგუფების ექსპორტი როგორცაა: შავი ლითონის ჯართი (59,4 მლნ. აშშ. დოლარი), ალუმინის ჯართი (8,2 მლნ. აშშ დოლარი). 2007 წლის 21 იანვარს თურქეთსა და საქართველოს შორის დაიდო ხელშეკრულება თავისუფალი

ვაჭრობის შესახებ, რომელიც ოფიციალურად ამოქმედდა 2008 წლის 18 თებერვალს. ეს შეთანხმება წარდგენილ იქნა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (wto) "gatt" 1994 XXIV სტატიის შესაბამისად 2009 წლის 18 დეკემბერს<sup>4</sup>. შეთანხმების შედეგად მთლიანად გაუქმდა საბაჟო გადასახადები სამრეწველო პროდუქციაზე, თუმცა არ გაგრძელდა ინვესტიციებსა და მომსახურებებზე. თავისუფალი სავაჭრო ზონა ორ ქვეყანას შორის გაზრდის ახალი ბაზრების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს ახალი საინვესტიციო პროექტების განხორციელებას.

ნაკლებად დივერსიფიცირებულია ექსპორტი ქვეყნების მიხედვით. საქართველოს ექსპორტის სტრუქტურაში ჭარბობს ნედლეული და მასალები (დამუშავებული და ნახევრადდამუშავებული ოქროს ექსპორტი, მსუბუქი ავტომობილები, მწვანილი, კაკალი და ა.შ.). მნიშვნელოვნად მოიმატა, ზეთოვანი

<sup>3</sup> www.statistics.ge

<sup>4</sup> WTO document WT/REG26/N/1, 24 February 2009.





კულტურების, აგრეთვე სანელებლების და ფარმაცევტული საქონლის ექსპორტმა. იმპორტის სასაქონლო სტრუქტურა გეიხვენებს, რომ მისი უდიდესი ნაწილი ნავთობპროდუქტებზე, მსუბუქ ავტომობილებზე, სამკურნალო საშუალებებსა და სხვადასხვა სახის სამრეწველო საქონელზე მოდის, რომელთა უდიდესი ნაწილი საქართველოში არ იწარმოება, თუმცა შემოდის ბევრი ისეთი პროდუქცია, რომელთა წარმოებაც ქვეყანაში შესაძლებელია და არანაკლები ხარისხით.

საქართველოს არსებული სავაჭრო ბალანსი ნათლად ასახავს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს. დღეისათვის ქვეყნის სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო დაკავშირებულია იმპორტის ზრდასთან და ექსპორტის შემცირებასთან ადგილობრივი ფირმები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ექსპორტზე, ვერ ვითარდებიან, რაც განაპირობებს ქვეყნის სიღარიბეს და დასაქმების პროგრამასთან დაკავშირებულ პრობლემებს. იმპორტის ზრდა რომელიც განპირობებულია ნულოვანი ტარიფებით, ერთის მხრივ, პოზიტიური მოვლენაა, რამდენადაც აადვილებს ვაჭრობას ქვეყნებს შორის და იმპორტს ხდის უფრო იაფს ადგილობრივი მოსახლეობისთვის, თუმცა, მეორეს მხრივ, ამცირებს სამამულო წარმოების განვითარების შესაძლებლობებს და ხელს უწყობს, ადგილობრივი ბაზრების იმპორტით გაჯერებას. ამავე დროს, ქვეყნის ექსპორტზე ნეგატიურად აისახება ეროვნული ვალუტის გამყარება, რომელიც ხელს უწყობს, ასევე, იმპორტის წახალისებას და, პირიქით, ძვირს ხდის ექსპორტს. საქართველოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ექსპორტ-იმპორტს შორის სხვაობის შემცირება, ექსპორტის წახალისება და ეს შესაძლებელია ფულად-საკრედიტო სფეროთი. სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად (სახელმწიფოს მიერ ქართული ფირმების შეზღუდული მხარდაჭერა, საზღვარგარეთულ ფირმებთან შედარებით მათი სუსტი პოზიციები, ადგილობრივ ბაზარზე პოზიციების შენარჩუნებისათვის გაწეული მაღალი დანახარჯები და ახალი ბაზრების აქტიური ძიება), ეს პრობლემები, თავის მხრივ, იწვევს ექსპორტის სუსტ განვითარებას.

ქვეყნის ექსპორტის გაზრდის მიზნით, საჭიროა მისი ფინანსური მხარდაჭერა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ანხორციელებს “ექსპორტის

წახალისების” პროგრამას, რაც მიზნად ისახავს დაბალპროცენტიანი კრედიტების გაცემას ასი ათასიდან 2,5 მილიონ ლარამდე. ქვეყანაში პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იქცეს, წარმოებული პროდუქციის ხარისხის, საქსპორტო პოტენციალისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

